# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

17 მაისი **ხუთშაბათი** 2012 **№115 (13 721)** ფასი 80 თეთრი




## დაარტყა თუ არა კობიამ მსაჯს?

ქართველს ორწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება?

7

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავსტრიაში ნაკრების შეკრება დაიწყო

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ავსტრიაში საწვრთნელი შეკრება დაიწყო. გუნდი ავსტრიის დაბა ფლახაუში არასრული შემადგენლობით იმყოფება. პირველ 45-წუთიან ვარჯიშზე, მთავარი მწვრთნელის თემურ ქეცბაიას განკარგულებაში მხოლოდ 15 ფეხბურთელი იყო: გიორგი ლორია, უჩა ლობჟანიძე, აკაკი ხუბუტია, ზურაბ ხიზანიშვილი, მურთაზ დაუშვილი, დავით კვირკველია, თორნიკე ოქრიაშვილი, ალექსანდრე კობახიძე, დავით თარგამაძე, ჯაბა კანკავა, ლევან ყენია, ნიკა ძალამიძე, ჯაბა ლიპარტია, ლადო დვალიშვილი და ნიკა გელაშვილი.

ეროვნულ ნაკრებს ავსტრიაში კიდევ ხუთი ფეხბურთელი 17 მაისს შეუერთდება - ნუკრი რევიშვილი, ალექსანდრე ამისულაშვილი, სოლომონ კვერკველია, ოთარ მარცვალაძე და გიორგი ფოფხაძე.

გურამ კაშია და ლევან მჭედლიძე კი, გუნდის საწვრთნელ პროცესში, სავარაუდოდ, 21 მაისიდან ჩაებმებიან. თემურ ქეცბაიას გუნდი 22 მაისის ჩათვლით ორჯერად ვარჯიშებს ფლახაუში გამართავს, 23-ში ზალცბურგის „რედბულ არენაზე" ივარჯიშებს, მეორე დღეს კი თურქეთის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. მატჩი თბილისის დროით 22 საათზე დაიწყება.

ნაკრებმა პირველი ვარჯიში წვიმისა და თოვლის ფონზე ჩაატარა. ზამთრის კურორტ ფლახაუში დღის მანძილზე ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა მხოლოდ 5 გრადუსი იყო.

თემურ ქეცბაიას გადაწყვეტილებით, გუნდს კიდევ ერთი ფეხბურთელი დაემატება - ქუთაისის „ტორპედოს" მეკარე ომარ მიგინეიშვილი ეროვნულ ნაკრებს რამდენიმე დღეში შეუერთდება.

სფფ-ის პრესსამსახური
ფლახაუ, ავსტრია



# ზეიმი ნაადრევი თუ რეალური?



2-3

გუშინ რუსთავში. მეტალურგი-დინამო 2:1 მატჩის შემდეგ რუსთაველი გულშემატკივარი გახარებული იყო. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ევრო 2012. ამბები



## ინგლისის ნაკრების შემადგენლობა ცნობილია

როი ჰოჯსონს ევროზე რიო ფერდინანდი არ მიჰყავს



## მარვიიკმა ჰოლანდია გაცხრილა

5

## პლეი ოფი



დიმიტრი ტატანაშვილის ამ თავურს დინამოს კარში მეორე გოლი მოჰყვა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ზეიმი ნაადრევი თუ რეალური?

16.05. რუსთავი. ფოლადი. 1000 მაყურებელი

**მეტალურგი 2**

**დინამო 1**

0:1 რობერტინიო (61, ოდიკაძის პასით), 1:1 კვარაცხელია (73, გენაძის პასით), 2:1 ტატანაშვილი (76, ქავთარაძის პასით)

| მეტალურგი | დინამო |
|---|---|
| 4-2-3-1 | 4-3-3 |
| ბედიაშვილი | სეფიაშვილი |
| გ. სეთურიძე | ოდიკაძე |
| კვარაცხელია | ხიზანეიშვილი |
| მახვილაძე | რეხვიაშვილი |
| ჯაფარიძე | ხმალაძე |
| რაზმაძე | ჯვილაური |
| დობროვოლსკი | კვეკვესკირი |
| გენაძე | კოშკაძე |
| ი. მაისურაძე | რობერტინიო |
| ქავთარაძე | ჩისკო |
| სიხარულიძე | გოგუა |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| კ. ყორღიკაშვილი | რ. მუმლაძე |

**მეტალურგი**

46. სიხარულიძე — **ტატანაშვილი**
65. დობროვოლსკი — **გ. მიქაბერიძე**
90. ქავთარაძე — **გავაშელიშვილი**

სათადარიგოები: თებიძე, ჭედია, ზ. ჭელიძე, მოდებაძე

**დინამო**

46. კოშკაძე — **ალვარო**
59. ჩისკო — **მერებაშვილი**
83. რობერტინიო — **კოტო**

სათადარიგოები: გუდავაძე, ტვილდიანი, პაპავა, პარუნაშვილი

გაფრთხილება: რაზმაძე (47), გოგუა (69), ალვარო (72), ოდიკაძე (75), ქავთარაძე (82).

არბიტრი: ო. ხეცაძე

...ის-ის იყო, მატჩის არბიტრმა **ოთარ ხეცაძემ** საფინალო სასტვენი მისცა და მოედანზე ზეიმიც დაიწყო! რა თქმა უნდა, ჩემპიონატის დამთავრებამდე ჯერ კიდევ ერთი ტურია დარჩენილი და ოქროს მედლების ბედიც 20 მაისს გაირკვევა, მაგრამ რუსთაველმა ქომაგებმა გუშინ უპრობლემოდ შეაღწიეს მოედანზე და თავისი საყვარელი გუნდის ფეხბურთელებთან ერთად იზეიმეს „დინამოსთან" გამარჯვება. მოკლედ, რუსთავში აბსოლუტური უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ რამდენიმე დღეში ქალაქში მესამე საჩემპიონო ზეიმი უნდა ჰქონდეთ, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წინ კიდევ ერთი ტურია. თანაც, გადამწყვეტზე გადამწყვეტი და, შესაძლოა, სკანდალურიც. ყოველ შემთხვევაში, „მეტალურგმა" და „ზესტაფონმა" სეზონი ერთნაირი ქულებით რომ დაასრულონ, მოვლენების განვითარება მერე ნახეთ. თუმცა ბოლო ტურამდე ამ თემას არაერთხელ დავუბრუნდებით და ახლა კი ალბათ დროა, რომ გუშინდელ მატჩზეც ვისაუბროთ. მატჩზე, სადაც წყვილის უპირობო ფავორიტად მასპინძლები მიიჩნეოდნენ და მიზეზი, რაღა თქმა უნდა, სატურნირო მდგომარეობა იყო;

არადა, ცოტა არ იყოს, ის უცნაური და უჩვეულო სიტუაციაც უნდა ვახსენოთ, დღესდღეობით თბილისის „დინამო" რომ იმყოფება: როგორი საქმეა, ჩვენი ყველაზე ტიტულიანი და ნებისმიერ სეზონში მარადიულ ფავორიტად შერაცხილი გუნდი ჩემპიონატის ფინიშს მეოთხე-მეხუთე ადგილების მიჯნაზე რომ ხვდება?!.

...მატჩი მასპინძელთა აქტიურობით დაიწყო და საერთოდაც, პირველი ტაიმის ბოლომდე „მეტალურგის" ტერიტორიული უპირატესობა თვალშისაცემი იყო. სტუმრებს ყველაზე მეტ ხიფათს კი „მეტალურგის" გარემარბები, **რევაზ გენაძე** და **გიორგი ქავთარაძე** უქმნიდნენ; სწორედ ამ ფეხბურთელების სახიფათო დარტყმები იყო მატჩის დასაწყისში აღსანიშნავი, შემდეგ **ირაკლი მაისურაძის** ეფექტური რეიდი ვნახეთ, შორეული დარტყმით რომ დამთავრდა: ძირითადში გამოჩენილმა **კოკა სეფიაშვილმა** ბურთი გაჭირვებით მოიგერია. ტაიმის ბოლომდე მასპინძლებმა კიდევ ორი სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ **ირაკლი სიხარულიძისა** და **გიორგი ქავთარაძის** თავურ დარტყმებს სიზუსტე აკლდა. აი, რაც შეეხება „დინამოს", შეტევაში ხეირიანი არაფერი გამოსდიოდათ და მხოლოდ ერთადერთხელ მოხდა, რუსთაველი ქომაგები რომ აღელდნენ: მცველებისა და მეკარის შეცდომების შემდეგ, ცოტაც და გოლსაც ვნახავდით, მაგრამ მასპინძლები **ლაშა ჯაფარიძემ** გადაარჩინა, კარის ხაზიდან რომ გამოიტანა ბურთი.

აი, შესვენების შემდეგ კი „დინამო" აშკარად „სახეშეცვლილი" გამოიყურებოდა და ეს, უპირველეს ყოვლისა, ტაქტიკურ გადაადგილებებს უნდა მივაწეროთ: 4-3-3-ს ნაცვლად **რამაზ მუმლაძემ** 4-2-3-1 განლაგება არჩია, რამდენიმე ფეხბურთელს პოზიციაც შეუცვალა და გუნდის თამაშიც „რაღაცას" დაემსგავსა. უფრო მეტიც: „დინამოს" პირველივე გააზრებული კომბინაცია მართლაც ეფექტური და, რაც მთავარია, შედეგიანი აღმოჩნდა! რა თქმა უნდა, **რობერტინიოს** გარჯა არ უნდა დავუკარგოთ (ბრაზილიელი ფორვარდი საჭირო დროს და საჭირო ადგილზე დაუხვდა ბურთს), თუმცა **დავით ოდიკაძის, გოგიტა გოგუასა** და **გიორგი მერებაშვილის** მიერ გათამაშებული კომბინაცია მართლაც მშვენიერი სანახავი იყო. მასპინძლებს დიდი დრო არ დასჭირვებიათ „გონზე მოსასვლელად", თანაც, კოლეგის მსგავსად, **კობა ჟორჟიკაშვილმაც** ეფექტიანი შეცვლები გააკეთა და **გიორგი მიქაბერიძისა** და **დიმიტრი ტატანაშვილის** მოედანზე გამოჩენამ მნიშვნელოვნად განაპირობა კიდეც მატჩის ბედი. მასპინძელთა პირველი გოლი აშკარად დამუშავებულ „სტანდარტულს" მოჰყვა: **რევაზ გენაძემ** საჯარიმო შეასრულა, სტუმართა მცველებს კი საჰაერო დუელი **გივი კვარაცხელიამ** მოუგო და „მეტალურგის" კაპიტანმაც მოხდენილი თავურით ანგარიში გაათანაბრა. ამ ეპიზოდში სტუმართა უკანახაზელთა შეცდომა აშკარა იყო, მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, მეორე გოლის ეპიზოდში რომ ვნახეთ: ყოველ შემთხვევაში, დიმიტრი ტატანაშვილმა თავით ისე გადაგზავნა ბურთი მეტოქის კარში, ხელი არავის შეუშლია (ისე, კვარაცხელიაც და ტატანაშვილიც ჯერ კიდევ ერთი წლის წინ „დინამოში" თამაშობდნენ)...

**გია ტუხაშვილი**
რუსთავი-თბილისი

**P.S.** *ჯვარაცხელიას გოლიდან წუთიც არ იყო გასული, სტუმრებმა სწრაფი კონტრშეტევა შედეგიანად რომ დაასრულეს, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობის გამო გამო გოლი გააუქმა...*

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მეტალურგი | 27 | 16 | 4 | 7 | 37 | 28 | 52 |
| 2 | ზესტაფონი | 27 | 15 | 7 | 5 | 49 | 28 | 52 |
| 3 | ტორპედო | 27 | 13 | 6 | 8 | 31 | 23 | 45 |
| 4 | დილა | 27 | 10 | 7 | 10 | 36 | 29 | 37 |
| 5 | დინამო | 27 | 9 | 10 | 8 | 41 | 34 | 37 |
| 6 | კოლხეთი | 27 | 8 | 8 | 11 | 25 | 37 | 32 |
| 7 | ბაია | 27 | 5 | 7 | 15 | 24 | 43 | 22 |
| 8 | მერანი | 27 | 6 | 3 | 18 | 31 | 52 | 21 |

შენიშვნა: ცხრილი მომზადებულია www.gff-ge-ს მიხედვით

**ბოლო ტური**

**20 მაისი, კვირა**

კოლხეთი-მეტალურგი
დინამო-ბაია
ტორპედო-დილა
ზესტაფონი-მერანი

# მოსახდენი ბოლოს [illegible] მოხდა

16.05. თბილისი. მ. მესხი. 800 მაყურებელი

**დილა 1**

**ზესტაფონი 2**

0:1 დვალი (7. პენ.), 1:1 გურული (55. პენ.), 1:2 აფციაური (90)

*მე-11 წუთზე დვალმა (ზესტაფონი) ვერ გამოიყენა პენალტი (აცილა)*

| დილა | ზესტაფონი |
|---|---|
| 4-2-3-1 | 4-4-2 |
| შეყრილაძე | რ. კვასხვაძე |
| ალადაშვილი | ლონლაძე |
| სალუქვაძე | კობახიძე |
| ინწკირველი | საჯაია |
| თოთაძე | ელიავა |
| კანდელაკი | ბაბუნაშვილი |
| ახალკაცი | გორგიაშვილი |
| ბექვაია | მენთეშაშვილი |
| გურული | შ. გრიგალაშვილი |
| კახელიშვილი | დ. მუჯირი |
| ბარაბაძე | დვალი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| თ. შალამბერიძე | გ. ჭიაბრიშვილი |

**დილა**

60. ბარაბაძე – **ვაწაძე**
65. ბექვაია – **მეგრელიშვილი**
74. კანდელაკი - **ჯიქია**

*სათადარიგოები: სკენდერი, ქარქუზაშვილი, ი. ლომიძე, ნ. ნოზაძე*

**ზესტაფონი**

58. მუჯირი – **ოვონიკოკო**
60. ბაბუნაშვილი – **აფციაური**
79. გორგიაშვილი - გუგუჩია

*სათადარიგოები: მამალაძე, თ. გრიგალაშვილი, გ. ონიანი, რაჟამაშვილი*

გაფრთხილება: კობახიძე (4), ინწკირველი (10), ბაბუნაშვილი (50), საჯაია (66), ვაწაძე (84)

არბიტრი: თ. გვანცელაძე

ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურის წინ ქულათა თანაფარდობა ძალაში რჩება. "ზესტაფონმა", "მეტალურგის" მსგავსად, გამარჯვება მოიპოვა და ამით დებულების ყბადაღებული თემა კიდევ უფრო აქტუალური გახდა.

"ზესტაფონის" ამოცანა ნათელი იყო – იმისთვის, რომ საქართველოს მოქმედ ჩემპიონს ტიტულის შესანარჩუნებლად ბრძოლა გაეგრძელებინა, "დილა" აუცილებლად უნდა დაემარცხებინა.

სტუმრებმა მატჩი აქტიურად დაიწყეს და სწრაფი გოლიც გაიტანეს – "დილას" მცველმა საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა და არბიტრმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა. პენალტი **ჯაბა დვალმა** ზუსტად შეასრულა და ბომბარდირთა დავაში ლიდერობა განიმტკიცა.

სამიოდე წუთში კი "ზესტაფონმა" კიდევ ერთი პენალტის დარტყმის უფლება მოიპოვა – **ალექსანდრე ინწკირველმა** საკუთარ საჯარიმოში თამაშის წესები დვალის წინააღმდეგ ბრძოლისას დაარღვია. დვალმა დუბლი ვერ შეასრულა, მის მიერ დარტყმული თერთმეტმეტრიანი "დილას" კარს ზემოდან გადასცდა.

მალე ნომინალური მასპინძლებიც გააქტიურდნენ და **ალექსანდრე გურულის** მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმა **როინ კვასხვაძემ** კუთხურზე მოიგერია, ერთ წუთში კი **რევაზ ბარაბაძე** იყო ახლოს ანგარიშის გათანაბრებასთან, მაგრამ **ზაალ ელიავამ** ბურთს კარში შესვლის საშუალება არ მისცა.

პირველი ტაიმის დარჩენილი წუთები მთლიანად "ზესტაფონის" უპირატესობით წარიმართა და **გიორგი ჭიაბრიშვილის** გუნდმა ანგარიშის გაზრდის სამი რეალური შანსი გაუშვა ხელიდან – **შოთა გრიგალაშვილის** ეფექტური დარტყმა მიზანს ოდნავ ასცდა, მეკარესთან პირისპირ გასულ **თორნიკე გორგიაშვილს ბექა შეყრილაძემ** არ გაატანინა, **დავით მუჯირის** ჯარიმა კი "დილას" მეკარემ ხარიხის დახმარებით მოიგერია.

მატჩის მეორე ნახევარი ახალი დაწყებული იყო, დვალმა ეფექტური ვარდნით რომ სცადა გატანა – შეყრილაძეს საკუთარი გუნდის გადარჩენაში ამჯერად კარის ძელი "დაეხმარა".

თითქოს "დილას" კარში მეორე გოლი მწიფდებოდა, მაგრამ ბურთი "ზესტაფონის" კარში აღმოჩნდა. **ივანე კანდელაკის** ნაქცევისთვის დანიშნული პენალტი გურულმა გამოიყენა.

ამის შემდეგ თამაშის ტემპი საგრძნობლად დაეცა, რაც, შესაძლოა, სიცხის ბრალიც ყოფილიყო. "ზესტაფონმა", ბუნებრივია, გამარჯვების გოლის გასატანად თავი არ დაზოგა, მაგრამ დრო გადიოდა და სტუმართა შეტევას სიმწვავე სულ უფრო და უფრო აკლდებოდა. "დილას" დაწინაურებაც შეეძლო, მაგრამ გურულმა და შეცვლაზე შესულმა **მათე ვაწაძემ** არაზუსტად დაარტყეს.

"ზესტაფონი" შეტევაზე ბოლო ძალებით გადავიდა, მსაჯმა მატჩის ძირითად დროს ოთხი წუთი დაამატა, სტუმრებმა სანადელს მეორე დამატებულ წუთში მიაღწიეს – შეცვლაზე შესულმა **თორნიკე აფციაურმა** საშუალო დისტანციიდან ძლიერად დაარტყა და ბურთი "დილას" კარში ხარიხიდან ასხლეტით აღმოჩნდა.

ამ გოლმა კი ინტრიგა ჩემპიონატის ბოლო ტურსაც შეუნარჩუნა და კიდევ უფრო გაზარდა ძალიან უსიამოვნო პროცესის, დებულების გარშემო ამტყდარი დავის გამძაფრების შანსი.

**მატჩის შემდეგ**

**თემურ შალამბერიძე** (დილა): "ჩემს ფეხბურთელებს ძალ-ღონე არ დაუზოგავთ, მაგრამ დადებით შედეგს მაინც ვერ მივაღწიეთ. "ზესტაფონმა" უკეთ ითამაშა და დამსახურებულად მოიგო"

**გიორგი ჭიაბრიშვილი** (ზესტაფონი): "ჩემი გუნდის თამაშის ხარისხი დამაკმაყოფილებელი არ იყო. თამაშმა დაღლილობის ფონზე მოგვიწია და ამან ხარისხზე დიდი გავლენა იქონია".

**ლევან ჯანეზაშვილი**



ჯაბა დვალმა ანგარიში პენალტით გახსნა

თამუნა კულუმბეგაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პლეი ოფი

# უიღბლო დასასრული...

16.05. მარტვილი. ცენტრალური. 1 200 მაყურებელი

**მერანი 0**
**კოლხეთი 1**

0:1 პავლიაშვილი (65.ციცხვაიას პასით)

| მერანი 4-4-2 | კოლხეთი 4-4-2 |
| --- | --- |
| შეროზია | ნადირაშვილი |
| კაკუშაძე | გ. კილასონია |
| იობაშვილი | ხატიაშვილი |
| გ. ჟვანია | გოიოშო |
| სუხიაშვილი | ქორჩილავა |
| ვართაგავა | წაბრია |
| მანწკავა | ცხადაია |
| ფონიავა | ფოფხაძე |
| ე. გრიგალაშვილი | გულუა |
| ამბროლაძე | პავლიაშვილი |
| ტორონჯაძე | ციცხვაია |
| მწვრთნელი: მ. ჟვანია | მწვრთნელი: დ. მახარაძე |

**მერანი**

60. კაკუშაძე - **მელიავა**
60. ტორონჯაძე - **ტაპე**
70. მანწკავა - **ტორაძე**

*სათადარიგოები: შენგელია, კიკალიშვილი, წოწორია, ბოხუა*

**კოლხეთი**

55. გულუა - **გაბუნია**
69. ქორჩილავა - **კაკულია**
82. პავლიაშვილი - **ნიქარიშვილი**

*სათადარიგოები: ხარშილაძე, ბარამიძე, მოისწრაფიშვილი, გოგონაია*

გაფრთხილება: კილასონია (17), გ. ჟვანია (18), წაბრია (25), ტორაძე (70), კაკულია (72)

არბიტრი: ლ.სილაგავა

ზედიზედ რვა საშინაომატჩიანი სერია "მერანმა" გუშინ წარუმატებლად დაასრულა. მარტვილში მერანელებმა მიმდინარე სეზონში უკანასკნელად ითამაშეს და პრინციპულ მეტოქესთან მინიმალური ანგარიშით დამარცხდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, ამ შეხვედრის შედეგს არც ერთი გუნდისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაინც საინტერესო თამაშს ველოდით. სამწუხაროდ, კომბინაციური ფეხბურთი ვერც "მერანმა" შემოგვთავაზა და ვერც "კოლხეთმა", ხიფათიც აქა-იქ იქმნებოდა ხოლმე. ვთქვათ ისიც, რომ **დავით მახარაძემ** წინა ტურისაგან აბსოლუტურად განსხვავებული შემადგენლობა გამოიყვანა მოედანზე.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, საწყის წუთებში მასპინძლებმა სტანდარტიდან ორჯერ სცადეს ფონს გასვლა, ორივე შემთხვევაში **გიორგი მანწკავა** აქტიურობდა: პირველ ეპიზოდში მისი გადაცემის შემდეგ **ვალერი იობაშვილს** მართებდა გატანა, ხუთიოდე წუთში კი "კოლხეთის" კარი ერთ-ერთმა მცველმა იხსნა, ის მანწკავას საკმაოდ ძლიერად დარტყმულს გადაეფარა და მარტვილელები მხოლოდ კუთხურს დასჯერდნენ.

ყველაზე რეალური მომენტი მასპინძლებმა ტაიმის შუაწელს შექმნეს, როდესაც იმავე მანწკავას ჩინებული გადაცემის შემდეგ **მამუკა ტორონჯაძე** დარჩა მეკარესთან მარტო, თუმცა ზედმეტი მოინდომა და ეპიზოდი ქარს გაატანა. ბოლოსკენ სტუმრებმაც სცადეს ბედი: **დავით ციცხვაიას** შორეული დარტყმული **ჯონი შეროზიამ** მოიგერია.

შედარებით უკეთესი თუ ეთქმის მეორე ტაიმს. შესვენების შემდეგ აღსანიშნავია **ელგუჯა გრიგალაშვილის** ცრუ მოძრაობა, რომლის წყალობითაც მან გვერდი აუარა რამდენიმე მცველს, თუმცა მეკარეს ვერ აჯობა.

სტუმრები კონტრშეტევებით ცდილობდნენ წინ გასვლას, მათმა ტაქტიკამ მალე გაამართლა კიდეც: 65-ე წუთზე **ამირან წაბრიას** მიერ დაწყებული იერიში დავით ციცხვაიამ განაგრძო, ამ უკანასკნელის გამჭოლ გადაცემას კი **ილია პავლიაშვილი** გამოეხმაურა და 0:1.

გოლის შემდეგ "მერანი" შედარებით გამოფხიზლდა: გრიგალაშვილის კუთხურიდან ჩამოწოდებულს ვალერი იობაშვილმა შეუცვალა მიმართულება, თუმცა ბურთმა სანტიმეტრებში ჩაუფრინა **ლადო ნადირაშვილის** კარს. ცოტა ხანში გატანა შეეძლო **გიგა ჟვანიას,** მოგვიანებით კი ვალერი იობაშვილს, მათ დარტყმებს მცველები გადაეღობნენ და შესაბამისად, განმუხტეს მდგომარეობა.

78-ე წუთზე მარტვილელებს ანგარიშის გათანაბრება უთუოდ მართებდათ: **ანზორ სუხიაშვილის** გამჭოლ გადაცემას შეცვლაზე შემოსული **მუნინი ტაპე** გამოეხმაურა, რომელმაც დაახლოებით 5 მეტრიდან ბურთი ხარიხას მოახვედრა.

წესით, მთელი ამბები ამის შემდეგ უნდა დაწყებულიყო, თუმცა მატჩის ბოლო წუთები კიდევ უფრო მოსაწყენი გამოდგა. "მერანი" ტერიტორიულ უპირატესობას კი ფლობდა, მაგრამ მოწინააღმდეგის კართან ხიფათს ვერ ჰქმნიდა, ამის მიზეზი უპირველესად ფოთელ მცველთა თავგანწირული თამაში იყო. საბოლოოდ "კოლხურ დერბიში" "კოლხეთმა" იმარჯვა და გუნება-განწყობილება კიდევ უფრო აიმაღლა.

**მატჩის შემდეგ**

**დავით მახარაძე (კოლხეთი):** "ჩვენი შემადგენლობა ოპტიმალურისაგან ნამდვილად შორს იყო. დღევანდელ მატჩში 6 ახალგაზრდა ფეხბურთელს მივეცით თავის გამოჩენის შანსი. მათ იმედები სრულად გაამართლეს.".

**არჩილ ჩხაბერიძე (მერანი):** "მთელი მატჩის განმავლობაში მოედანზე ჩვენ ვდომინირებდით, გატანის არაერთი შესაძლებლობა ვერ გამოვიყენეთ და დავისაჯეთ. მეტოქეს ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი აკლდა, თუმცა ახალგაზრდებმა ძალიან კარგად ითამაშეს და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს.

**ბესიკ გვაზავა**
მარტვილიდან



ტორპედომ ზუგდიდში ევროპალიგის საგზური გაინაღდა

ფოტო: www.fctorpedo.ge

16.05. ზუგდიდი. ბაიას ბაზა. 1000 მაყურებელი

**ბაია 0**
**ტორპედო 2**

0:1 გოცირიძე(65, დოლიძის პასით), 0:2 საბანაძე(90)

| ბაია 4-4-2 | ტორპედო 4-2-3-1 |
| --- | --- |
| მაქაცარია | მიგინეიშვილი |
| აქუბარდია | იოსელიანი |
| აფაქიძე | კვახაძე |
| პაჭკორია | გამეზარდაშვილი |
| აკობია | გ. გურული |
| ქვარცხავა | დილმელაშვილი |
| სიხარულია | გ. დათუნაიშვილი |
| ფარჯიკია | დოლიძე |
| ენდელაძე | ვ. ბოლქვაძე |
| კუკავა | საბანაძე |
| გაბედავა | გოცირიძე |
| მწვრთნელი ე. ქომეთიანი | მწვრთნელი გ. გეგუჩაძე |

**ბაია**

50. სიხარულია - **ნ.შონია**
68. კუკავა – **შ. ლომია**
85. ქვარცხავა - **გუჯეჯიანი**

*სათადარიგო: ჯომიდავა, გამრეკლიძე, ბულია, კანკია*

**ტორპედო**

72. დოლიძე – **თარხნიშვილი**
72. ვ.ბოლქვაძე – **ფირცხალავა**
84. გოცირიძე – **კუხიანიძე**

*სათადარიგო: ქვილითაია, ტაბატაძე, ფარულავა, ფანცულაია*

მსაჯი: მ.ბეუქლიშვილი

# ევროპაზე შვიდი წლის შემდეგ

ქუთაისის "ტორპედომ" შვიდწლიანი პაუზის შემდეგ ევროსაგზური მოიპოვა. გუშინ მის უშუალო კონკურენტებს, გორის "დილას" და თბილისის "დინამოს" რომც მოეგოთ, "ტორპედო" მესამე ადგილს და ევროლიგაზე თამაშის უფლებას მაინც გაინაღდებდა.

ქუთაისელები პირველად მე-10 წუთზე დაემუქრნენ მასპინძელთა კარს – **ნიკა საბანაძის** ოციოდე მეტრიდან დარტყმული **არჩილ მაქაცარიამ** მოიგდო ხელებში. მალე რიონისპირელებს საგოლე მომენტიც ჰქონდათ, როცა **ვალერი ბოლქვაძის** პასით **გრიგოლ დოლიძე** პირისპირ აღმოჩნდა მაქაცარიასთან, მაგრამ "ბაიას" მეკარეს ვერ აჯობა.

"ბაიამ" თანდათან გამოაკეთა თამაში და "ტორპედოს" აგრძნობინა, რომ იოლად არაფრის დათმობას არ აპირებდა. **აკაკი ფარჯიკიამ** ისეთი დააქუხა შორიდან, რომ ხარიხა შეატორტმანა.

თამაში უკვე გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, თუმცა საგოლე შესაძლებლობა ისევ "ტორპედომ" შექმნა: დოლიძემ **გიორგი პაჭკორია** მოხდენილად ჩამოიცილა, ისევ მარტო დარჩა მეკარესთან და ბურთი ვერც ამჯერად ააცილა მას.

ხვატი იყო ზუგდიდში და ხელოვნურ საფარზე თამაშიც განსაკუთრებულად უჭირდათ ფეხბურთელებს. მიუხედავად ამისა, მოოხშივრე მოედანზე არც ერთ გუნდს არ აკლდა ნიათი, მეორე ტაიმიც დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა.

48-ე წუთზე **გიორგი გურულმა** ისეთი ამოსცხო ბურთს, რომ "ბაია" ხარიხამ იხსნა. ზუგდიდელები მძლავრად ვერა, მაგრამ მაინც რიგიანად თამაშობდნენ, ერთი-ორი მწვავე ეპიზოდიც შექმნეს მეტოქის საჯარიმისთან, თუმცა საგოლე მომენტამდე საქმე არ მიუყვანიათ.

ქუთაისიელებმა კი ნაპრალი მაინც მოუძებნეს "ბაიას" დაცვას: დოლიძე მარჯვენა ფლანგიდან შუისკენ შეიწია, თავით გამოთავისუფლებულ ზონაში დაუგდო ბურთი **რევაზ გოცირიძეს**, გამოცდილმა ფორვარდმაც საშუალო დისტანციიდან უნაკლოდ შეასრულა დარტყმა და "ტორპედო" დაწინაურდა.

"ბაია" თითქოს ბოლომდე იბრძოდა, მაგრამ ქანცი უკვე გამოცლილი ჰქონდა. გოცირიძეს კი დუბლის შესრულება მართებდა, როცა **ფირცხალავა-თარხნიშვილის** კომბინაციის შემდეგ მეკარისგან მიტოვებულ კარში ვერ გადაგზავნა ბურთი.

"ტორპედომ" მეორე გოლი მაინც გაიტანა – **გიორგი კუხიანიძის** დარტყმა მაქაცარიამ მოიგერია, დამატებაზე კი ქუთაისელთაგან ერთ-ერთმა გამორჩეულმა, საბანაძემ იმარჯვა.

**დავით თავართქილაძე**
ზუგდიდიდან

## პლეი აუტი. დღეს

| ად | გუნდი | სულ თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | გაშვ | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | გაშვ | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | გაშვ | ქ |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 1 | ჩიხურა | 12 | 8 | 2 | 2 | 24 | 10 | 26 | 6 | 4 | 2 | 0 | 13 | 1 | 14 | 6 | 4 | 0 | 2 | 11 | 9 | 12 |
| 2 | ვიტ ჯორჯია | 12 | 6 | 2 | 4 | 16 | 9 | 20 | 6 | 5 | 0 | 1 | 14 | 4 | 15 | 6 | 1 | 2 | 3 | 2 | 5 | 5 |
| 3 | გურია | 12 | 5 | 5 | 2 | 18 | 18 | 20 | 6 | 2 | 3 | 1 | 7 | 7 | 9 | 6 | 3 | 2 | 1 | 11 | 11 | 11 |
| 4 | ბათუმი | 12 | 5 | 3 | 4 | 13 | 12 | 18 | 6 | 4 | 1 | 1 | 10 | 5 | 13 | 6 | 1 | 2 | 3 | 3 | 7 | 5 |
| 5 | სპარტაკი | 12 | 5 | 3 | 4 | 15 | 13 | 18 | 6 | 3 | 2 | 1 | 10 | 8 | 11 | 6 | 2 | 1 | 3 | 5 | 5 | 7 |
| 6 | სიონი | 12 | 4 | 6 | 2 | 18 | 11 | 18 | 6 | 3 | 2 | 1 | 12 | 5 | 11 | 6 | 1 | 4 | 1 | 6 | 6 | 7 |
| 7 | გაგრა | 12 | 2 | 4 | 6 | 11 | 18 | 10 | 6 | 1 | 3 | 2 | 4 | 5 | 6 | 6 | 1 | 1 | 4 | 7 | 13 | 4 |
| 8 | მერცხალი | 12 | 0 | 1 | 11 | 2 | 26 | 1 | 6 | 0 | 0 | 6 | 2 | 10 | 0 | 6 | 0 | 1 | 5 | 0 | 16 | 1 |

*შენიშვნა: ცხრილი მომზადებულია www. gff-ge-ს მიხედვით*

**ჩემპიონატის ჩატარების პირობები**

*4.4 უმაღლეს, პირველ და დუბლების ჩემპიონატში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპით:*

*4.4.1. ჩემპიონატში მოგებათა მეტი რაოდენობა;*

*4.4.2. უშუალოდ ერთმანეთში შეხვედრების შედეგები (ქულათა რაოდენობა და შემდეგ ბურთების უკეთესი სხვაობა. ბურთების ერთნაირი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ერთმანეთთან შეხვედრებში სტუმრად მეტი გოლი აქვს გატანილი);*

*4.4.3. ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;*

*4.4.4. ჩემპიონატში გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;*

*4.4.5. ჩემპიონატში სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;*

**გურია-მერცხალი** 17.05. ლანჩხუთი. ევ. შევარდნაძე 17:00

**ბათუმი-ვიტ ჯორჯია** 17.05. ბათუმი. ადელი 17:00

**ჩიხურა-სპარტაკი** 17.05. საჩხერე. ცენტრალური 17:00

**სიონი-გაგრა** 17.05. ბოლნისი. თ. სტეფანია 17:00

## ქართული ფეხბურთი

სიტუაცია



გოჩა ხოჯავა (ბურთით)

ფოტო: www.fcdila.ge

# ითამაშებს ხოჯავა ფინალში?

მარტვილში "მერანისა" და გორის "დილას" შეხვედრის 78-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც მოულოდნელად მოედანზე კონფლიქტი წარმოიქმნა: მასპინძელთა ლიდერი **გიორგი მანწკავა** სტუმართა შემტევი ნახევარმცველის **გოჩა ხოჯავას** გაჩერებას ხისტად ცდილობდა, რამაც "დილას" ფეხბურთელი გაამწარა და ფეხი მიარტყა.

ფეხბურთელებს ჩხუბამდე ცოტა დააკლდათ, მაგრამ მალე დამშვიდდნენ, მატჩის მთავარმა არბიტრმა **დავით ხარიტონაშვილმა** ხოჯავას წითელი ბარათი აჩვენა და მოედნიდან გააძევა, მანწკავას კი ყვითელი ბარათი აუფრიალა.

მოედნიდან ხოჯავა თანაგუნდელებმა გამოიყვანეს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ვერ აჩერებდნენ – მას მუხლი ჰქონდა დაზიანებული და თანაგუნდელების დახმარება დასჭირდა. როგორც გვითხრა, მეტოქემ ფეხი მარჯვენა მუხლსა და მარცხენას წვივში ჩასცხო, ამიტომ გავმწარდიო.

გუნდის ექიმმა სასწრაფოდ ფეხზე ყინული დაადო, მაგრამ მუხლი გასიებული ჰქონდა და სტადიონი კოჭლობით დატოვა. წითელი ბარათის გამო, "დილას" პლეიმეიკერი ჩემპიონატში დარჩენილ ორ შეხვედრას მაინც გამოტოვებს. თუმცა, გორელები იმედოვნებენ, რომ ხოჯავა 26 მაისამდე მომჯობინდება და საქართველოს თასის ფინალში "დილას" დაეხმარება.

**მერაბ მამულაშვილი**

სავარაუდო ტრანსფერი

# გვალიას დილა გორში გაუთენდება



ლაშა გვალია

ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი მოთამაშე ფოთის "კოლხეთის" კაპიტანი **ლაშა გვალია** არის. შესაძლოა, ამ ფეხბურთელს გულშემატკივარი კარგად არ იცნობს, ახალგაზრდულ ნაკრებშიც მხოლოდ ერთხელ ითამაშა, მაგრამ ვისაც ფეხბურთელის შერჩევის უნარი გააჩნია, მის შესაძლებლობებს კარგად აფასებს.

გვალია პლეიმეიკერია და კლუბებს თავი თამაშის აზრიანი გაძღოლით დაამახსოვრდა. გარდა ამისა, ისიც ბევრს ნიშნავს, რომ 21 წლის შემტევი ნახევარმცველი პიროვნული თვისებების გამო ფოთის "კოლხეთის" კაპიტნად აირჩიეს. ამდენად, ლაშა უმაღლეს ლიგაში ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშეა, რომელსაც გუნდი სამკლავურით გაჰყავს. რაც მთავარია, 4 წელია, ლაშა "კოლხეთის" ძირითად შემადგენლობაში თამაშობს და თავი საუკეთესოდ წარმოაჩინა. ინტერნეტსააგენტო "ტრანსფერმარკტი" მის ტრანსფერს 100 ათას ევროდ აფასებს.

ბოლო ინფორმაციით, გვალიას გადასაბირებლად დიდი ამბები დატრიალდა. მას ერთდროულად იწვევდნენ თბილისის "დინამო", რუსთავის "მეტალურგი" და გორის "დილა". თბილისელები ნებისმიერი სასურველი პირობის შესრულებაზე თანახმა იყვნენ, "მეტალურგი" კი მის დათანხმებას შარშანაც ცდილობდა. მაგრამ ფოთელებმა ფეხბურთელის ფასი თავადაც კარგად იცოდნენ, მხოლოდ საკომპენსაციოს არ დათანხმდნენ და საბოლოოდ, ეს მოლაპარაკება ჩაიშალა.

გორის "დილას" მესვეურებმა ფეხბურთელს თვალი ზამთარში დაადგეს. გვალიათი **მამუკა ჯულელი** დაინტერესდა, მოლაპარაკება დაიწყო და სიტყვიერი შეთანხმებაც დაიდო, რომ "კოლხეთის" კაპიტანი ზაფხულში გორის კლუბში გადავიდოდა.

როგორც ჩანს, ასეც მოხდება. გვალიას ტრანსფერი "დინამოსთვის" ერთ-ერთი პრიორიტეტული იყო, ყველაზე ტიტულოვან ქართულ კლუბში გადასვლის სურვილი ფეხბურთელსაც ჰქონდა, მაგრამ თბილისელებმა დაიგვიანეს: გვალიამ მათი ინტერესი გვიან შეიტყო და "დილასთან' დადებული პირობა ველარ დაარღვია. არადა, ამტკიცებენ, რომ საკმაოდ მაცდური წინადადებით მიმართეს.

შეგახსენებთ, რომ გორელებმა "ზესტაფონის" ცენტრალურ მცველთან გიორგი ონიანთან წინასწარი კონტრაქტი გააფორმეს.

**მერაბ მამულაშვილი**

U 19

# კვლავ უმცროსებთან

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ხორვატიაში ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდისთვის ემზადება. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ოთარ კორღალიძემ** ფეხბურთელები ეროვნული გუნდის საწვრთნელ ცენტრ "ბასაში" შეკრიბა და ორი დღეა, ინტენსიურად ავარჯიშებს.

უკვე ვწერდით, რომ კორღალიძეს სერიოზული საფიქრალი აქვს – არნემის "ვიტესი" **ვაკო ყაზაიშვილსა** და **გიორგი ჭანტურიას** მხოლოდ 20 მაისს უშვებს, დანიური "ორჰუსი" კი - **დავით სხირტლაძეს** 24 მაისს და ჩვენი ნაკრები სრული შემადგენლობით მხოლოდ ხორვატიაში შეიკრიბება. ცხადია, დასკვნით მოსამზადებელ ეტაპზე ეს გაუთვალისწინებელი და არასასურველი ფაქტებია.

პრობლემები ამით არ ამოწურულა. 19-წლამდელების თავკაცი ხორვატიაში გამგზავრებამდე სომხეთთან ამხანაგურ მატჩს გეგმავდა და წინასწარი თანხმობაც მიიღო, მაგრამ ჩვენმა მეზობლებმა ბოლოს "ფირფიტა ამოატრიალეს", თბილისში თამაში არ გვაწყობს, ერევანში შევხვდეთო. ეს კორღალიძისთვის მიუღებელი წინადადება იყო, რადგან მგზავრობაში გუნდი დროს დაკარგავდა და რიტმიდან ამოვარდებოდა.

სხვა გზა რომ არ დარჩა, როგორც პორტუგალიის ოთხთა ტურნირზე გამგზავრებამდე, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა სპარინგი ახლაც 19-წლამდელთა შემდგომი თაობის (1994 წელს დაბადებულები) თავკაცს **კახა კაჭარავას** შესთავაზა.

კაჭარავამ ნაკრების წევრები სასწრაფოდ გამოიძახა და მისი თქმით, გადაწყვეტილია, რომ 19-წლამდელთა უფროსი და უმცროსი ასაკის ნაკრებები ერთმანეთს 18 მაისს, 17:00 საათზე ეროვნული გუნდის ტექნიკურ ცენტრ "ბასაზე" დაუპირისპირდებიან.

**მერაბ მამულაშვილი**

ეპოქის დასასრული

# LA GAZZETTA DELLO SPORT
# რა დაგვავიწყებს კახა კალაძეს?

საქართველოს ნაკრებისა და „ჯენოას" ფეხბურთელმა **კახა კალაძემ** კარიერა დაასრულა. კახამ ბუცები მაშინ ჩამოკიდა, როდესაც ეს ნაბიჯი გადადგეს "სკუადრა აძურას" ყოფილმა ლიდერებმა და იტალიაში მოთამაშე სხვა დიდმა ფეხბურთელებმა.

"ეპოქის დასასრული" – ასე შეაფასა "გაძეტა დელო სპორტმა" მათი ფეხბურთიდან წასვლა და ამ სახელოვანთა სიაში კახა კალაძეც დაასახელა. მართალია, ეს "ლელოში" ორიოდე დღის წინ იყო ნახსენები, მაგრამ ტექსტი არ იყო თარგმნილი და დღეს შემოგთავაზებთ:

*"ჩვენ დღეს კარისკენ გაცილებთ. როგორც მეგობრებს იმ საღამოს შემდეგ, რომელმაც თქვენი წყალობით ბრწყინვალედ ჩაიარა. აღელვებულები და მადლიერები ვართ. ეს ის კარია, რომელსაც თქვენ წლების განმავლობაში იცავდით და ამ ამაგს ვერასოდეს დაგივიწყებთ: დელ პიერო, პიპო ინძაგი, ძამბროტა, გატუზო, ნესტა, ზეედორფი, კორდობა, დი ვაიო, კალაძე.*

*... ხვალ ისინი დატოვებენ იტალიასა და ფეხბურთს, რომელიც მათი წყალობით მითიური გახდა. ეს იმდენად ხმაურიანი ჯგუფის გაცილება იყო, რომ შიში გვიპყრობს იმ სიჩუმისა და სიცარიელის წარმოდგენაზე, რაც მათი წასვლის შემდეგ სტადიონებზე დაისადგურებს.*

*... რა დაგვავიწყებს კახა კალაძეს, რომელიც გატანილი გოლის შემდეგ ყოველთვის უკან დგამდა ფეხს? კაცს, რომელმაც საუკეთესო წლებში დიდ წარმატებებს მიაღწია და ძმის ტრაგედია გადაიტანა.*

*... მათ კარიერაზე ხსოვნას ისევე შევინახავთ, როგორც ძველ ფიგურებს, რომელთანაც წლებისწინანდელი მშვენიერი მოგონებები გვაკავშირებს. მოდით, მადლობა გადავუხადოთ, რადგან უამრავი საფეხბურთო კვირა გაგვილამაზეს, დიდი მღელვარებები და გამარჯვებები გვაჩუქეს. ეს იყო ლამაზი გრძნობები, რომელმაც განმინდა დიდი სირცხვილით შემოსილი იტალიური ფეხბურთი.*

*... თქვენ არავინ გაიძულებდათ წასვლას. პირიქით, მაღლა ასწიეთ თავები, რადგან შექმენით ისტორია, რომელიც*



კახა კალაძე

*ყოველთვის გვემახსოვრება. დიდი მადლობა ამისთვის ბიჭებო!"* – წერს "გაძეტა დელო სპორტი".

შევიტყვეთ, რომ ქართველმა გულშემატკივრებმა წამოიწყეს მოძრაობა და კალაძისთვის გამოსამშვიდობებელი მატჩის ორგანიზებას ითხოვენ. პოლიტიკაში ვინ ვისიანია, ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანია, რადგან კალაძე ქართულ ფეხბურთს ემსახურა და ამ სამყაროსგან ლამაზ დამშვიდობებას იმსახურებს.

**მერაბ მამულაშვილი**

U 17. ევროპის ჩემპიონატი. ფინალი



# ჰოლანდია ჩემპიონია!
## პენალტებში გერმანიაც აგებს

**ჰოლანდია–გერმანია 1:1 (პ. 5:4)**

**0:1 გორეტცკა (45), 1:1 აკოლასტე (80)**

თითქოს გერმანელთა გამარჯვება გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ მსაჯის მიერ დამატებულ პირველ წუთზე შეცვლაზე შესულმა ჰოლანდიელმა **ედსონ აკოლასტემ** ეფექტური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა და საქმე პენალტების სერიამდე მიიყვანა (17-წლამდელებში დამატებითი დრო არ არსებობს).

ნარინჯისფერებმა თერთმეტმეტრიანებში გასაოცარი ცივსისხლიანობა გამოავლინეს და ხუთივე დარტყმა გამოიყენეს. გერმანელი **მარკ შტენდერას** პენალტი კი ჰოლანდიელთა მეკარე **ნიკ ოლიმ** მოიგერია.

ჰოლანდია, რომელმაც ნახევარფინალში საქართველოს ნაკრებს სძლია, ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონი ზედიზედ მეორედ გახდა. აღსანიშნავია, რომ ჰოლანდიელთა ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი **ალბერტ სტუივენბერგი** გუნდს შარშანდელ ჩემპიონატზეც სათავეში ედგა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ასაკობრივი ნაკრები

# 14-წლამდელები გოჩა ავსაჯანიშვილს ჩააბარეს

ხუთი თვეა, საქართველოს 14-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელის პოსტი ვაკანტური იყო. გუნდის თავკაცს, **გოჩა ტყებუჩავას** დეკემბერში ზუგდიდის "ბაია" ჩააბარეს და ორ თანამდებობას ვერ შეითავსებდა.

შევიტყვეთ, რომ 14-წლამდელთა ნაკრებში მას **გოჩა ავსაჯანიშვილი** შეცვლის. ინფორმაცია ამ უკანასკნელმა თავად დაგვიდასტურა.

35-ე სკოლის მთავარ მწვრთნელს ნაკრებებში მუშაობის საკმაოდ მდიდარი გამოცდილება გააჩნია: **კობა ჟორჟიკაშვილს** 17-წლამდელებში ასისტენტის რანგში ეხმარებოდა, ახლახან კი **კახა კაჭარავამ** 19-წლამდელებშიც იმავე როლში მიიწვია.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2012. ინგლისის ნაკრები

# ჰოჯსონმა შემადგენლობა დაასახელა

ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **როი ჰოჯსონმა** იმ 23 კაცის ვინაობა დაასახელა, ვისაც ის „ევრო 2012"-ზე იახლებს თან. ამას გარდა, ცნობილია კიდევ 5 სარეზერვო ფეხბურთელი. ნაკრებში ისინი მხოლოდ სხვების მიერ ტრავმის მიღების შემთხვევაში მოხვდებიან. ცოტა მოულოდნელი იყო, რომ 30 კაცშიც კი ვერ მოხვდნენ **მიკა რიჩარდსი** და **რიო ფერდინანდი**. ეს მხოლოდ ჩვენი ვარაუდია, მაგრამ უკანასკნელი ევროპის ჩემპიონატის მიღმა ალბათ **ჯონ ტერისთან** დაძაბული ურთიერთობის გამო აღმოჩნდა. ჰოჯსონმა ტრავმების გამო მოისაკლისა მცველები **კაილ უოლკერი** და **მაიკ დოუსონი** (ორივე ტოტენჰემი), ასევე თავდამსხმელი **დარენ ბენტი** (ასტონ ვილა). სიურპრიზი იყო სიაში "არსენალის" თინეიჯერი შემტევი ნახევარმცველის **ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენის** მოხვედრა. ჰოჯსონი საბოლოო სიას უეფაში 27 მაისს გადაგზავნის.

**მეკარეები:** ჯო ჰარტი (მანჩესტერ სიტი), რობერტ გრინი (ვესტ ჰემი), ჯონ რადი (ნორვიჩი)

**მცველები:** ლეიტონ ბეინსი (ევერტონი), გარი კეჰილი, ჯო კოული, ჯონ ტერი (ყველა ჩელსი), გლენ ჯონსონი (ლივერპული), ფილ ჯონსი (მანჩესტერ იუნაიტედი), ჯოლეონ ლესკოტი (მანჩესტერ სიტი)

**ნახევარმცველები:** გარეთ ბერი, ჯეიმს მილნერი (ორივე მანჩესტერ სიტი), სტიუატ დაუნინგი, სტივენ ჯერარდი (ორივე ლივერპული), ფრენკ ლემპარდი (ჩელსი), ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი, ტეო უოლკოტი (ორივე არსენალი), სკოტ პარკერი (ტოტენჰემი), ეშლი იანგი (მანჩესტერ იუნაიტედი)

**თავდამსხმელები:** ენდი კეროლი (ლივერპული), ჯერმეინ დეფო (ტოტენჰემი), უეინ რუნი, დენი უელბეკი (ორივე მანჩესტერ იუნაიტედი)

**სარეზერვო სია:** ჯეკ ბუტლანდი (ბირმინგემი), ფილ იაგიელკა (ევერტონი), ჯონათან ჰენდერსონი (ლივერპული), ადამ ჯონსონი (მანჩესტერ სიტი), დენიელ სტარიჯი (ჩელსი)



როი ჰოჯსონმა რიო ფერდინანდი დაიწუნა

ევრო 2012. ჰოლანდიის ნაკრები

# ცხრა კაცი გაიცხრილა


ბერტ ვან მარვიიკი

ჰოლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ბერტ ვან მარვიიკმა** თავდაპირველად ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად 36 ფეხბურთელს უხმო. გუშინ კი ფედერაციის ვებგვერდზე იმ 9 მოთამაშის გვარი გამოქვეყნდა, რომლებიც ეროვნულ გუნდს პირველ ეტაპზე ჩამოშორდნენ. მაშ ასე, შეკრება დატოვეს მეკარეებმა **ერვინ მიულდერმა** (ფეიენოორდი), **იასპერ სილესენმა** (აიაქსი), მცველებმა **ნიკ ფირგევერმა** (ალკმაარი), **სტეფან დე ვრეიმ** (ფეიენოორდი), **ედვიგეს მადურომ** (ვალენსია), **ურბი ემანუელსონმა** (მილანი), ნახევარმცველებმა **ჟორჟინიო ვაინალდუმმა** (ეინდჰოვენი), **ალექსანდრ ბიუტნერმა** (ვიტესი) და თავდამსხმელმა **ოლა ჯონმა** (ტვენტე).

ბერტ ვან მარვიიკის განკარგულებაში შემდეგი ფეხბურთელები რჩებიან:

**მეკარეები:** მიხელ ვორმი (სუონსი), ტიმ კრული (ნიუკასლი), მაარტენ სტეკელენბურგი (რომა)

**მცველები:** ჯეტრო ვილემსი, ვილფრედ ბუმა (ორივე ეინდჰოვენი), რონ ვლაარი (ფეიენოორდი), ვურნონ ანიტა, გრეგორი ვან დერ ვილი (აიაქსი), იორის მატიისენი (მალაგა), ჯონი ჰეიტინგა (ევეტონი), ხალიდ ბულაჰრუზი (შტუტგარტი)

**ნახევარმცველები:** კევინ სტროოტმანი (ეინდჰოვენი), ადამ მახერი (ალკმაარი), იბრაჰიმ აფელაი (ბარსელონა), სტინ სხაარსი (სპორტინგი), ვესლი სნეიდერი (ინტერი), რაფაელ ვან დერ ვაარტი (ტოტენჰემი), ნაიჯელ დე იონგი (მანჩესტერ სიტი), მარკ ვან ბომელი (მილანი)

**თავდამსხმელები:** ლუკ დე იონგი (ტვენტე), ჯერმეინ ლენსი (ეინდჰოვენი), ლუსიანო ნარსინხი (ჰერენვენი), სიმ დე იონგი (აიაქსი), დირკ კუიტი (ლივერპული), არიენ რობენი (ბაიერნი), კლაას იან ჰუნტელაარი (შალკე)

ამბები



იან ვერტონგენი

## უარი ტოტენჰემს

GOAL.COM-ის ცნობით, "აიაქსმა" და "ტოტენჰემმა" **იან ვერტონგენის** ტრანსფერზე შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. ამსტერდამელები ბელგიელ ცენტრალურ მცველში 13 მილიონ ევროს ითხოვენ, მაშინ როცა ლონდონელები მათ 8,1 მილიონს სთავაზობდნენ. "დეზებს" აქვთ შანსი, გაუმჯობესებული წინადადებით მოახერხონ ჰოლანდიის ჩემპიონების დაყოლიება. გეტყვით, რომ ვერტონგენსა და "ტოტენჰემს" შორის პირადი კონტრაქტი უკვე შეთანხმებულია. ლონდონური კლუბი ფეხბურთელს კვირაში 60 ათას ფუნტს სთავაზობს, რაც მის ამჟამინდელ ხელფასს ზუსტად ორჯერ აღემატება.

## მალე გაირკვევა

"ასტონ ვილამ" სეზონის დასრულებისთანავე გაათავისუფლა თანამდებობიდან **ალექს მაკლიში**, რამაც ბირმინგემელთა ფანებს შორის დიდი სიხარული გამოიწვია. მოგეხსენებათ, შოტლანდიელი მათ შორის ძალიან არაპოპულარული იყო. კლუბის წარმომადგენლების თქმით, ამჟამად თანამდებობის დაკავების ორი გამორჩეული ფავორიტი არსებობს – "უიგანის" თავკაცი **რობერტო მარტინესი** და "ნორვიჩის" დამრიგებელი **პოლ ლამბერტი**. ბირმინგემში დღე დღეზე ელოდებიან კლუბის მესაკუთრეს, ამერიკელ მილიარდერ **ენდი ლერნერს**, ვინც გადაწყვეტილებას ადგილზე მიიღებს და ოკეანის გაღმა მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდება.

## პრემიერლიგა ელექტროსისტემას მიენდობა

ინგლისური პრემიერლიგის გენერალური დირექტორის **რიჩარდ სკუდემორის** განცხადებით, მომდევნო სეზონის შუა პერიოდიდან ლიგა ალბათ თამაშის მიმდინარეობისას ვიდეოგამეორებებს შემოიღებს. *"თავდაპირველად გვინდოდა, სისტემა სეზონის დაწყებისთანავე დაგვენერგა, მაგრამ მერე გადავწყვიტეთ, რომ ეს შუა ნაწილში გაგვეკეთებინა. საკითხი მხოლოდ კარის ალებას შეეხება. ელექტროსისტემების წყალობით შევძლება იმის ზუსტად დაფიქსირება, გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი. ამისთვის საუკეთესო სისტემის შერჩევალა დაგვრჩა,"* – განუცხადა სკუდემორმა "სქაი სპორტს". შეგახსენებთ, რომ უკვე არსებობს ორი ელექტროსისტემა, რომელსაც შეუცდომლად შეუძლია გოლის დაფიქსირება, ესენია Hawk-Eye და Goalref.


რობერტო მარტინესი

პრემიერლიგა

# ჩრდილიდან გამოსვლა

ნაწილი I

**"მანჩესტერ სიტის" მიერ პრემიერლიგის მოგება მარტო ერთ რამეს ნიშნავს: ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მეზობლების მუდმივი დაცინვის შემდეგ კლუბი "იუნაიტედის" ჩრდილიდან გამოვიდა. ბრიტანული Sport Look-ის მიმომხილველი სტივ ჰორტონი ამ თემაზე საინტერესო სტატიას გვთავაზობს.**

## არენდიდან ტრაგედიამდე

არადა, შეიძლებოდა ყველაფერი სულ სხვაგვარად წარმართულიყო. მეორე მსოფლიო ომამდე მანჩესტერის უძლიერესი კლუბი სწორედ "სიტი" იყო. "ქალაქელებმა" 1937 წლის ჩემპიონატი მოიგეს, სამი წლით ადრე კი ასოციაციის თასზე გაიმარჯვეს. ამ დროს "იუნაიტედი" მხოლოდ მოგონებებით ცხოვრობდა. "წითელი ეშმაკები" ხომ წარმატებებს ჯერ კიდევ 1-ელ მსოფლიო ომამდე შესწვდნენ, როცა 1908 და 1911 წლებში გახდნენ ჩემპიონები, 1909 წელს კი თასი მოიგეს. რაც უნდა ყოფილიყო, 30-იანი წლების ბოლოს ფეხბურთმა მეორე პლანზე გადაინაცვლა, რადგან კონტინენტზე სისხლისმღვრელი შეტაკებები დაიწყო.

მე-2 მსოფლიო ომის დროს "ოლდ ტრეფორდი" დაიბომბა. სწორედ ამიტომ "იუნაიტედი" იძულებული გახდა, 1946 წლიდან "სიტის" "მეინ როუდი" ექირავა. მიუხედავად იმისა, რომ არენდატორები მათგან ძალიან დიდ თანხას ითხოვდნენ, "იუნაიტედმა" მაინც მოახერხა მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს კლუბად ქცეულიყო. ეს ყველაფერი, უპირველესად, **მეტ ბასბის** დამსახურება იყო. მწვრთნელისა, რომელმაც ოდესღაც "ლივერპულის" სამწვრთნელო შტაბში მუშაობაზე თქვა უარი. 38 წლის შოტლანდიელი ფეხბურთელობის ჟამს სწორედ "ლივერპულსა" და "სიტიში" თამაშობდა, გუნდის მართვის გამოცდილება კი საერთოდ არ ჰქონდა. ბასბისთვის ამას ხელი არ შეუშლია, გუნდი ზედიზედ სამჯერ მიეყვანა ქვეყნის ვიცე-ჩემპიონის ტიტულამდე – 1947/49 წლებში, 1948-ში კი ასოციაციის თასი მოეგო.

ამ გამარჯვებების წყალობით, "მეინ როუდის" დასწრების რეკორდი არა "სიტის" რომელიმე შეხვედრაზე, არამედ "იუნაიტედი"-"არსენალის" მატჩზე დაფიქსირდა 1948 წლის იანვარში. არენაზე ფეხბურთის საყურებლად 83 ათასი ადამიანი შეიკრიბა. 50-იანებში "იუნაიტედი" "ოლდ ტრეფორდს" დაუბრუნდა, რათა კიდევ უფრო დიდი წარმატებებისთვის მიეღწია. გუნდმა 1952, 1956 და 1957 წლებში მოიგო ინგლისის ჩემპიონობა. მართალია, 1956-ში თასი "სიტიმ" მოიგო, მაგრამ ეს წარმატება "ეშმაკების" საჩემპიონო ტრიუმფმა დაჩრდილა. "იუნაიტედს" სწორედ ამ წლებში შეერქვა სახელი "ბასბის ბიჭები", რადგან გუნდს შემადგენლობაში ძალიან ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი ჰყავდა.

1958 წლის 6 თებერვლის მიუნხენურმა კატასტროფამ "იუნაიტედის" 8 ფეხბურთელის სიცოცხლე შეიწირა. თვითმფრინავმა, რომელიც ბელგრადში ჩემპიონთა თასის მატჩიდან შინ ბრუნდებოდა, ცუდი ამინდის გამო ვერ შეძლო ასაფრენ ზოლს მოსწყვეტოდა და აეროპორტის ღობეს დაეჯახა. ბასბიმ უამრავი ტრავმა მიიღო, მაგრამ გადარჩა და სამწვრთნელო კარიერა განაგრძო. 3 თვის შემდეგ ის თასის ფინალში გავიდა, სადაც სისხლისგან დაცლილმა "იუნაიტედმა" "ბოლტონთან" 0:2 წააგო.

## წითელი ეშმაკების ჩრდილში

60-იანმა წლებმა მანჩესტერის საუკეთესო გუნდის სტატუსისთვის ბრძოლაში ჩაიარა. 1963 წელს "იუნაიტედმა" თასი მოიგო, მაშინ როცა "სიტი" უმაღლესი ლიგიდან გავარდა, მაგრამ დაბრუნდა თუ არაგამარჯვებებმა დიდხანს აღარ დააყოვნა. სწორედ ეს იყო საუკეთესო პერიოდი "სიტის" ისტორიაში. 1968 წლის საჩემპიონო ტიტულს გუნდმა მომდევნო წელს თასი და საფეხბურთო ლიგის თასები მიაყოლა. გავიდა კიდევ ერთი წელიწადი და ევროპული აღიარებაც მოვიდა – გუნდმა თასების მფლობელთა თასი მოიპოვა.

ყველა ეს წარმატება მეორე მანჩესტერული კლუბის გამარჯვებებმა დაჩრდილა. "სიტის" მიერ მოგებული ინგლისის ჩემპიონობა არაფერი იყო იმასთან შედარებით, როცა "იუნაიტედმა" ევროპის ჩემპიონთა თასზე იმარჯვა. ეს იყო პირველი ევროპული ტიტული ინგლისური კლუბებისთვის. ფინალი კი იყო კულმინაცია მიუნხენური ტრაგედიის მერე გუნდის გარდაქმნის პროცესში. ბასბიმ გუნდი **ბობი ჩარლტონისა** და ახალგაზრდა **დენის ლოუსა** და **ჯორჯ ბესტის** გარშემო შეკრა. ჩემპიონთა თასამდე "იუნაიტედმა" 1965 და 1967 წლებში მოიგო ქვეყნის ჩემპიონობა. "ქალაქელთა" ევროპული იმედები კი ჩემპიონთა თასზე პირველივე რაუნდში დაიმსხვრა, როცა ინგლისის ჩემპიონი ორი მატჩის ჯამში თურქულ "ფენერბაჰჩესთან" დამარცხდა.


სერ მეტ ბასბიმ ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში განსაკუთრებული კვალი დატოვა

ვენაში თასების თასის ფინალში პოლონური "გურნიკის" დამარცხებამ "ქალაქელებს" დიდი ვერაფერი სახელი მოუტანა. ინგლისურმა ტელევიზიებმა ამ თამაშს სრული იგნორირება გაუკეთეს. მის ნაცვლად ეთერში "ოლდ ტრეფორდზე" "ლიდსსა" და "ჩელსის" შორის თასის განმეორებითი ფინალი ამჯობინეს. ლონდონელებმა 2:1 იმარჯვეს და თავისი პირველი სათასო ტიტული მოიპოვეს. პირდაპირ ეთერს მაშინ 28 მილიონმა ადამიანმა უყურა. "სიტის" ევროპული ტრიუმფისთვის ყურადღება თითქმის არავის მიუქცევია. ვენაში ძლიერი წვიმა მოდიოდა. ტრიბუნაზე არ იყვნენ პოლონელი გულშემატკივრებიც. თამაში ცოცხლად სულ 8 ათასმა ადამიანმა იხილა. "სიტიმ" ბილეთების გაყიდვიდან ძალიან მცირე შემოსავალი მიიღო. ხელშესახები სარგებელი მისთვის არც თასის მოგებას მოუტანია.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალიის ნაკრები

# სანამ პრანდელი იტყოდეს 32-დან 23-მდე

**ჩეზარე პრანდელიმ იმ 32 ფეხბურთელის გვარი დაასახელა, რომლებისგანაც შემდეგ 23-ს აარჩევს და ევროპის ჩემპიონატზე წაიყვანს; ამის შესახებ ერთ-ერთ წინა ნომერში მოკლედ გამცნეთ, დღეს კი გავშალოთ თემა და თითოეულ რგოლზე დეტალურად ვისაუბროთ – მით უმეტეს, პრანდელის სიამ იტალიაში ცხოველი ინტერესი გამოიწვია და დღე არ გავა, რომ ამ თემაზე ვრცელი ანალიტიკური წერილები არ გამოაქვეყნდეს. კიდევ ერთხელ გადავხედოთ გაფართოებულ შემადგენლობას და შემდეგ, განვავრცოთ თემა...**

**მეკარეები:** ბუფონი (იუვენტუსი), დე სანკტისი (ნაპოლი), სირიგუ (პსჟ, საფრანგეთი), ვივიანო (პალერმო).

**მცველები:** აბატე (მილანი), ასტორი (კალიარი), ბალცარეტი (პალერმო), ბარცალი, ბონუჩი, კიელინი (ყველა იუვენტუსი), ბოკეტი (რუბინი, რუსეთი), კრიშიტო (ზენიტი, რუსეთი), მაჯო (ნაპოლი), ოგბონა (ტორინო), რანოკია (ინტერი).

**ნახევარმცველები:** ჩიგარინი, სკელოტო (ორივე ატალანტა), დე როსი (რომა), დიამანტი (ბოლონია), ჯაკერინი, მარკიზიო, პირლო (ყველა იუვენტუსი), ტიაგო მოტა (პსჟ, საფრანგეთი), მონ-



ჩეზარე პრანდელი

ტოლივო (ფიორენტინა), ნოჩერინო (მილანი), ვერატი (პესკარა).

**თავდამსხმელები:** ბალოტელი (მან. სიტი, ინგლისი), ბორინი (რომა), კასანო (მილანი), დესტრო (სიენა), დი ნატალე (უდინეზე), ჯოვინკო (პარმა).

## შესავალი

კიდევ ერთხელ გავიმეოროთ, რომ 32 ფეხბურთელიდან **ჩეზარე პრანდელიმ** 23 უნდა დატოვოს, რაც იმას ნიშნავს, რომ 9 მოთამაშე ოფსაიდში რჩება. სანამ იმაზე ვიტყოდეთ, თუ ვის უფრო მეტი შანსი აქვს ევროფორუმზე გამგზავრების, იმის შესახებ ვთქვათ, თუ რომელ რგოლში რამდენი ფეხბურთელი მოიაზრება. მეკარე რომ 3 იქნება, ეს გასაგებია და ამ თემაზე დიდხანს აღარ შევჩერდებით. დაცვაში პრანდელიმ წესით 8 მოთამაშე უნდა დატოვოს, ანუ თითო პოზიციაზე 2 კანდიდატი; რაც შეეხება ნახევარდაცვასა და თავდასხმას, აქ აზრები ორად იყოფა – მაგალითად, "გაძეტა დელო სპორტი" 7 შუახაზელსა და 5 ფორვარდს ვარაუდობს, "კორიერე დელო სპორტი" კი 8 ნახევარმცველსა და 4 თავდამსხმელს ანიჭებს უპირატესობას. არის მესამე ვარიანტიც: ერთი მოთამაშე დაცვას მოაკლდეს და შესაბამისად, თავდასხმას დაემატოს – ამ შემთხვევაში, წინა ხაზში შესაძლოა 6 ფეხბურთელიც კი ვიხილოთ. თუმცა ეს ვერსია ნაკლებად სავარაუდოა, რადგან უკანასკნელ ტენდენციებს თუ გავითვალისწინებთ – 5 თავდამსხმელზე მეტი განაცხადში პრაქტიკულად აღარ შეჰყავთ. მაგალითად, გერმანიის ეროვნული ნაკრების თავკაცმა, **იოაჰიმ ლიოვმა** გაფართოებულ შემადგენლობაში მხოლოდ 3 ნომინალური ფორვარდი შეიყვანა, რაც ზემოთქმულზე ნათლად მეტყველებს.

ქვემოთ, "სკუადრა აძურას" გაფართოებული შემადგენლობის დეტალურ ანალიზს შემოგთავაზებთ და სავარაუდო 23-კაციან განაცხადსაც შევადგენთ...

## დაცვა

თავდაპირველად ის მცველები, ვისაც ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრება სურდა და 32-კაციან განაცხადში მათი ადგილი არ მოიძებნა. ასეთთა შორის არის **მატია კასანი**, რომელმაც ბოლო პერიოდში აშკარად მოუკლო და შედეგიც შესაბამისი მოიმკა. იგივე შეიძლება ითქვას **ალესანდრო გამბერინიზე**, რომელსაც ბოლომდე ჰქონდა იმედი, რომ რჩეულთა შორის მოხვდებოდა. გაფართოებული სიის გაცხადებამდე, ნეაპოლელმა **პაოლო კანავარომაც** გამოთქვა განაცხადში მოხვედრის სურვილი, მაგრამ ისიც ოფსაიდში დარჩა.

პრანდელიმ 11 მცველი შეარჩია, რომელთაგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სავარაუდოდ რვას დატოვებს. ანუ, თითო პოზიციაზე ორი კანდიდატი ეყოლება; მარჯვენა ფრთაზე ძირითადის მოთამაშედ **კრისტიან მაჯო** მოიაზრება, თუმცა **ინაციო აბატეს** სახით, საკმაოდ სერიოზული კონკურენტი ჰყავს. დაცვის ცენტრში აქცენტი ალბათ **ჯორჯო კიელინისა** და **ანდრეა ბარცალიზე** გაკეთდება, მათ შემდეგ კი **ლეონარდო ბონუჩი, დავიდე ასტორი, ანდრეა რანოკია** და **სალვატორე ბოკეტი** მოდიან. რაც შეეხება მარცხენა ფრთას, იქ **დომენიკო კრიშიტო, ფედერიკო ბალცარეტი** და **ანჯელო ოგბონა** მოიაზრებიან.

მარჯვენა ფრთაზე ყველაფერი გასაგებია და თუ ამ ლოგიკას მივყვებით, მარცხნივ ერთი მოთამაშეა ზედმეტი, ცენტრში კი ერთბაშად ორი. მარცხენა ფრთით დავიწყოთ და აღვნიშნოთ, რომ დომენიკო კრიშიტოს ჩეზარე პრანდელი ძალიან ენდობა და სავარაუდოდ, რუსეთიდან ტყუილად არ ჩაიყვანს "კოვერჩიანოზე" – ანუ, არჩევანი ოგბონასა და ბალცარეტის შორის უნდა გაკეთდეს და აქ, ჟურნალისტებმა უპირატესობა სიცილიელს მიანიჭეს; ჯერ ერთი, ფედერიკო უფრო გამოცდილია, შესარჩევი ეტაპის თითქმის ყველა პაექრობაში მიილო მონაწილეობა და ამასთან, ნახევარდაცვაშიც შეუძლია თამაში. რაც შეეხება ოგბონას, ჯერ ძალიან ახალგაზრდაა და თანაც, სერია B-სა და ევროპის ჩემპიონატს შორის კოლოსალური დიდი სხვაობაა. მოკლედ, ოგბონა ოფსაიდში უნდა დავტოვოთ.

რაც შეეხება დაცვის ცენტრს, აქ ბარცალი და კიელინი კონკურენციის გარეშე არიან, აი დარჩენილი ორი მოთამაშე კი ამ ოთხი კანდიდატიდან უნდა შეირჩეს: რანოკია, ასტორი, ბონუჩი, ბოკეტი. იტალიელ ჟურნალისტთა აბსოლუტური უმეტესობა თანხმდება, რომ ლეონარდო ბონუჩი ევროპის ჩემპიონატზე მინიმუმ სათადარიგო მოთამაშის ამპლუაში გაემგზავრება და არ გვაქვს საფუძველი, რომ მათ არ დავუჯეროთ. ყველაზე ნაკლები შანსი მაინც სალვატორე ბოკეტის აქვს და სავარაუდოდ, 23 ფეხბურთელს მიღმა დარჩება; ანუ, არჩევანი ანდრეა რანოკიასა და დავიდე ასტორის შორის უნდა გავაკეთოთ – უპირატესობა დავიდეს ენიჭება, რადგან ანდრეასგან განსხვავებით, მთელი სეზონის განმავლობაში სათამაშო პრაქტიკა არ მოკლებია და მთლიანობაში, ძალიან დამაჯერებლად გაისარჯა. მაშ ასე, 8 მცველი, რომლებსაც პრანდელი სავარაუდოდ უკრაინა-პოლონეთში იახლებს:

**კრიტიან მაჯო, ინაციო აბატე, ანდრეა ბარცალი, ჯორჯო კიელინი, ლეონარდო ბონუჩი, დავიდე ასტორი, დომენიკო კრიშიტო, ფედერიკო ბალცარეტი.**

## ნახევარდაცვა

როდესაც პრანდელის რჩეულ შუახაზელებს გადახედავთ, პირველი ის მოგხვდებათ თვალში, რომ გამოკვეთილი ფლანგის ნახევარმცველი განაცხადში არ არის. ასეთი შეიძლებოდა **სიმონე პეპე** ყოფილიყო, მაგრამ ბევრის გასაკვირად, სენიორ ჩეზარემ "იუვენტინოზე" უარი განაცხადა. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ პრანდელი 3-5-2 ტაქტიკაზე გააკეთებს აქცენტს – ანუ, დაცვაში კიელინი-ბონუჩი-ბარცალის გაამწესებს, ფრთებზე კი ვთქვათ მაჯოსა და ბალცარეტის, რომლებიც ფლანგების მთლიანად გაკონტროლებას შეეცდებიან? – ეს მოსაზრება ლოგიკასთან ახლოსაა და დიდია შანსი, გამართლდეს კიდეც.



კლაუდიო მარკიზიოს და ანდრეა პირლოს თავი ქუდში აქვთ

ნებისმიერ შემთხვევაში, 11 ნახევარმცველი კარგა გვარიანად უნდა გაიცხრილოს და ჩვენი ვარაუდით, თამაშგარეში 4 მოთამაშე დარჩება.

თავიდანვე შევთანხმდეთ, რომ **ანდრეა პორლო, კლაუდიო მარკიზიო** და **დანიელე დე როსი** ევროფორუმზე აუცილებლად გაემგზავრებიან. თუ ბოლო თამაშების სტატისტიკას გადავხედავთ და ცოტა ლოგიკას მივყვებით, იმაშიც დავრწმუნდებით, რომ უკრაინა-პოლონეთის საგზური პრაქტიკულად დაჯავშნილი აქვთ **ტიაგო მოტას, ანტონიო ნოჩერინოს** და **რიკარდო მონტოლივოს**, რომელსაც პრანდელი "ფიორენტინადან" მოყოლებული თვალდახუჭული ენდობა. და რა გამოვიდა? – დაგვრჩა ერთი ადგილი, რომელსაც ერთბაშად ხუთი მოთამაშე უმიზნებს: **ჩიგარინი, სკელოტო, ჯაკერინი, დიამანტი** და **ვერატი** – აი, აქ კი არჩევანის გაკეთება ძალიან რთულია და ვერც იმას დავიჩემებთ, რომ ჟურნალისტთა ვარაუდი ახლოს არის სიმართლესთან – და მაინც, ემანუელე ჯაკერინი უნდა გამოვარჩიოთ, რომელიც გვგონია, რომ შემთხვევით არ მოხვედრილა პრანდელის განაცხადში და მას უკრაინა-პოლონეთში თავისი როლი ექნება; ემანუელე ტექნიკურია, ბურთს კარგად იჭერს, შეტევაც ეხერხება და ჩაშლაც, ეს ყველაფერი კი პრანდელის ევროპირველობაზე წესით უნდა დასჭირდეს. მაშ ასე, 7 რჩეული ნახევარმცველი:

**ანდრეა პირლო, კლაუდიო მარკიზიო, დანიელე დე როსი, ტიაგო მოტა, ანტონიო ნოჩერინო, რიკარდო მონტოლივო, ემანუელე ჯაკერინი.**

## თავდასხმა

თავდასხმის ხაზმა იტალიურ საფეხბურთო სამყაროში ყველაზე დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია – პრანდელიმ იმ ფორვარდებზე თქვა უარი, რომლებმაც შესარჩევი ეტაპის გადალახვაში ლომის წილი დაიდეს, მაგრამ დღეს ოპტიმალური ფორმისგან შორს არიან; შეგვიძლია ჩამოვთვალოთ კიდეც მათი გვარები: **პაბლო დანიელ ოსვალდო, ალესანდრო მატრი, ჯამპაოლო პაცინი, ფაბიო კვალიარელა** და თუნდაც **მარკო ბორიელო**, რომელიც უფრო იშვიათად, მაგრამ აქა-იქ მაინც ხვდებოდა "აძურას" შემადგენლობაში. სამაგიეროდ, სიაშია **ანტონიო დი ნატალე**, რომელსაც პრანდელი აქამდე ცოცხალი თავით არ იწვევდა და ზედ ევროპის ჩემპიონატის წინ გაახსენდა, რომ ბოლო სამ სეზონში ტოტოს თითქმის 100 გოლი აქვს გატანილი. გასაგებია, რომ ასეთი ნაბიჯი სენიორ ჩეზარეს კარგი ცხოვრებით არ გადაუდგამს და ამის მიზეზი იმ ფეხბურთელთა ცუდი სათამაშო კონდიციაა, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ დი ნატალე ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს და ეს თვით პრანდელიმ განაცხადა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე. ჩეზარემ ისიც დაადასტურა, რომ თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, უკრაინა-პოლონეთში **ანტონიო კასანოსა** და **მარიო ბალოტელისაც** წაიყვანს. ჩვენი ვარაუდით, თავდასხმაში 5 მოთამაშე უნდა იყოს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ დარჩენილი 3 ფორვარდიდან ორი უნდა შეირჩეს... ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, შვებულებაში გასაშვები ფორვარდი **მატია დესტრო** გვგონია, რომელიც ძალიან ნიჭიერია, პერსპექტიული, მაგრამ ბევრის აზრით, მისი ასეთი მასშტაბის ფორუმზე გამგზავრება ჯერ მაინც ადრეა. ანუ, უკრაინა-პოლონეთში **სებასტიან ჯოვინკო** და **ფაბიო ბორინი** გაემგზავრებიან; მართალია, ასაკი ბორინისაც ახალგაზრდული აქვს, მაგრამ დესტროსგან განსხვავებით, უკვე ითამაშა ეროვნულ გუნდში და თანაც, პრანდელისგან არაერთგზის დაიმსახურა ქება. ესეც თავდასხმის ხუთეული:

**ანტონიო დი ნატალე, ანტონიო კასანო, მარიო ბალოტელი, ფაბიო ბორინი, სებასტიან ჯოვინკო.**

## დასკვნა

მეკარეებზე არაფერი გვითქვამს, თუმცა სათქმელი ბევრი არაფერია – **ჯანლუიჯი ბუფონი** რომ პირველი კიპერია, ეს ფაქტია და ამას წყალი არ გაუვა. მეორე მეკარე **მორგან დე სანკტისია** და ესეც დიდი ხანია ცნობილია, აი მესამეს ვინაობა კი ვეჭვობთ, არავის აინტერესებს; დანარჩენზე ზემოთ დეტალურად ვისაუბრეთ, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს მხოლოდ ვარაუდებია - პრანდელიმ 32 ფეხბურთელი ტყუილად არ იხმო და ბუნებრივია, რომ ბევრი რამე საწვრთნელ პროცესზე იქნება დამოკიდებული. როგორც თავად ჩეზარემ განაცხადა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ფეხბურთელთა შერჩევისას, ფიზიკური კონდიცია იქნება, აი ამ მხრივ კი ნამდვილად არ ვიცით რა ვითარებაა. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩეზარეს რთული არჩევანის გაკეთება მოუწევს, ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, რომ დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

რომა

# ტოტი მონტელას ელოდება

თუ "გაძეტა დელო სპორტს" დავუჯერებთ, პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, რომ მომდევნო სეზონიდან "რომას" მთავარ მწვრთნელად **ვინჩენცო მონტელა** იმუშავებს. "აეროპლანინომ" სამწვრთნელო კარიერა სწორედ მშობლიურ გუნდში დაიწყო, თუმცა დიდხანს არ დასცალდა, **ლუის ენრიკეთი** ჩაანაცვლეს და ისიც, იძულებული გახდა კარიერა "კატანიაში' გაეგრძელებინა. სიცილიური გუნდი ვინჩენცომ შესანიშნავად ათამაშა და გასაკვირი არ არის, რომ რომაული კლუბის მესვეურებმა მისი დაბრუნება განიზრახეს. მით უმეტეს, ლუის ენრიკემ უკვე დატოვა პოსტი და "ჯალოროსი" მთავარი მწვრთნელის გარეშეა დარჩენილი. ამ საკითხზე მოსაზრება **ფრანჩესკო ტოტიმ** დააფიქსირა, რომელსაც კლუბში განუზომელი ავტორიტეტი აქვს – მოვუსმინოთ "რომას" კაპიტანს:

*„ლუის ენრიკესთან შესანიშნავი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა და სიმართლე გითხრათ, ძალიან დამწყდა გული, რომ წასვლის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. თუმცა, ეს მისი არჩევანი იყო, რომელსაც პატივი უნდა ვცეთ. რაც შეეხება ვინჩენცო მონტელას, შესანიშნავი სპეციალისტია და ეს "კატანიაში" მუშაობისას კიდევ ერთხელ დაამტკიცა. ძალიან გამიხარდება თუ ვინჩენცო დაბრუნდება და მშობლიურ გუნდში გააგრძელებს მუშაობას – პირადად მე, მას გაშლილი ხელებით ველოდები".*



ვინჩენცო მონტელა

გვერდი მოამზადა
ლაშა წიკლაურმა

ევრო 2012 გერმანიის ნაკრები



იოახიმ ლიოვი მარკო როისს ვარჯიშებზე კარგად აკვირდება

# ლიოვი როისზე ბევრს ფიქრობს

## იოგი მარკოს გომესის, კლოზეს და კაკაუს ალტერნატივადაც განიხილავს

გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** სერიოზულად ფიქრობს იმაზე, რომ მიონხენგლადბახის „ბორუსიას" გარემარბი **მარკო როისი** ცენტრალურ თავდამსხმელადაც გამოიყენოს. იოგიმ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ბუნდესლიგის დასრულებული სეზონის უმთავრესი აღმოჩენა და საუკეთესო ფეხბურთელი მრავალმხრივი მოთამაშეა და ცენტრფორვარდის პოზიციაზე თამაშიც შეუძლია. *„როისი პირველ რიგში გარემარბი ან უკანდახეული თავდამსხმელია, მაგრამ ჩემი აზრით, მარკო ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზეც იდეალური იქნება,"* - თქვა ლიოვმა.

ზოგადად, ბუნდესმწვრთნელი როისზე ძალიან ბევრს ფიქრობს და ცენტრფორვარდ **მარიო გომესის** ან **მიროსლავ კლოზეს** ალტერნატივად იმის გამოც განიხილავს, რომ გერმანიის ნაკრების ნახევარდაცვაში საკმაოდ დიდი კონკურენციაა. შეგახსენებთ, რომ მარკოს ბუნდესგუნდში თამაშის დიდი გამოცდილება არ აქვს, რადგან დებიუტი ტრავმების გამო არაერთხელ გადაედო და დღემდე გერმანიის ნაკრების ფორმა სულ 4-ჯერ აქვს მორგებული.

*„ბუნდესლიგაში როისი ერთ-ერთი საუკეთესო იყო, გერმანიის ნაკრებში კი ფეხს ახლა იკიდებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას ვერ მივცემ. თუმცა ფაქტია, რომ მარკო გერმანიის ნაკრებისთვის უკვე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია,"* - დასძენს ლიოვი.

### რატომ მხოლოდ სამი? როისიც!

როისის ცენტრფორვარდად მოაზრების მიზეზი ისიცაა, რომ ლიოვის გაფართოებულ სიაში სულ სამი ტიპური ცენტრალური თავდამსხმელია – გომესი, კლოზე და **კაკაუ**. *„მართალია, მარკოს ამ პოზიციაზე აქამდე არასდროს უთამაშია, მაგრამ მე ამაზე სერიოზულად ვფიქრობ, რადგან პოტენციალს ვხედავ. დარწმუნებული ვარ, რომ 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში როისს იმ ერთადერთი თავდამსხმელის ფუნქციების შესრულება იდეალურად შეუძლია. ვარჯიშებზე ასეთ ვარიანტს არაერთხელ მოვსინჯავ,"* - ამბობს ბუნდესმწვრთნელი.

აღსანიშნავია, რომ როისისთვის თავდამსხმელის როლი დიდი სიახლე არ არის. 22 წლის მარკო „გლადბახში" უმეტესად თავდასხმაში თამაშობს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ლიოვი ცდება, როცა ამბობს, ცენტრფორვარდად არასდროს უთამაშიაო – განსხვავება იმაშია, რომ როცა „გლადბახის" მთავარი მწვრთნელი **ლუსიენ ფავრი** როისს თავდამსხმელად ათამაშებს, ასეთ მატჩებში გუნდის ტაქტიკა 4-4-2-ია ხოლმე და მარკოს უმეტესად მეორე ფორვარდის რანგში გვევლინება. წინა ხაზის ცენტრში მარტოკაცად კი მართლაც არასდროს უთამაშია.

### პოდოლსკი მონდომებულია

მიუხედავად იმისა, რომ შეკრებაზე შეთხელებული შემადგენლობა ჰყავს ლიოვი ვარჯიშებით კმაყოფილია და სარდინიულ შეკრებას დადებითად აფასებს. *„გუნდის მომზადებისთვის აქ იდეალური პირობებია, ბიჭები კი კარგად შრომობენ,"* - ამბობს 52 წლის იოგი.

რაც მთავარია, მიროსლავ კლოზეს, ლუკას პოდოლსკისა და **პერ მერტეზაკერის** გამოჯანმრთელების პროცესი გეგმაზომიერად მიმდინარეობს. იოგის განსაკუთრებით პოდოლსკის მონდომება ახარებს – *„ლუკასი თავდაუზოგავად შრომობს და როგორც ყველა დიდი სანაკრებო ტურნირის წინ, უაღრესად მოტივირებულია. ევროპის ჩემპიონატზე ჩვენ სწორედ ასეთი პოლდი გვჭირდება,"* - ამბობს ლიოვი.

**გოტფრიდ ლენცი**

ევრო2012 დანიის ნაკრები

# ოლსენის რჩეულნი

ევროპის ჩემპიონატისთვის მზადება დანიის ნაკრებმაც დაიწყო. გუშინ მთავარმა მწვრთნელმა **მორტენ ოლსენმა** 20-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. რაც შეეხება დანარჩენ სამ ადგილს: ოლსენი სიას დანიის ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებით შეავსებს. შეგახსენებთ, რომ დანიის სუპერლიგა 23 მაისს მთავრდება.

ოლსენს სიურპრიზები არ შემოუთავაზებია: რაც მთავარია, სიაში არიან გუნდის ლიდერები **ნიკლას ბენდტნერი** (სანდერლენდი), **კრისტიან ერიკსენი** (აიაქსი) და **დანიელ აგერი** (ლივერპული). ოლსენის თქმით, ბენდტნერი გუნდის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა. 64 წლის სპეციალისტმა პრესკონფერენციაზე ვეტერან **დენის რომედალზეც** ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს უკანასკნელი კონტინენტის პირველობის დაწყებამდე გამოჯანმრთელებას მოასწრებს.

შეგახსენებთ, რომ ევროპის 1992 წლის ჩემპიონები B ჯგუფში, გერმანიასთან, ჰოლანდიასთან და პორტუგალიასთან ერთად იასპარეზებენ. დანია 25 მაისს ჰამბურგში ტესტ-მატჩს ბრაზილიის ნაკრებთან გამართავს. მორტენ ოლსენის 20-კაციანი სია კი ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** სტეფან ანდერსენი (ევიანი), თომას სორენსენი (სტოკი).

**მცველები:** დანიელ აგერი (ლივერპული), სიმონ კიაერი (რომა), სიმონ პოულსენი (ალკმაარი), დანიელ ვასი (ევიანი), ანდრეას ბიელანდი (ნორდსიელანდი), ლარს იაკობსენი (კოპენჰაგენი).

**ნახევარმცველები:** ვილიამ კვისტი (შტუტგარტი), მიქაელ ზილბერბაუერი (ბერნი), კრისტიან პოულსენი (ევიანი), ნიკი ზიმლინგი (ბრიუგე), იაკობ პოულსენი (მიდტიულანდი), ლასე შიონე (ნიიმეგენი), კრისტიან ერიკსენი (აიაქსი), მიქაელ კრონ-დელი (ბრონდბიუ).

**თავდამსხმელები:** ნიკლას ბენდტნერი (სანდერლენდი), დენის რომედალი (ბრონდბიუ), ტობიას მიკელსენი (ნორდსიელანდი), თომას კალენბერგი (ევიანი).

**გოტფრიდ ლენცი**



მორტენ ოლსენს ევროპის ჩემპიონატზე სხვებთან ერთად ვილიამ კვისტიც მიჰყავს

სკანდალური მატჩის შემდეგ

# კობიაშვილმა შტარკს დაარტყა?

## შპორტ ბილდის ინფორმაციით, ლევანმა მსაჯს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა...

დიუსელდორფის სკანდალურ მატჩს გუშინ გერმანიაში უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა. როგორც იცით, „ფორტუნასა" და „ჰერტას" საპასუხო დაპირისპირების ბოლო წუთებზე დიუსელდორფელი ფანები მოედანზე შეცვივდნენ და პირველ ბუნდესლიგაში აღზევებას ნაადრევად ზეიმობდნენ – მათ ერთ-ერთი სასტვენი საფინალო სასტვენად მიიჩნიეს და თამაში (2:2) დამთავრებული ეგონათ.

შედეგად, მსაჯმა **ვოლფგანგ შტარკმა** მატჩი შეწყვიტა და შეხვედრის გაგრძელება (საფინალო სასტვენამდე 2 წუთი იყო დარჩენილი) მხოლოდ ნახევარსაათიანი პაუზის შემდეგ, მაშინღა გახდა შესაძლებელი, როცა დიუსელდორფელმა ფანებმა მოედანი დატოვეს.

ბერლინელები თავიდან თითქოს მოედანზე დაბრუნებას აღარ აპირებდნენ (როგორც „ჰერტას" ადვოკატი ამბობს, დიუსელდორფელი ფანების ეშინოდათ), მაგრამ მერე მაინც დაბრუნდნენ და თამაში ჩაამთავრეს. დაბრუნების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მოედანზე არგამოსვლის შემთხვევაში „ჰერტას" წაგება (0:3) ჩაეთვლებოდა. ასე კი ბერლინელებმა მცირე, მაგრამ შანსი მაინც შეინარჩუნეს: მართალია, მსაჯმა შეხვედრა დაამთავრა და დიუსელდორფელებმა პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნება იზეიმეს, მაგრამ **ანდრეას ლამბერტცია**, რომელიც საფინალო სასტვენის შემდეგ მოედანზე ანთებული პეტარდით დარბოდა, მერე კი – **ლევან კობიაშვილი!**

ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, ლევანმა საფინალო სასტვენის შემდეგ, გასახდელში მსაჯს შეუტია და მეტიც – კობიმ ვოლფგანგ შტარკს სახეში დაარტყაო!

„შპორტ ბილდი" წერს, რომ საფინალო სასტვენის შემდეგ კატაკომბებში დიდი შეხლა-შემოხლა იყო – „ჰერტას" ფეხბურთელები შტარკს უტევდნენ. ხსენებული გამოცემის ცნობით, არბიტრისკენ განსაკუთრებით აგრესიულად სამნი იწევდნენ: **კრისტიან ლელი**, რომელიც მანამდე მოედანზე „ფორტუნას" მცველ **ასანი ლუკიმიასაც** (ეს უკანასკნელი ამბობს, შემაფურთხაო) ეჩხუბა, **პეტერ ნიმაიერი** და კობიაშვილი. მათი განრისხების მიზეზად ის ფაქტი მოიაზრება, რომ შტარკმა თამაშს შვიდი წუთი დაამატა და სინამდვილეში, ფეხბურთელები ექვსი წუთი ათამაშა.

ოფიციალურად დაუდასტურებელი ცნობა იმის შესახებ, რომ კობიაშვილმა შტარკს ხელი გაარტყა, „შპორტ ბილდის" ინფორმაციაა. „კიკერი" კი წერს, რომ ლევანი მსაჯისკენ აგრესიულად იწევდა, ხელით შეხების ფაქტზე კი ამ გამოცემაში არაფერია ნათქვამი. გერმანიის საფეხბურთო კავშირში გუშინ კობიაშვილზე ოფიციალური კომენტარი არ გაკეთებულა და ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ოფიციალურ კომენტარებს და თუ ფაქტი დადასტურდა, განაჩენს დაველოდოთ.



ლევან კობიაშვილი აურზაურის დროს



ამ ფოტოზე კარგად ჩანს, რომ მსაჯისკენ პეტერ ნიმაერი (№18) და კრისტიან ლელი (მარჯვნივ) მართლაც აგრესიულად იწევენ, ლევან კობიაშვილი კი კადრში არჩანს

გუშინ „ჰერტამ" მომხდარი გააპროტესტა – ბერლინელები გადათამაშებას ითხოვენ. წესით, გერმანიის საფეხბურთო ლიგამ პროტესტი ამ დღეებში უნდა განიხილოს და „ჰერტას" საბოლოო განაჩენი ხვალ-ზეგ უნდა გამოუტანოს.

*„გერმანიის საფეხბურთო კავშირის კანონებში გარკვევით წერია, რომ როცა მატჩის დროს ასეთი რამ ხდება, გადათამაშება უნდა დაინიშნოს. სად, როდის და როგორ – ეს უკვე სპორტული სასამართლოს გადასაწყვეტია,"* - აცხადებს „ჰერტას" ადვოკატი **კრისტოფ შიკჰარდტი**.

### თუ ეს დადასტურდა, კობის სერიოზული სასჯელი ელის

ახლა კი ამბავი, რომელიც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია: „შპორტ ბილდის" ინფორმაციით, გერმანიის საფეხბურთო კავშირი გუშინ ორი ფეხბურთელის საკითხის განხილვას შეუდგა – ერთი „ფორტუნას" კაპიტანი

*P.S. გუშინ ღამით გერმანიის საფეხბურთო კავშირის ერთ-ერთმა ფუნქციონერმა, რომლის ვინაობა სპეციალურად არ დაკონკრეტდა, გაზეთ „ბერლინერ ცაითუნგს" უთხრა, რომ კობიაშვილის საკითხის განხილვა არ დაწყებულა, რადგან ვოლფგანგ შტარკს „ფორტუნა"-„ჰერტას" მატჩის დეტალური ანალიზი ჯერ არ ჩაუბარებია. გაზეთში ვკითხულობთ, რომ ამ ფაქტის შესახებ არაოფიციალური ცნობები საფეხბურთო კავშირშიც მივიდა, მაგრამ ჯერ შტარკის პატაკს ელოდებიან.*

**გოტფრიდ ლენცი**

ლივერპული

# დალგლიში სახლში გაუშვეს

სეზონის დასრულების შემდეგ "ლივერპულში" **კენი დალგლიშის** დარჩენის საკითხი ჰაერში იყო გამოკიდებული. მერსისაიდული კლუბის ბოსებმა **ტომ ვერნერმა** და **ჯონ ჰენრიმ** შოტლანდიელი ბოსტონში მიიწვიეს, სადაც თავიანთი პრეტენზიები აუხსნეს – ისინი შეშფოთებულები იყვნენ, რომ "ლივერპულმა" ვერ მოახერხა ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა, პირველადგილოსან "მანჩესტერ სიტის" კი სულაც 37 (!) ქულით ჩამორჩა. 61 წლის სპეციალისტი ოკეანის გაღმიდან დაბრუნებისთანავე გადადგა დაკავებული თანამდებობიდან.

ბუკმეიკერებმა უკვე დაიწყეს ფსონების მიღება "ლივერპულის" ახალ მწვრთნელებზე. მათი აზრით, ყველაზე დიდი შანსი საამისოდ "უიგანის" დამრიგებელ **რობერტო მარტინესსა** და "ჩელსის" ყოფილ თავკაც **ანდრე ვილაშ ბოაშს** აქვთ.

**ლევან ბიბილაშვილი**

უცხოური ფეხბურთი

ლა ლიგა. 2012/13 სეზონი

# ლა ლიგის სეზონი ადრე საქართველოს გამო იწყება

81-ე ლა ლიგა დასრულდა, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ (RFEF) და პროფესიულმა ლიგამ (LFP) უკვე დაიწყო მზადება ახალი სეზონისთვის. გადაწყდა, რომ პრიმერადივიზიონი სტარტს 18-19 აგვისტოს აიღებს, ერთი კვირით ადრე, ვიდრე შარშან. წესით, გასულ წელსაც ამ დროს (20 აგვისტოს) უნდა დაწყებულიყო სეზონი, მაგრამ გაფიცვის გამო სტარტი გადაიდო.



პირველი ტურის შემდეგ პაუზა იქნება, რადგან ესპანეთის სუპერთასის მატჩი გაიმართება „რეალსა" და „ბილბაოსა" და „ბარსელონას" თასის ფინალურ მატჩში გამარჯვებულს შორის. სუპერთასის პირველი შეხვედრა 23 აგვისტოს, საპასუხო კი 30 აგვისტოს გაიმართება.

სეზონის ადრიანად დაწყება ესპანეთის ნაკრების თავკაცის, **ვისენტე დელ ბოსკეს** თხოვნითაა გამოწვეული. მას სურს, რომ ნაკრების წევრები 2014 წლის მუნდიალის პირველივე საკვალიფიკაციო მატჩებისთვის ფორმაში იყვნენ. და იცით, ვის ხვდება ესპანეთის ნაკრები პირველად? 11 სექტემბერს თბილისში, საქართველოს ნაკრებს. შეგახსენებთ, რომ ჩვენ და ესპანეთი ერთად მუნდიალის I საკვალიფიკაციო ჯგუფში მოვხვდით. თბილისური დაპირისპირება **თემურ ქეცბაიას** ნაკრებისათვის მეორე ტურის მატჩი იქნება, რადგან მანამდე, 7-ში ბელარუსს ვმასპინძლობთ. სეზონი გაისად, 19 მაისს დასრულდება, „კოპა დელ რეის" ფინალი კი 8 მაისისთვისაა ნავარაუდევი. მოკლედ, დელ ბოსკეს სურს, რომ ქართველებთან დაპირისპირებამდე ესპანეთში მოთამაშე „ლა როხას" ფეხბურთელებს ორი ტური მაინც ჰქონდეთ გამართული.

სკანდალი

# მსოფლიოს ჩემპიონი ატლეტიკოს ფეხბურთელებს აგინებდა

## კარლოს მარჩენა და ვილიარეალი დიდ შარში

„კანალ პლუსმა" ესპანეთში დიდი სკანდალი გამოიწვია - არხი ვიდეომასალაზე დაყრდნობით ირწმუნება, რომ ლა ლიგის ბოლო ტურის მატჩში, „ელ მადრიგალზე" - მასპინძელი გუნდის ფეხბურთელები მადრიდელებს სთხოვდნენ, მეტი აღარ შემოეტიათ მათთვის. შეგახსენებთ, რომ „ვილიარეალი"-"ატლეტიკოს" მატჩის ბოლოსკენ **რადამელ ფალკაომ** სეზონში 24-ე გოლი გაიტანა, სტუმრებმა 1:0 მოიგეს და ერთ დროს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისტი სეგუნდა დივიზიონში მოისროლეს.

ვიდეოზე კარგად ჩანს ეპიზოდი, რომელშიც „ვილიარეალის" ნახევარმცველი **ხავიერ კამუნიასი** „ატლეტიკოს" ფეხბურთელებს მოუწოდებდა, რომ მათთვის მოგებას აზრი არ ჰქონდათ, რადგან „მალაგა" „სპორტინგთან" მატჩში დაწინაურდა. ისმის ფრაზა: *„ფილიპე ლუიშ, „მალაგამ" გაიტანა, თქვენს გარჯას აზრი აღარ აქვს"*, - მიმართავს კამუნიასი „ატლეტიკოს" ბრაზილიელ მცველ **ფილიპე ლუიშს**.

„ვილიარეალის" ფეხბურთელები ისე იყვნენ მონდომებულნი, რომ „მალაგა"-"სპორტინგის" შეხვედრაში მასპინძელთა მეორე გოლი სულაც გამოიგონეს: *„დიეგო, „მალაგამ" მეორე გაუტანა „სპორტინგს"*, - უყვიროდა მსოფლიოს ჩემპიონი **კარლოს მარჩენა** „ატლეტიკოს" ბრაზილიელ გამთამაშებელ **დიეგოს**. მაგრამ არაფერმა გაჭრა, **დიეგო სიმეონეს** გუნდმა არ დაარღვია ფეარ პლეის პრინციპი და მოუგო „ვილიარეალს".

მატჩის შემდეგ გაცოფებული მარჩენა უკვე იგინებოდა და რევანშით იმუქრებოდა: *„გოდინ, დიეგო, ფილიპე ლუიშ, თქვე დედა***ბო! ჯერ არაფერი დამთავრებულა, თქვენი დროც მოვა"*, - ეს ყველაფერი თუ დაუმტკიცდა, რაც არც ისე რთულია, მსოფლიოს ჩემპიონს დისკვალიფიკაცია არ ასცდება.



თამაშის მერე ყველაფერი მშვიდობიანად არ ჩამთავრებულა

ამბები


რაული (ცენტრში) ლოჟაში თავისი მომავალი გუნდის თამაშს ესწრება

## რაული: რეალიდან წასვლა ნაადრევი იყო

მადრიდის „რეალის" 34 წლის ლეგენდა **რაულ გონსალეს ბლანკო**, რომელიც კარიერას „ალ-სადში" გააგრძელებს, აღიარებს, რომ მადრიდიდან წასვლის გადაწყვეტილება ცოტა ნაჩქარევად მიიღო. *„ჩემი „რეალიდან" წასვლა ცოტა ნაადრევი იყო, მაგრამ მე აუცილებლად დავბრუნდები"*, - განუცხადა ფეხბურთელმა „ალ ჯაზირას", თუმცა მას ფეხბურთელის ამპლუაში დაბრუნება არ უგულისხმია.

რაული სხვა საკითხებსაც შეეხო. მან თქვა, რომ „რეალმა" ლა ლიგა დამსახურებულად მოიგო, ხოლო **კარლეს პუიოლის** გამოკლება დიდი დარტყმაა: *„ის ძალიან დაეხმარებოდა გუნდს თავისი გამოცდილებით"*. რაულმა ესპანეთის ნაკრებში 102 მატჩში 44 გოლი გაიტანა.

## დანი ალვეში თასის ფინალს გამოტოვებს



ესპანეთში საფეხბურთო სეზონი ოთხშაბათს „ვისენტე კალდერონზე" დასრულდება - თასის ფინალში „ბარსელონა" „ბილბაოს" ეთამაშება. აი, ასეთ მნიშვნელოვან მატჩს დააკლდება 29 წლის ბრაზილიელი მცველი **დანი ალვეში**, რომელმაც ვარჯიშზე ლავიწის ძვალი მოიტეხა. ალვეშს მცირე ოპერაცია გუშინვე გაუკეთეს. ჯერ უცნობია, რამდენ ხანს დაისვენებს ფეხბურთელი, თუმცა ცხადია, რომ 25 მაისამდე ვერ გამოჯანმრთელდება.

## ვილიარეალი ლოტინას დაემშვიდობა

სეგუნდა დივიზიონში გავარდნილი „ვილიარეალი" მწვრთნელს, **მიგელ ანხელ ლოტინას** დაემშვიდობა. აღსანიშნავია, რომ ლოტინა „წყალქვეშა ნავს" მხოლოდ ბოლო 11 ტურის განმავლობაში ხელმძღვანელობდა, მაგრამ ჩასაძირად განწირული „ელ სუბმარინოს" შველა ველარ შეძლო: *„მესმის, რომ იმედები ვერ გავამართლეთ. მაგრამ, მინდა დაგარწმუნოთ, ეს იმიტომ არ მოხდა, რომ რამე დავაკელით"*.

ევრო 2012 ესპანეთის ნაკრები

# ეს ის ესპანეთი აღარ არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიოს ჩემპიონები დიდ გასაჭირში

გუშინ გაგაცანით ესპანეთის ნაკრების 21-კაციანი შემადგენლობა ორი ამხანაგური მატჩისთვის სერბეთისა და კორეის ნაკრებებთან. **ვისენტე დელ ბოსკემ** შემადგენლობაში 6 დებიუტანტს უხმო: მეკარე **დავიდ დე ხეას** (მანჩესტერ იუნაიტედი), ოთხ ნახევარმცველს, **ბენიატს** (ბეტისი), **ისკოს** (მალაგა), **ხუანფრანსა** (ატლეტიკო) და **ხავი გარსიას** (ბენფიკა), აგრეთვე ფორვარდ **ადრიან ლოპესს** (ატლეტიკო). დებიუტანტთა გარდა ნაკრებში ისეთი ფეხბურთელებიც არიან, რომელთაც ევრო 2012-ის საგზური სულაც არა აქვთ განაღდებული. ამისთვის ბრძოლა ჯერ კიდევ მოუწევთ: **რაულ ალბიოლს** (რეალი), **ნაჩო მონრეალს** (მალაგა), **ალვარო დომინგესს** (ატლეტიკო), **ბრუნო სორიანოს** (ვილიარეალი) და **ალვარო ნეგრედოს** (სევილია).


დელ ბოსკეს საფიქრალი დაუგროვდა

დელ ბოსკე საბოლოო სიას 27 მაისს გამოაქვეყნებს, რომელშიც პოლონეთ-უკრაინაში წამსვლელი 23 კაცი უნდა მოხვდეს. რა თქმა უნდა, ამ შემადგენლობას აუცილებლად დაემატებიან „ბარსელონას", „ბილბაოს" და „ჩელსის" ვარსკვლავები, მაგრამ თუნდაც ეს ექსპერიმენტი კარგად აჩვენებს, რომ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონთა ბანაკში დიდი პრობლემაა.

## ვინ იქნება და ვინ არა

ვინ შეემატება ნაკრებს „ბარსელონას" ბრიგადიდან? **ვიქტორ ვალდესი**, რომელსაც კარგი სეზონი ჰქონდა და ლა ლიგის საუკეთესო მეკარის პრიზიც მოიგო, **ჟერარდ პიკე**, მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალურ მცველს არასტაბილური სეზონი ჰქონდა, ნახევარმცველთა კვარტეტი (**სესკ ფაბრეგასი, ჩავი, ანდრეს ინიესტა** და **სერხიო ბუსკეტსი**) ხელშეუხებელია, ისინი რა თქმა უნდა მოხვდებიან საბოლოო სიაში. **კარლეს პუიოლის** თამაში ევროპის ჩემპიონატზე გამორიცხულია და ეს არის სწორედ დელ ბოსკეს ერთ-ერთი თავსატეხიც. მეორე თავსატეხიც კატალონიური კლუბიდანაა - **დავიდ ვილიას** თითქმის მთელი სეზონი იაპონიაში მოტეხილი ფეხის გამო. ის შესაძლოა გამოჯანმრთელდეს, მაგრამ მოასწრებს კი ფორმაში შესვლას? და თუ ვერ მოასწრო, წაიყვანს თუ არა მაინც მწვრთნელი ნაკრების ყველა დროის ბომბარდირს ჩემპიონატზე? ეს კითხვები ჯერაც პასუხგაუცემელია და მგონი, არც თავად დელ ბოსკეს აქვს პასუხი... საჭოჭმანოა **პედროს** საკითხიც - ახალგაზრდა ფორვარდი უბრალოდ ცუდ ფორმაშია, ასეთი (და უფრო მაღალი კლასის) ფორვარდი დელ ბოსკეს ისედაც ჰყავს (**ფერნანდო ტორესი**).

„ბარსელონას" დანარჩენ ფეხბურთელთაგან **ისააკ კვენკას, კრისტიან ტელიოს** და **ტიაგო ალკანტარას** თითქმის არა აქვთ შანსი ევროზე თამაშის. ახალგაზრდა ფეხბურთელებში მათზე მეტი შანსი **მარტინ მონტოიას** აქვს, ოღონდ, ეს იმ შემთხვევაში, თუკი დელ ბოსკე **სერხიო რამოსს** დაცვის ცენტრში დააყენებს.

ვინ შეიძლება დაემატოს ნაკრებს „ბილბაოდან? **ფერნანდო ლორენტე** და **ხავი მარტინესი** ნამდვილად. შანსი მარჯვენაფლანგელ **ანდონი ირაოლასაც** აქვს. 19 წლის **იკერ მუნიაინმა** ამ სეზონში ისე ითამაშა, რომ, სავარაუდოდ, პოლონეთ-უკრაინაში უნდა მოხვდეს.

„ჩელსიში" ესპანეთის ნაკრების ორი ფეხბურთელია: **ხუან მატას** 23-კაციან სიაში მოხვედრა თითქმის გარანტირებული აქვს. გაიზარდა ტორესის შანსიც, ჯერ ერთი, „ელ ნინიომ" შესამჩნევად მოუმატა და გოლების გატანა დაიწყო, მეორეც, ვილიას ტრავმის გამო, ფერნანდო ნაკრებისთვის შეუცვლელი ხდება.

ნეგრედო, ლოპესი და **სოლდადო** შეტევის ხაზში 2 ადგილისთვის იბრძოლებენ. „ვალენსიას" ფორვარდს უპირატესობა აქვს დანარჩენ ორთან შედარებით. **რაულის** რომანტიკულ დაბრუნებაზე ესპანეთის ნაკრების ფანებს მხოლოდ ოცნება შეუძლიათ... 27 მაისამდე.

## დელ ბოსკეს დილემა

მოკლედ, დელ ბოსკეს პრობლემების კასკადი აქვს: მას მიჰყავს ფორვადი, რომელსაც საარაკოდ დიდხანს არ ჰქონდა კლუბში გოლი გატანილი, მცველი, რომელმაც საშინლად ჩააგდო სეზონი, მაგრამ მაინც შეუცვლელია ნაკრებისთვის, ეძებს ახალ სისხლს დაცვაში და შეტევაში (რაღა დროს ეგაა, ჩემპიონატი კარსაა მომდგარი). შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე ესპანელებთან ერთად ჯგუფში იტალიელები, ირლანდიელები და ხორვატები არიან.

ეს ისევ ესპანეთის ნაკრებია, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად აღარ არის ის გუნდი, რომელმაც 2010 წლის მუნდიალიდან დაგვამახსოვრა თავი...

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**


ეს ფოტო ევრო 2008-ის გვირგვინია, იკერ კასილიასი თასით ხელში

# ბაიერნი (მიუნხენი, გერმანია) VS ჩელსი (ლონდონი, ინგლისი)

ბაიერნი



# კაპიტანმა ხმა აიმაღლა

„ბაიერნის" კაპიტანმა **ფილიპ ლამ-მა** ფინალის მოახლოების პარალელურად თანაგუნდელებზე ზეწოლა გააძლიერა. „დიდი ერა ფეხბურთელისთვისაც და კლუბისთვისაც მხოლოდ ტიტულებთან ასოცირდება და თანაც, მხოლოდ საერთაშორისო ტიტულებთან. თუ ახლა ან მომდევნო წლებში ჩემპიონთა ლიგას ვერ მოვიგებთ, „დიდ ერაზე" ან „ოქროს თაობაზე" საუბარი დაუშვებელი იქნება. ნებისმიერი „ოქროს თაობა" ასეთი მიღწევებით იზომება და ფაქტია ისიც, რომ არც მე და არც ბასტიან შვაინშტაიგერს იმედების ბოლომდე გასამართლებლად ბევრი დრო აღარ დაგვრჩა," - განაცხადა 28 წლის ლამმა.

## გომესი ლამს არ ეთანხმება

ლამის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც დიდ ფეხბურთელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მოგებული დიდი ტიტული, „ბაიერნის" თავდამსხმელი **მარიო გომესი** ბოლომდე არ იზიარებს.

„ცხადია, რომ ნებისმიერ სპორტსმენს მაქსიმუმის მიღწევა სურს. შაბათს ჩვენ დიდი ტიტულის მოგების ბრწყინვალე შანსი მოგვეცემა. ისე, სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ნაღდად სულერთია, მომიხსენიებენ თუ არა „ოქროს თაობის" წარმომადგენლად მაშინ, როცა უკვე 60 წლის ვიქნები," - აცხადებს გომესი „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

მარიო მიიჩნევს, რომ „ალიანს არენას" ფაქტორი „ბაიერნისთვის" დამატებით წნეხია – შაბათს, სხვა მატჩებისგან განსხვავებით, უფრო დაძაბულებიც ვიქნებით, რადგან ჩემპიონთა ლიგის ფინალი ჩვენს სტადიონზე ტარდება და ამის გამო ვალდებული ვართ, გავიმარჯვოთო.

## აბუ დაბის შეიხი ბაიერნის ფანია

აბუ დაბის ერთ-ერთი შეიხი **ხალიფა ბინ ზაიდ ალ ნაიანი** „ბაიერნის" თავგადაკლული ფანი აღმოჩნდა. მას აბუ დაბიში ხუთი ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო აქვს და ამ დღეებში თითოეული სასტუმროს ფასადზე „ბაიერნის" ლოგოთი დამშვენებული უდიდესი ბანერებია გადმოფენილი.

**გოტფრიდ ლენცი**

ჩელსი

# ვილაპარაკოთ ბაიერნზე

**"ჩელსის" ოფიციალურმა ვებგვერდმა კლუბის ყოფილ სპორტულ დირექტორ ფრანკ არნესენს ინტერვიუში "ბაიერნის" შესახებ საკუთარი მოსაზრების გამოთქმა სთხოვა. შეგახსენებთ, რომ დანიელმა ფუნქციონერმა ან დასრულებული სეზონი "ჰამბურგში" გაატარა.**

- ფინანსური თვალსაზრისით ბუნდესლიგაში ისინი ყველას აღემატებიან. ამ მხრივ ის ერთ-ერთი ორგანიზაციაა, რომელსაც მდიდარ ინგლისურ კლუბებთან კონკურენცია შეუძლია. ბოლო 40 წლის განმავლობაში მიუნხენელები მუდმივად ლიდერთა შორის იმყოფებიან. გერმანული ფეხბურთისთვის არატიპური მოვლენაა, როცა კლუბს ერთბაშად შეუძლია 20-30 მილიონი ევროს დახარჯვა ფეხბურთელებში. რაკი ლიდერადაა აღიარებული, ეს მასზე განსაკუთრებული ზეწოლის საფუძველი ხდება ხოლმე. გულშემატკივრები მათგან მხოლოდ ჩემპიონობას ითხოვენ. კლუბი ამას ლამის ყოველ მეორე წელს ახერხებს. "ბაიერნი" შეჩვეულია გამარჯვებებსა და სერიოზულ მატჩებს.

გუნდი გამოკვეთილი გარემარბებითა და თავდამსხმელის უკან მყოფი ერთი შემტევით თამაშობს. დაცვის ხაზის წინ კი ორი საყრდენი მოქმედებს, რომელთაგან მხოლოდ ერთს აქვს შეტევაში ჩართვის უფლება. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში "ბაიერნის" შემადგენლობაში რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა გამოჩნდა. ისინი უკვე მაღალ დონეზე თამაშობენ. ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა, თუ რანაირად ახერხებს გერმანიის ნაკრები ასეთ წარმატებულ თამაშს.

მანუელ ნოიერი 19 წლის იყო, როცა "შალკეში" დებიუტი ჰქონდა, "ბაიერნმა" მასში ძალიან დიდი ფული გადაიხადა. ნოიერი გერმანიაში ნამდვილად ნომერი პირველი მეკარეა. ის კარგად თამაშობს ფეხით და მშვენიერი გრძელი გადაცემებიც ეხერხება. **ფილიპ ლამი** აქამდე მარცხენა მცველად თამაშობდა, მაგრამ გუნდს დაცვაში პრობლემები ჰქონდა და კაპიტანმა მარჯვენა მხარეს გადაინაცვლა. ამ ფლანგს ის იოლად აკონტროლებს განსაკუთრებით მაშინ, როცა მასთან ერთად **არიენ რობენი** თამაშობს. ის საკმაოდ ტექნიკურია და კარგად თამაშობს დაცვაში. უკანა ხაზში "ბაიერნს" **ჯერომ ბოატენგიც** ეყოლება. მას ალბათ ყველა იცნობს "მანჩესტერ სიტიში" თამაშის წყალობით.

"ბაიერნს" კარგი შემტევი ნახევარდაცვა ჰყავს, მაგრამ ფინალში გუნდს შეიძლება დაცვითი ტიპის შუახაზელები დააკლდნენ. მიუნხენელებს ამ მხრივ ყველაზე დიდი იმედი ალბათ **ბასტიან შვაინშტაიგერის** უნდა ჰქონდეთ. ისინი ძალიან ძლიერები არიან თავდასხმაში. არიენ რობენის დამატებით წარდგენა არავის სჭირდება. ჰოლანდიელს არათანაბარი სეზონი ჰქონდა, მაგრამ "რეალთან" მან ბრწყინვალედ ითამაშა. **ფრანკ რიბერის,** პირიქით, შესანიშნავი სეზონი ჰქონდა. ძირითადად სწორედ ის უქმნის მომენტებს რობენს, მას კი გოლები გააქვს. ფრანგი მოედნის ცენტრში ხშირად იწევს და ამით მეტად სახიფათო ხდება. სტანდარტული მდგომარეობებისას კი რობენს ხშირად ფლანგებს უცვლის. **მარიო გომესი** ფიზიკურად ძალიან ძლიერია. ის გერმანიის საუკეთესო გოლეადორია, კარგად თამაშობს თავით და ორივე ფეხით თითქმის თანაბრად ეხერხება დარტყმა.

როცა ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე თასზე 5:2-ს აგებ, ეს ყოველთვის ძალიან ცუდად მოქმედებს ფსიქოლოგიურად. "ჩელსის" 4 ფეხბურთელი არ ეყოლება, მაგრამ ლონდონელებს გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვთ. მიუნხენელებს კი **ჰოლგერ ბადშტუბერი** და **დავიდ ალაბა** ძალიან დააკლდებიან. საშინაო სტადიონზე "ბაიერნის" დამარცხება ძალიან რთული იქნება, მაგრამ ამის შანსი არსებობს. ფინალში მე "ჩელსის" ვუგულშემატკივრებ.

## კეჰილი: მზად ვიქნები

სამშაბათს **გარი კეჰილმა** უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში პირველად ივარჯიშა სრული დატვირთვით. მას ჯანმრთელობის პრობლემა არ შეჰქმნია, რამაც მშვენიერ ხასიათზე მოიყვანა. ფეხბურთელმა განაცხადა, რომ შაბათს "ბაიერნთან" სათამაშოდ მზად იქნება. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ეყოფათ თუ არა მას და **დავიდ ლუისს** 4 დღე ფორმის აღსადგენად. ეს სხვა საქმეა, მაგრამ მინდორზე მათი გამოჩენა ლონდონელთა გულშემატკივრებს ნამდვილად მეტ იმედს მისცემს. *"ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ასე მალე მოვმჯობინდი. დღეს მთელი დღე ბევრი ვიმუშავეთ. იმედია, რომ მზად ვიქნები და შემადგენლობაშიც მოვხვდები. ეს ჩემთვის ბიჭებთან ერთად პირველი ვარჯიში იყო დიდი შესვენების შემდეგ, ასე რომ, ძალიან მესიამოვნა ბურთის გაგორება. უახლოეს დღეებში კიდევ უფრო მეტი მუშაობა მომიწევს, ვიდრე ჩვეულებრივ, რათა თამაშს დავუბრუნდე, მე კი ამისთვის მზად ვარ. არ მინდა, თვალი მეცეს, მაგრამ ვარჯიშზე დისკომფორტი არ მიგრძნია. პირიქით, თავს მშვენივრად ვგრძნობდი. ვფიქრობ, შაბათის თამაში*



**გარი კეჰილი და დიდიე დროგბა ფინალისთვის ემზადებიან**

*მარტო ჩემთვის კი არა, ძალიან ბევრი ჩემი თანაგუნდელისთვის იქცევა კარიერის უმთავრეს დაპირისპირებად. არანაირი ილუზია არ გვაქვს. ყველას კარგად გვესმის, რამდენად საპასუხისმგებლო თამაშია. კარგ საღამოს ველით და იმედია, ყველაფერი ჩვენი გეგმის მიხედვით წარიმართება. ჩემპიონთა ლიგის ჰიმნი როცა მესმის, მგონია ხოლმე, რომ ეროვნულ ჰიმნს ვუსმენ და ინგლისის სახელით ვთამაშობ. ტანში ჟრუანტელი მივლის, იმის გაგონებაზე, როგორ გვამხნევებენ ფანები თამაშამდე. ფინალისთვის არ მგონია, დამატებითი მოტივაცია დაგვჭირდეს".*

**ლევან ბიბილაშვილი**

კაიზერის აზრით

# ბეკენბაუერი: აი, როგორ უნდა ითამაშოს ბაიერნმა ჩელსისთან!

ფრანც ბეკენბაუერი,
ბილდი

**„ბაიერნის" ბანკეტზე იუპ ჰაინკესს ვესაუბრე. „ბაიერნის" სეზონი შევაჯამეთ და კონკრეტულად გერმანიის თასის ფინალში, დორტმუნდის „ბორუსიასთან" განცდილი სამარცხვინო მარცხი გავაანალიზეთ. ერთი რამ დავასკვენი: „ბაიერნში" აბსოლუტურად ყველა თანხმდება იმაზე, რომ რეკორდმაისტერმა ჩემპიონთა ლიგის ფინალში არ უნდა ითამაშოს ისე, როგორც „დორტმუნდთან" ითამაშა – წინააღმდეგ შემთხვევაში, ტრიუმფი გამორიცხულია. ჰაინკესიც და მისი შეგირდებიც ხვდებიან იმას, რომ „ბაიერნს" ასეთი ფეხბურთით და უამრავი ინდივიდუალური შეცდომით დაცვაში „ჩელსის" დამარცხების შანსი არ აქვს. „დორტმუნდთან" მატჩში არც ერთი ბაიერნელი არ იდგა მოწოდების სიმაღლეზე და ცხადად გამოჩნდა, რომ „ჩელსისთან" მატჩში რაღაც-რაღაცები უნდა შეიცვალოს.**

## კონცენტრაცია

პირველი და უმთავრესი კონცენტრაციაა და დორტმუნდელთა პირველი გოლი, რომელიც **შინჯი კაგავამ** გაიტანა, ცხადად გვაჩვენებს, რომ იმ მომენტში მიუნხენელები არ იყვნენ სათანადოდ კონცენტრირებულები - ჯერ ლუის **გუსტავომ** დაუშვა შეცდომა, მერე კი მცველებს ჩაეძინათ. „ჩელსი" ასეთი შეცდომით აუცილებლად ისარგებლებს! ლონდონელთა მთავარი მწვრთნელი **რობერტო დი მატეო** სტადიონზე იმყოფებოდა და გერმანიის თასის ფინალს უყურა, რაც იმას ნიშნავს, რომ რეკორდმაისტერის არც ერთი ნაკლი არ გამოეპარებოდა.

## განწყობა

მიმაჩნია, რომ კონცენტრაციის ნაკლებობასთან ერთად, თასის ფინალში „ბაიერნის" პრობლემა არასათანადო განწყობაც იყო, რაც ჩემპიონთა ლიგის ფინალში თავისთავად უნდა შეიცვალოს, მაგრამ მინდა, რომ ეს ფეხბურთელებს კიდევ ერთხელ შევახსენო. ჩემპიონთა ლიგის ფინალის დარ მატჩში თითოეული მოთამაშე 100 კი არა, 200 პროცენტით უნდა დაიხარჯოს! ბიჭებმა უნდა ირბინონ და იბრძოლონ ისე, რომ მეორე დღეზე არ უნდა იფიქრონ. იმედი მაქვს, გერმანიის ნაკრების ფეხბურთელები ევროპის ჩემპიონატზე ჯერ არ




ფიქრობენ და ბოლომდე დაიხარჯებიან. „ბაიერნის" ლეგენდარული კაპიტანი **შტეფან ეფენბერგი** ცამდე მართალია, როცა ამბობს, ყველაზე მეტი **ბასტიან შვაინშტაიგერს** მოეთხოვებაო. ცუდი ის არის, რომ შვაინის ტრავმა ახალი მოშუშებული აქვს და ჯერ კიდევ არაა სათანადო ფორმაში.

ცხადია ისიც, რომ „ჩელსისთან" მატჩისთვის ჰაინკესს საკადრო პრობლემების გამოც ბევრი თავსატეხი აქვს. იუპი იძულებულია, სასტარტო შემადგენლობა მკვეთრად შეცვალოს, რადგან **ლუის გუსტავო, ჰოლგერ ბადშტუბერი** და **დავიდ ალაბა** დისკვალიფიცირებულები არიან.

## სასტარტო შემადგენლობა

ჩემი ვარაუდით, ჰაინკესი **თომას მიულერს** ძირითად შემადგენლობაში დააბრუნებს. საყრდენი გუსტავო ვერ ითამაშებს და მისი პირველი და ტიპური შემცვლელი **ანატოლი ტიმოშჩუკია,** თუმცა რაკი დაცვის ცენტრშიც პრობლემა გვაქვს (ბადშტუბერი დისკვალიფიცირებულია, **ვან ბუიტენი** კი – ტრავმირებული), ჰაინკესი იძულებული ხდება, **ჟერომ ბოატენგს** უკან სწორედ ტიმოშჩუკი შეუწყვილოს, რაც თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში საყრდენებად შვაინშტაიგერმა და **ტონი კროოსმა** უნდა ითამაშონ. შესაბამისად, შემტევი სამეულიდან იუპს სხვა გზა აღარ რჩება – გამთამაშებლად მიულერი უნდა დააყენოს. უკან კროოსი და შვაინი, წინ **რობენი,** მიულერი და **რიბერი** – „ბაიერნის" ნახევარდაცვა ჩემპიონთა ლიგის ფინალში ძალიან შემტევი და სარისკო კი გამოდის, მაგრამ ეს ფაქტორი რეკორდმაისტერს „ჩელსისთვის" გამოცანად აქცევს.

ბევრი ფიქრობს, რომ გერმანიის თასის ფინალში განცდილი კრახი „ბაიერნზე" ცუდად იმოქმედებს, მაგრამ მე ვიცი, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალი ჯერ არ არის წაგებული! და მე არ მინდა იმის წარმოდგენა, რომ „ბაიერნი" ამ სეზონში უტიტულოდ დარჩება. ფინალი ჩვენს სტადიონზეა, რაც იმას ნიშნავს, რომ აუცილებლად უნდა მოვიგოთ!

**გოტფრიდ ლენცი**

● ტყვიის სროლა. მსოფლიოს თასი




# სალუქვაძის უჩვეულო გამოსვლა

ოლიმპიურმა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა **ნინო სალუქვაძემ** ძალზე ცუდად იასპარეზა მილანში დანწყებულ მსოფლიოს თასის მორიგ ეტაპზე. გუშინ ჩვენებურმა პნევმატური იარაღით ისროლა და მხოლოდ 375 ქულა დააგროვა, რითაც მე-40 ადგილზე გავიდა.

სალუქვაძეს თითქოს ურიგოდ არ დაუწყია და პირველ სამ გასროლაზე სულაც ქულათა მაქსიმუმი ჰქონდა - სამივე ტყვია 10-იანში მოარტყა, მაგრამ პირველივე სერიოზული ჩავარდნაც აქ მოუვიდა - მეოთხე ცდაზე 8-იანი მოინადავლა. ამას ისევ სამი 10-იანი მიაყოლა, თუმცა მერე ორჯერ 9-იანამდე დაეშვა. ამ სერიის ბოლო გასროლა ისევ 10-იანი გამოდგა და სერია არცთუ ურიგო მაჩვენებლით - 96 ქულით დაასრულა.

მომდევნო ორი სერია ძალზე ცუდი გამოდგა - მხოლოდ 91-91 ქულა, მაგრამ მეორე სერიაში თუ 9-იანები ჭარბობდა, მესამეში სალუქვაძემ სამჯერ 8-იანში მოარტყა. დასკვნით, მეოთხე სერიაში სამიზნე კი გაისწორა და საუკეთესო შედეგი - 97 ქულა აჩვენა, მაგრამ ამით საერთო მდგომარეობა ველარ გამოასწორა. ამ სერიაში 7-ჯერ ათიანის ნიშნულში მოარტყა, დანარჩენები კი - 9-იანში.

ტურნირი უკრაინელმა მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ოლენა კოსტევიჩმა** მოიგო 493.1 ქულით. მან მართლაც ჩინებულად ისროლა - საკვალიფიკაციო ეტაპი 392 ქულით მოიგო, ფინალში კი მეორე იყო 101.1-ით. შესარჩევშიც და მთლიანად შეჯიბრებაშიც მეორე შედეგი ჩეხმა ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონმა და მსოფლიოს პრიზიორმა **ლენკა მარუსკოვამ** აჩვენა - თავდაპირველად 389 ქულა დააგროვა, რასაც ფინალში საუკეთესო შედეგი, 102.0 დაუმატა და ჯამში 491.0 დააგროვა. ბევრისთვის მოულოდნელად ბრინჯაოს მედალი ლამის უცნობმა ტაივანელმა **ჩია ჩენ ტინმა** მოიპოვა. საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ ის მეოთხე-მეხუთე ადგილებს იყოფდა სალუქვაძესავით ყველაფრის მომგებ სერბ **იასნა სეკარიჩთან**, მესამე ადგილზე კი 388 ქულით ბელარუსი, მსოფლიოს ორგზის მესამე პრიზიორი **ვიქტორია ჩაიკა** იყო. ფინალში ტაივანელმა 100.9 ქულა დააგროვა, ჯამში 487.9 გამოუვიდა და ბრინჯაოც დაისაკუთრა.

გუშინვე ასევე სპორტული პისტოლეტიდან ისროლა **ლევან ქადაგიძემაც**, მაგრამ დიდი შედეგებით ვერც ის გამოირჩა - 573 ქულა და 45-ე ადგილი. აქ ჩინელმა **ზონგლიანგ ტანმა** გაიმარჯვა 684.6 ქულით - 585+99.6. ვერცხლი 684.3-ქულიანმა თურქმა ისმაილ კელესმა მოიპოვა - 582+102.3. მესამეზე 684.0-იანი რუსი ვლადიმირ გონჩაროვი გავიდა - 583+101.0. 683.3-ქულიანი სომეხი **ნორაირ ბახტამიანი** საბოლოოდ ვერცხლს დასჯერდა იმის მიუხედავად, რომ ფინალში საუკეთესო შედეგით - 586-ით შევიდა.

ჩვენი დუეტი სპორტული პისტოლეტიდან სროლაში ხვალ გამოვა, მერე კი ტურნირის დანარჩენ მონაწილეებთან ერთად მიუნხენში გადაინაცვლებენ, სადაც მსოფლიოს თასის მეორე ეტაპი ჩატარდება.

**ირაკლი თავაძე**







ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი "დინამო" და საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ფარიკაობაში ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონის, ბრწყინვალე პიროვნების

**ვლადიმერ აფციაურის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის ფარიკაობის ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ფარიკაობაში ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონის, საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერის

**ვლადიმერ აფციაურის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

● უნივერსიადა - 2012

# ძიუდოთი დაიწყო

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ინიციატივითა და სპორტის სამინისტროს თანადგომით 15 მაისს დაიწყო და 12 ივნისს დამთავრდება საქართველოს უნივერსიადა - 2012, რომლის პროგრამაშიც სპორტის 22 სახეობა შედის: ძიუდო, ბადმინტონი, ხელბურთი, ქართული, ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობები, ტაეკვონდო, სამბო, კარატე, ჭადრაკი, მძლეოსნობა, ცურვა, მკლავჭიდი, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, შვიდკაცა რაგბი, ფრენბურთი, ძალისმიერი სამჭიდი, სტრიტ ბოლი, მშვილდოსნობა, სროლა და კრივი. გუშინ ოლიმპიური ჩემპიონის შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები ძიუდოში.

## კვარცხლბეკი

**60 კგ.** 1. გიორგი ბროლაშვილი (სტუ), 2. ლევან ბერბერაშვილი (სოხუმის უნივერსიტეტი), 3. იოსებ ცერცვაძე (საავიაციო უნივერსიტეტი) და ვანო ბაქრაძე (აგრარული უნივერსიტეტი).

**66 კგ.** 1. პაატა მერებაშვილი (გორის უნივერსიტეტი), 2. ვანო თოთლაძე (სტუ), 3. კობა გაზდელიანი (აგრარული) და ზაურ ლომელიანი (სდასუ).

**73 კგ.** 1. არჩილ უსტარაშვილი (აგრარული), 2. თორნიკე ჯულელი (სტუ), 3. დავით დავითური (ილიას უნივერსიტეტი) და ჯემალ ხაჩიძე (თსუ).

**81 კგ.** 1. შალვა ნინიძე (საავიაციო), 2. თეიმურაზ ხაჩიძე (თსუ), 3. გიორგი ბიჩელაშვილი (ილიას უნივერსიტეტი) და მიხეილ სიმონიანი (სამედიცინო).

**90 კგ.** 1. იასონ ნემსაძე (ქუთაისის უნივერსიტეტი), 2. ზაზა დავაძე (გორი), 3. გიორგი კობაიძე (ილიაუნი) და ბექა ლვაჩლიანი (გ. რობაქიძის უნივერსიტეტი).

**100 კგ.** 1. გიორგი ქავთარაძე (ილიაუნი), 2. დავით მერაბიშვილი (თსუ), 3. ნიკოლოზ გიორგაძე (ქუთაისი) და დიმიტრი სეფიაშვილი (აგრარული).

**+100 კგ.** 1. გიორგი კალაძე (სამედიცინო), 2. ილია მაჭავარიანი (გორი), 3. გიორგი ზაქარიაძე (სტუ) და გიორგი კრიჭაშვილი (აგრარული).

**გუნდური.** 1. სტუ (1 ოქრო, 2 ვერცხლი, 1 ბრინჯაო), 2. გორის უნივერსიტეტი (1, 2, 0), 3. აგრარული უნივერსიტეტი (1, 0, 4).

**ვაჟა დანელია**



● ქართული ჭიდაობა

# ტაში მუსიკოსებმაც დაიმსახურეს...

ზესტაფონმა უმასპინძლა უმცროსი ასაკის ჭაბუკთა პირველობას ქართულ ჭიდაობაში იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლების მონაწილეობით. მსგავსი ტურნირები ცოტა ხნის წინათ, ქართლსა და კახეთშიც გაიმართა. ზესტაფონში ჩატარებული შეჯიბრება არაფრით ჩამორჩებოდა აღმოსავლეთ საქართველოში მოწყობილ ანალოგიურ შეჯიბრებას. იმის თქმა გვინდა, რომ დასავლეთ საქართველოს ხსენებულ მხარეებშიც პატივს სცემენ ჩვენს დედაჭიდაობას. ბევრ ზესტაფონელს დღესაც კარგად ახსოვს მათი თანამოქალაქე, ქართული და ფრანგული ჭიდაობის გამოჩენილი ოსტატი, **მიშიკო მაჩაბელი**-ციმაკურიძე (1900-1989) (პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონის, დავით ციმაკურიძის მამა).

ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცის მესვეურებმა ამაგდარ ზესტაფონელ მწვრთნელს, **ჯონი ჯანიაშვილს**, რომელიც 55 წელია ჭიდაობის სამსახურშია, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის მოწმობა გადაეცა.

შეჯიბრების დაწყების წინ, კასპიდან ჩასულმა ქართული ჭიდაობის მუსიკოსშემსრულებლებმა ზესტაფონის ცენტრალური მოედანი „საჭიდაოს" ჰანგებით გაიარეს და გამვლელთა ტაშიც დაიმსახურეს.

ზესტაფონის მაგალითი კარგად მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ქართული ჭიდაობა უკლებლივ ყველა რაიონში უნდა ტარდებოდეს...

## კვარცხლბეკი

### 1998-1999 წლებში დაბადებულები

**35 კგ.** 1. გიორგი თუთაშვილი (ქუთაისი), 2. დიმიტრი ხუციშვილი (ჭიათურა), 3. გიორგი ბენდელიანი (ცაგერი).

**40 კგ.** 1. გაგა ბახტიძე, 2. ფრიდონ ბახტიძე, 3. ოთარ ფოფხაძე (სამივე - ზესტაფონი).

**45 კგ.** 1. დემურ შარვაშიძე, 2. გიორგი ხუჯაძე, 3. ნუგზარ სალდაძე (სამივე - ქუთაისი).

**50 კგ.** 1. ნიკა მერკვილიშვილი (ზესტაფონი), 2. ნოდარ კვანტიძე (ტყიბული), 3. მინდია ლვანიძე (ზესტაფონი).

**55 კგ.** 1. გიგა კაკაურიძე (ქუთაისი), 2. გიორგი კოპალიანი (ცაგერი), 3. ალექსანდრე მამრიკიშვილი (ქუთაისი).

**60 კგ.** 1. გიორგი გოგოლაძე (საჩხერე), 2. გიორგი ბრეგვაძე (ქუთაისი), 3. ალექსი სვიანაძე (ზესტაფონი).

**65 კგ.** 1. ბეჟანი სალაძე (ზესტაფონი), 2. ლევან ჭარბაძე, 3. ჯაბა ხაჭაპურიძე (ორივე - ქუთაისი).

**+65 კგ.** 1. ოთარ დარსაველიძე (ქუთაისი), 2. ზურაბ ქომეთიანი (ცაგერი), 3. ავთანდილ ხუჯაძე (ზესტაფონი).

**გაბრიელ ბარჯაძე**

ავტორის ფოტო



გამარჯვებულები

● ჭადრაკი



# ფავორიტი წინ მიიწევს

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 71-ე ეროვნულ ჩემპიონატზე გუშინდელმა დღემ უსენსაციოდ ჩაიარა. ტურნირის რეიტინგფავორიტმა **ბაადურ ჯობავამ** მორიგი ქულა ჩაიწერა გათამაშების ცხრილში. გალელი დიდოსტატი შავი ფიგურებით აუტსაიდერ **ივერი ჭილლაძეს** ეთამაშებოდა. 44-ე სვლისთვის შავების უპირატესობა გამოიკვეთა და საქართველოს ვაჟთა ნაკრების ლიდერმა პარტიაც ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა:




44. მxa7 ლe1+ 45. მფg2 მd5 46. ლc6 მe3+ 47. მფf3 მf5 48. ლc6 ლf1+ 49. ლf2 ლxd3+ 50. მფg2 მe3+ 51. მფh2 ლd4 და თეთრები დანებდნენ.

ჩემპიონატზე პირველი გამარჯვება იზეიმა **კონსტანტინე შანავამ**, რომელმაც, ასევე, შავებით **ირაკლი ბერაძეს** აჯობა. დანარჩენ ოთხ პარტიაში დაზავდნენ: **დავით არუთინიანი - დავით ზარქუა, დავით ლომსაძე - ლუკა პაიჭაძე, გიგა ყუფარაძე - მერაბ გაგუნაშვილი, ლევან ფანცულაია - ზურაბ ჯავახაძე.**

ოთხი ტურის შემდეგ: ჯობავა - 3.5, პაიჭაძე - 3, ჯავახაძე, გაგუნაშვილი - 2.5-2.5, ზარქუა, ყუფარაძე, ლომსაძე, არუთინიანი - 2-2, ბერაძე, ფანცულაია, შანავა - 1.5-1.5, ჭილლაძე - 0 ქულა.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ შალვა სუთიაშვილთან

# ის არსად წავა

**ქართველი მორაგბეები ახალ ზელანდიაში გამართული მსოფლიოს თასის გათამაშების შემდეგ საყოველთაო ყურადღების ცენტრში არიან, რამდენიმე „ბორჯღალოსანმა“ უკვე გააფორმა საკმაოდ სარფიანი კონტრაქტი უმაღლესი რანგის გუნდებთან. როგორც ყოველთვის, ისევ დიდია მოთხოვნა ახალგაზრდა ქართველ პირველხაზელებზე, თუმცა ისიც საგულისხმოა, რომ ამჯერად მათ არც მეორე-მესამეხაზელები ჩამორჩებიან. საფრანგეთში უკვე დიდი ხანია თამაშობს საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი შალვა სუთიაშვილი, რომელთანაც ფრანგულ ვებსაიტზე www.leparisien.fr საკმაოდ ვრცელი ინტერვიუ გამოქვეყნდა. ამ პუბლიკაციას უცვლელად გთავაზობთ.**



“ბედნიერება მარტო არ მოდის. საქართველოს ნაკრებისა და ფრანგული „მასის“ 28 წლის მესამეხაზელს უახლოესი კვირების განმავლობაში სერიოზული გამოცდა ელის. მომდევნო თვეში ის მესამე ბიჭის მამა გახდება. „მალე სარაგბო გუნდის დაკომპლექტებას შევძლებო“ - სიცილით ამბობს შალვა.

სუთიაშვილი საფრანგეთში საქართველოდან 2007 წელს ჩამოვიდა. ერთი წელიწადი ფედერალ 1 დივიზიონის „ბობინიში“ გაატარა. 2008 წლიდან კი დღემდე პარიზული „მასის“ ერთგულია. შალვამ შარშან საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებაში იასპარეზა. ამჟამად კი „მასისთან“ ერთად ელიტურ მეორე დივიზიონში გადასვლისთვის იბრძვის. მას ერთნაირი წარმატებით შეუძლია, როგორც მესამე, ისე მეორე ხაზში თამაშიც და ყველაფერს გააკეთებს გუნდთან ერთად, რომ შარშანდელი, ფინალურ მატჩში განცდილი წარუმატებლობა, ამჯერადაც არ განმეორდეს.

**- როგორი განწყობით ხვდებით წლევანდელი ჩემპიონატის ბოლო ეტაპს?**

- ჩვენი მიზანია პლეი ოფში ყველა თამაში მოვიგოთ. არ გვინდა ისე გამოვიდეს, როგორც შარშან, როცა მთელი წლის ნაშრომი ერთ მატჩში წაგებით წყალში ჩავყარეთ. ვიცით, რომ ისევ ძალიან გაგვიჭირდება საფრანგეთის სამხრეთის რეგიონის გუნდებთან თამაში, მაგრამ ახლა უკვე საკმარისი გამოცდილება გვაქვს. უკვე ვიცით, რას უნდა ველოდოთ მეტოქე გუნდებისგან და რა დავუპირისპიროთ მათ.

**- როგორც ჩანს, თავდაჯერება რეგულარული გათამაშების ბოლო ტურში, „ლილთან“ გამარჯვებამ შეგძინათ...**

- დიახ, შეიძლება ასეც ითქვას. ჩვენ შეგვეძლო „ლილი“ უფრო დიდი სხვაობითაც დაგვემარცხებინა, მაგრამ როგორც კი ანგარიშში საგრძნობლად დავწინაურდით, ოდნავ მოვეშვით და მეტოქეს მდგომარეობის გამოსწორების შანსი მივეცით. ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს. ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ საბრძოლო შემართება თამაშის ბოლომდე შევინარჩუნოთ.

**- ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ შარშანდელი ფიასკო დღემდე მწარედ გახსოვთ...**

- არა, პირიქით, ჩვენ უკვე გადავლახეთ ეს სტრესი. იმ თამაშის ვიდეოფირი არაერთხელ ვნახეთ. ყოველ ჯერზე სულ უფრო ვრწმუნდებოდით, რომ არ უნდა წაგვეგო.

**- რა არის თქვენი გუნდის თამაშის ძლიერი მხარე?**

- შერკინება. განსაკუთრებით მაშინ, როცა წვიმს და ძლიერი ქარია. წინასწარ არ ვიცით, როგორ მდგომარეობაში იქნება სტუმრად თამაშისას მოედანი. ამიტომ, ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ, ნებისმიერ პირობებში წარმატების მისაღწევად.

**- თქვენ მესამე ხაზში თამაშის გარდა, ხშირად მეორეშიც გიწევთ გარჯა. ეს სირთულეებს ხომ არ გიქმნით?**

- არა, მე ხშირად ვთამაშობ ორივე პოზიციაზე. მეტიც, არცთუ ისე იშვიათად ერთ თამაშში მიწევს ხოლმე ორივე ფუნქციის შესრულება. მთავარი ის არ არის, რა პოზიციაზე ვარ, მთავარია, რომ ვთამაშობ.

**- როგორ ფიქრობთ, ეს სეზონი „მასიში“ თქვენთვის საუკეთესო იყო?**

- წლევანდელი ჩემპიონატის ბოლო მონაკვეთი ცუდი არ იყო. მსოფლიოს თასის გათამაშების შემდეგ მცირე ჩავარდნა მქონდა. რაღაც მომენტში ძალიან დაღლილი ვიყავი. თუმცა ახლა თავს შესანიშნავად ვგრძნობ. საუკეთესო სეზონი კი იმ შემთხვევაში მექნება, თუ „მასი“ მეორე დივიზიონში გადასვლას შეძლებს.

**- როგორ შეაფასებთ მსოფლიოს თასზე თქვენს ასპარეზობას?**

- მსოფლიოს თასის გათამაშებაში, რომელიც შარშან ახალ ზელანდიაში გაიმართა, ორ მატჩში, ინგლისისა და შოტლანდიის ნაკრებებთან ვმონაწილეობდი. ამ თამაშებმა ძალიან ბევრი შემძინა, დიდი გამოცდილება მივიღე. მივხვდი, რომ თუ მოვინდომებთ და, რაც მთავარია, ვირწმუნებთ, ჩვენს ეროვნულ ნაკრებს ნებისმიერ მეტოქესთან შეუძლია წარმატებას მიაღწიოს.

**- მასიდან წასვლაზე ხომ არ ფიქრობთ?**

- არა, მე ერთგული ვარ, ჩემს კარიერაში სულ სამი გუნდი იყო, ერთი ქართული (ლოკომოტივი) და ორი ფრანგული, „ბობინი“ და „მასი“. აქ ბევრი მეგობარი მყავს, ძმებივით ვცხოვრობთ. ეს ნამდვილი ოჯახია. ყველაფერი ძალიან მარტივია. ჩვენ ერთმანეთისთვის ვთამაშობთ. მსოფლიოს თასის გათამაშების დასრულების შემდეგ, რამდენიმე კლუბის მენეჯერმა შემომთავაზა მათთან გადასვლა, მაგრამ „მასიში“ დარჩენა გადავწყვიტე. ჩემი მიზანია, ამ გუნდთან ერთად ვიბრძოლო მაღალი მიზნებისთვის.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ინტერვიუ ზურაბ ძნელაძესთან


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტურბო ქართულია

## ქუთაისი-ამერიკა-საფრანგეთი

**სეზონის წინ გადახალისებულმა „აიამ“ საგაზაფხულო ეტაპი კარგად დაიწყო. ქუთათურებმა გაზაფხულის ტურნირში ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს და ნახევარფინალში გავიდნენ. „აიას“ ძირითადი ბირთვი ახალგაზრდა მორაგბეებითაა დაკომპლექტებული, რომლებმაც უმოკლეს დროში შეძლეს გუნდთან ადაპტაცია და მის წამყვან მოთამაშეებად ჩამოყალიბება. ქუთაისელთა ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშეა საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების წევრი ზურაბ ძნელაძე, რომელიც „აიას“ ძირითადში გასულ სეზონში გამოჩნდა და მალე გუნდისთვის მნიშვნელოვანი მოთამაშე გახდა. „ტურბოს“, როგორც მას რაგბის სამყაროში მოიხსენიებენ, საკლუბო კარიერაზე ვესაუბრეთ.**

**- წლევანდელი სეზონი გუნდისთვის და პირადად თქვენთვისაც კარგად დაიწყო. დიდ რაგბის ორი წელია, რაც თამაშობთ და პროგრესი აშკარად გეტყობათ...**

- საკუთარ თავზე ბევრს ვმუშაობ და დაუზარებლად ვვარჯიშობ. წლევანდელი სეზონი ჩემთვის წარმატებით დაიწყო. მართალია, გაზაფხულის ტურნირის პირველი თამაში გამოვტოვე, მაგრამ მომდევნო ორი შეხვედრა „ყოჩებთან“ და „ჯიქებთან“ კარგად ჩავატარე და ლელოებიც გავიტანე. პარალელურად საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებში ვარ გამოძახებული, ვემზადებით მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფისთვის, რომელიც ივნისში ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართება. რაც შეეხება „აიას“, საგაზაფხულო ეტაპი კარგად დავიწყეთ, ხუთიდან ხუთივე შეხვედრა მოვიგეთ და ნახევარფინალში გავედით.

**- დიდი ხანი არაა, რაც „აიას“ მთავარ გუნდში ირიცხებით და უკვე გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გახდით. არ გაგიჭირდათ გუნდში ადგილის დამკვიდრება?**

- „აიას“ ასაკობრივ გუნდში ვთამაშობდი და სტილს თავიდანვე შეჩვეული ვიყავი, ამიტომ ძირითად გუნდში ინტეგრაცია არ გამჭირვებია. მართალია, ჯერ კიდევ ბევრი მაქვს სასწავლი, მაგრამ ვცდილობ, რაც შეიძლება კარგად ვითამაშო და „აიას“ გამარჯვებებში წვლილი შევიტანო. ტრავმის გამო ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრა „ლოკომოტივთან“ გამოვტოვე. ფეხზე ნერვის ანთება მქონდა, სერიოზული არაფერია და იმედი მაქვს, მომდევნო შეხვედრები აღარ გამიცდება.

**- თქვენს დადებით მხარეებზე რას გვეტყვით, რით ახერხებთ სხვებთან უპირატესობის მოპოვებას?**

- უკანა ხაზის მოთამაშე ვარ და ისეთ კონდიციებში ვიმყოფები, როგორიც ამ პოზიციის მორაგბისთვისაა საჭირო. საქართველოს ჩემპიონატში, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი მოთამაშე ვარ, მაგრამ მინდა, ამ მხრივაც გავაუმჯობესო შედეგები.

**- თქვენი მეტსახელი, „ტურბოც“, ალბათ, აქედან მოდის...**

.- „ტურბო“ პირველმა მწვრთნელმა დავით გორდულაძემ დამარქვა და მას შემდეგ ასე მეძახიან.

**- „აიადან“ რამდენიმე წამყვანი მორაგბე წავიდა, თუმცა, როგორც ჩანს, გუნდი არ დასუსტებულა. როგორ ახერხებთ სტაბილურობის შენარჩუნებას?**

- გუნდიდან დაახლოებით შვიდი ძირითადი მოთამაშე წავიდა, სამაგიეროდ, ახალი თაობა (1993 წელს დაბადებული მორაგბეები) დაწინაურდა. კარგად თამაშობენ და იმედებსაც ამართლებენ. მაგალითად, ამ თაობის წარმომადგენელია გიორგი ფრუიძე, რომელმაც „ლოკომოტივს ორი ლელო გაუტანა და ამ მატჩში ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე. სხვა პერსპექტიული ბიჭებიც არიან, რაც გვაფიქრებინებს, რომ ჩვენს გუნდს კარგი მომავალი აქვს. წლეულს ისევ მაღალი მიზნებისთვის გვინდა ბრძოლა. ჩემპიონატსა და თასზე წარმატებისთვის ვიბრძოლებთ. ყველაფერს გავილებთ, რომ რაიმე ტიტული მოვიგოთ და იმედია, გაგვიმართლებს.

**- რამდენ ხანს აპირებ „აიაში“ დარჩენას?**

წლეულს „აიაში“ ვითამაშებ, გუნდს გაზაფხულის ტურნირსა და ჩემპიონატში დავეხმარები. შემდეგ კი, მინდა, საკუთარი ძალები საფრანგეთშიც მოვსინჯო და ამისთვის აქედანვე ვემზადები.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ტესტები

# ბრუნელმა შვიდი ახალი იხმო

იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ჟაკ ბრუნელმა** იმ 30 მორაგბის ვინაობა დაასახელა, რომლებიც ივნისის ტესტებისთვის მოემზადებიან. „სკუადრა აძურას“ რიგებში შვიდი ახალი მორაგბეა. ესენი არიან: **ალბერტო დე მარკი, ლორენცო რომანო, ფრანცისკო მინტო, დავიდე გიაზონი, მარკო ფუზერი, ანდრეა პრატიკეტი და ალბერტო ბენეტინა.**

ბრუნელმა მესამეხაზელი და გუნდის ლიდერი **სერჯო პარისეც** გამოიძახა, თუმცა არგენტინული წარმოშობის მორაგბე დაშავებულია და გამორიცხული არ არის ივნისის ტესტები გაუცდეს.

იტალიელები პირველ შეხვედრას 9 ივნისს სტუმრად გამართავენ არგენტინის ნაკრებთან, მერე კი სამხრეთ ამერიკიდან ჩრდილოეთში გადაინაცვლებენ, სადაც აშშ-ისა და კანადის ნაკრებებს დაუპირისპირდებიან.

**იტალიის ნაკრები**

**შერკინება:** მიქელი რიზო, რობერტო ბარბიერი, ფრანჩესკო მინტო, ალესანდრო ძანი, ანტონიო პავანელო (ხუთივე-ბენეტონი), მარტინ კასტროჯოვანი (ლესტერი), ტომაზო დაპიკე, მარკო ბორტოლამი, ჯოშუა ფურნო, სიმონე ფავარო, ალბერტო დე მარკი, ლორენცო რომანო, მაურო ბერგამასკო (შვიდივე-აირონი), სერჯო პარისე (სტად ფრანსე), კარლო ფესტუჩა (პარმა), დავიდე გიაზონი (როვიგო), მარკო ფუზერი (მოლიანო).

**უკანა ხაზი:** ტიტო ტებალდი, ალბერტო ბენეტინი, რობერტო კვარტარიოლი, ჯულიო ტონიოლატი, ჯიოვანი ბატისტა (ხუთივე- აირონი), ედუარდო გორი, კრიტოფ ბარტონი, ტომაზო ბენვენუტი, ლუკ მაკლინი, ანდრეა პრატიკეტი, ალბერტო სგარბი (ექვსივე-ბენეტონი), რიკარდო ბოჩინო (პრატო), ლუკა მორისი (პარმა).

**ბესიკ ჯანგავაძე**




რუბრიკას უძღვება
ალექსანდრე ჯინორიძე

## N 1

მეკარე სპორტში განსაკუთრებული ფიგურაა. ფეხბურთის ბევრი მეკარე კი ლეგენდად იქცა მრავალ ქვეყანაში. სახალხო თამაშის ამ ამპლუაზე უამრავი ფილმია გადაღებული და რასაკვირველია, მომავალშიც ბევრს გადაიღებენ. ქართველ კინომატოგრაფისტთა ყურადღება კი მეკარის თამაშზე განსაკუთრებით გამახვილებულია საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიაში გადაღებულ ფილმში, სპეციფიკური სათაურით „N1". ქართულ დოკუმენტურ ფილმში „უბურთო ფეხბურთი" მიგნებული ხერხი კარგადაა გამოყენებული ამ ფერად ერთნაწილიან სურათში, რომლის სცენარის ავტორი, რეჟისორი და ოპერატორიც გახლავთ გოგი თორაძე.

საქტელეფილმი. 1984 წელი



სუმო. ნაცუ ბაშო. 6-20 მაისი

# კოკაი ტრავმას დანებდა, მაგრამ არ გავარდება




ქართული პროფესიული სუმოს პიონერი **ლევან ცაგურია (კოკაი)** გუშინ არ გამოუცხადდა მეტოქეს და წაგება ჩაეთვალა - მიზეზი წინა დღის დაპირისპირებაა ჩეხ **ტაკანოიამასთან**, რომელშიც ქართველმა კუნთი დაიჭიმა. „შავმა ზღვამ" გადაწყვიტა, არ გაირთულოს ტრავმა, მან უკვე მოიპოვა 6 გამარჯვება. ასე რომ, ბაშოს უარყოფითი ბალანსის დასრულების შემთხვევაშიც კი არ მოუწევს მესამე დივიზიონში გავარდნა, თუმცა კი ზღვართან ძალიან ახლოს მივა.

ელიტაში **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)** უარყოფითი ბალანსი და შესაბამისად რეიტინგში კლება „დაიბევა". ერთადერთი, **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** ასპარეზობს მეტ-ნაკლებად წარმატებით - მას 6-5 ბალანსი აქვს და წინსვლისთვის კიდევ 2 მოგება ესაჭიროება.

### XI დღე

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-კოტოოშუ (კირიკაეში), კისენოსატო-კაკურიუ (იორიკირი), კოტოშოგიკუ-ჰარუმაფუჯი (იორიკირი), ბარუტო-ჰომაშო (იორიკირი), ტოიონოშიმა-ტოჩიოძანი (კატასუკაში), ტაკაიასუ-გოეიდო (ოშიტაოში), მიოგირიუ-ამინიშიკი (ოშიდაში), არანი-**გაგამარუ** (უვატედაშინაგე), ტოიოჰიბიკი-ვაკაკოიუ (ოშიდაში), ტოჩინოშინი-ტაკარაფუჯი (იორიკირი), **ტოჩინოშინი**-ტაკარაფუჯი (იორიკირი). **ძურიო:** მასარაუმი-**კოკაი** (უბრძოლველად).

### სატურნირო მდგომარეობა

**10-1**: კისენოსატო (ოძეკი).

**8-3**: კოტოშოგიკუ (ოძეკი), ბარუტო (ოძეკი), ტოჩიოძანი (მაეგაშირა 4), აოიამა (მ 6), კიოკუტენჰო (მ 7), შოტენრო (მ 11), ტამავაში (მ 15), ტაკარაფუჯი (მ 16)... **6-5**: ტოჩინოშინი (მ 8)... **3-8**: გაგამარუ (მ 2).

### XII დღე

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-კოტოშოგიკუ, ჰარუმაფუჯი-კაკურიუ, ბარუტო-კოტოოშუ, ტოჩიოძანი-კისენოსატო, **გაგამარუ**-გოეიდო, ტოიონოშიმა-ჰომაშო, ამინიშიკი-ტოიოჰიბიკი, არანი-ტაკაიასუ, მიოგირიუ-ტაკეკაძე, ტოჩინოვაკა-ვაკანოსატო, **ტოჩინოშინი**-კიმიკაზე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



## ქართული სპორტის ქრონიკები

მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან

# დავით გურგენიძე



დაიბადა 26. 09. 1953, საგარეჯო. საჭადრაკო კომპოზიტორი. საერთაშორისო დიდოსტატი (1989), საერთაშორისო არბიტრი საჭადრაკო კომპოზიციასა (1994) და ჭადრაკში (2001). საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი (1994-2004). გაზეთ „ლაზიერის" (1997-იდან) და გაზეთ „სკოლა-ჭადრაკის" რედაქტორი (2003-იდან). სსრკ ჩემპიონატის სამგზის მესამე (1979-80, 1983-84, 1987-88), ორგზის მეორე პრიზიორი (1973-74, 1977-78) და ორგზის ჩემპიონი (1975-76; 1981-82). მსოფლიოს პირველი, ამავე დროს, ორგზის ჩემპიონი საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში (1997-2001; 2002-05). საქართველოს ქალთა ნაკრების კაპიტანი და ვერცხლის მედლის მფლობელი 2000 წლის ოლიმპიადაზე. 20-მდე საჭადრაკო წიგნის ავტორი.

„ლელო"-ში 40 წლის წინათ...

## 17 - 23 მაისი 1972 წელი

**17 მაისი.** ამ დღეს „ლელომ" პირველ გვერდზე გამოაქვეყნა ცნობა ძალოსნობაში **დიტო შანიძის** ევროპის ჩემპიონატში გამარჯვებასთან დაკავშირებით. დიტო მეხუთედ გამოდიოდა ამ ასპარეზობაში და პირველად გახდა ჩემპიონი. მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლებაც ამ გამარჯვებით მოიპოვა.

**18 მაისი.** ქ. რიგაში (ლატვია) გაიმართა მსოფლიოს პირველობაზე ჭადრაკში ქალთა შორის ალა კუშნირისა და ნონა გაფრინდაშვილის მატჩის მეორე პარტია. ნონამ ეს შეხვედრაც მოიგო და ანგარიში გახდა 2:0 მის სასარგებლოდ.

**19 მაისი.** გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონატის II ლიგის გუნდების მატჩები. გათამაშების ერთ-ერთმა ლიდერმა ქუთაისის „ტორპედომ" ყარაგანდის „შახტიორთან" სტუმრად ითამაშა და დამარცხდა - 0:1.

**20 მაისი.** თბილისის „დინამომ" ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე გათამაშების ლიდერს ვოროშილოვგრადის „ზარიას" უმასპინძლა. მატჩი თბილისელებმა მოიგეს - 2:1. გოლები გამარჯვებულთაგან გაიტანეს გივი ნოდიამ და კახი ასათიანმა.

**21 მაისი.** ჭადრაკში ქალთა შორის მსოფლიოს პირველობაზე ქ. რიგაში ნონა გაფრინდაშვილმა კიდევ ერთი პარტია მოიგო და ანგარიში გახდა 3:1 გაფრინდაშვილის სასარგებლოდ.

**22 მაისი.** ბულგარეთში ამ ქვეყნის სახელოვანი ფალავნის დან კოლოვის მემორიალზე თავისუფალ ჭიდაობაში თავის წონაში პირველობა მოიპოვა თბილისელმა ნოდარ მოდებაძემ.

**23 მაისი.** ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე II ლიგის გუნდებს შორის მორიგი ტურის მატჩში ქუთაისის „ტორპედომ" კუიბიშევში 2:2 ითამაშა ადგილობრივ „კრილია სოვეტოვთან".

პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** ქართველი მოჭიდავე, რომელიც საბჭოთა კავშირის 16-გზის ჩემპიონი (თავისუფალში 9-გზის, სამბოში 7-გზის) გახდა, იყო **არსენ მეკოკიშვილი.**

■ ■ ■

**პირველმა** ქუთაისელი სპორტსმენებიდან საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე **შალვა ჩიხლაძემ** მოიპოვა 1936 წელს. ფინალში მან ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი რუსი **ალექსანდრე კაზანსკი** დაამარცხა.

■ ■ ■

**პირველად** თბილისის ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში 1950 წელს ჩატარდა.

საფალავნოს ფოტომატიანე

**ვიტორ სანეევი** წერს: "ჟურნალისტებთან მრავალწლიანი ურთიერთობა მაკავშირებდა და ამ ხნის განმავლობაში ჩვენ შორის ურთიერთნდობის ატმოსფერო ჩამოყალიბდა.

სურათზე აღბეჭდილია ვიქტორ სანეევის სტუმრობა ჟურნალ „მართვეს" რედაქციაში 1978 წელს. მარცხნიდან: სხედან - არჩილ გოგელია („მართვეს" რედაქტორი), ვიქტორ სანეევი, ვახტანგ რურუა (მხატვარი), დგანან - რაიმონდ (რეზო) მაჭავარიანი და გიორგი ქორქია (ჟურნალისტები).

ფოტო „მართვეს" არქივიდან



## 17 - 23 მაისი

**17. 1976 წ.** დაიბადა **გიორგი წმინდაშვილი** - ძიუდო.

**18. 2007 წ.** საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატი მოიგო რუსთავის „აზოტმა" - ფინალურ სერიაში თბილისის „ავიამშენს" აჯობა (85:75, 86:75, 85:63).

**19. 2010 წ.** რუსთავის საკალათბურთო გუნდი „ენერჯი-ინვესტი" საქართველოს ჩემპიონი გახდა.

**19. 1950 წ.** დაიბადა **გურამ ბიგანიშვილი** - აფროსნობა.

**19. 1969 წ.** დაიბადა **დუდუ დადიანი** - კალათბურთი. ტრაგიკულად დაიღუპა 2002 წელს.



დუდუ დადიანი

**20. 1974 წ.** საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების შემადგენლობაში უკანასკნელი 49-ე მატჩი ჩაატარა **რევაზ ძოძუაშვილმა.**

**20. 1980 წ.** სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში **ვიტალი დარასელია** და **რამაზ შენგელია** გახდნენ ევროპის ჩემპიონები იუნიორთა შორის.

**21. 1975 წ.** დაიბადა **ვახტანგ ბეჟანიშვილი** - კალათბურთი.

**22. 1991 წ.** დაფუძნდა ბერძნულ-რომაული სტილის ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია. შემდეგ გაერთიანდა თავისუფალი ჭიდაობის ფედერაციასთან - ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია.

**22. 1940 წ.** დაიბადა **ვალერი ლომაძე** - კალათბურთი.

**23. 1919 წ.** დაიბადა **ნინო დუმბაძე** - მძლეოსნობა. გარდაიცვალა 1983 წ.

**23. 1940 წ.** დაიბადა **ლევან მოსეშვილი** - კალათბურთელი, მწვრთნელი.

**23. 1940 წ.** დაიბადა **ვალერი ალთაბაევი** - კალათბურთი. გარდაიცვალა 2008 წელს.

**23. 1971 წ.** დაიბადა **არჩილ ჩოხელი** - სამბო.

**იუბილარი:** 15 მაისს საზეიმოდ აღინიშნა ვეტერანი ველომრბოლის **ველიკი ჯონჯოლიანის** დაბადებიდან 80 წლისთავი.

ვიქტორინა

**1. რომელ წელს მიიწვიეს პირველად საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა ნაკრებში მიხეილ ქორქია?**

ა - 1966 წელს
ბ - 1968 წელს
გ - 1971 წელს

**2. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში თბილისის „დინამოს" რომელმა ფეხბურთელმა გაიტანა ამ კლუბის 1500-ე გოლი?**

ა - ზაურ კალოევმა
ბ - დავით ყიფიანმა
გ - გიორგი გავაშელმა

**3. რომელ წელს მიენიჭა ლეგენდარული ფალავნის გივი კარტოზიას სახელი თბილისის სპორტის სასახლეს?**

ა - 1998 წელს
ბ - 2001 წელს
გ - 2006 წელს

**4. რომელი წლიდან იწყება ახალი ერა ქართული სპორტის ისტორიაში?**

ა - 1989 წლიდან
ბ - 1990 წლიდან
გ - 1992 წლიდან

**5. ფეხბურთის შემდეგ სპორტის რომელი სახეობა გამოეყო საბჭოთა კავშირის ფედერაციას?**

ა - ხელბურთი
ბ - თავისუფალი ჭიდაობა
გ - რაგბი

პასუხები: 1 - ბ, 2 - გ, 3 - ბ, 4 - გ, 5 - ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი

NBA პლეი ოფი, 1/4 ფინალი


დერიკ როუზი

# შემდეგი სეზონი როუზის გარეშე?

ცუდი ამბავი შეიტყვეს "ჩიკაგო ბულზის" გულშემატკივრებმა. როგორც იცით, ამ გუნდის ლიდერმა **დერიკ როუზმა** "ფილადელფიასთან" სერიის პირველ მატჩში მუხლის ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა და რამდენიმე დღის წინ ოპერაცია გადაიტანა.

ახლა ირკვევა, რომ გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშის აღდგენითი პროცესი, შესაძლოა, დიდი დროით გაიწელოს. საქმე, შესაძლოა, იქამდეც კი მივიდეს, რომ როუზმა ვერ შეძლოს მომავალ სეზონში თამაში.

როგორც ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი წერს, "ჩიკაგოს" ერთ-ერთი ექიმის ვარაუდით, როუზის მოედანზე დაბრუნებას 8-12 თვე დასჭირდება. ამიტომაც, 23 წლის კალათბურთელს შემდეგი სეზონის სრულად გამოტოვება ემუქრება.

# კარლაილი და ტიბოდო რჩებიან

"დალას მავერიქსის" მთავარმა მწვრთნელმა **რიკ კარლაილმა** ახალი, ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა თავის ამჟამინდელ კლუბთან. შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში კარლაილმა ჩემპიონის ტიტულამდე მიიყვანა თავისი გუნდი, მაგრამ წელს "მავერიქსი" პირველივე წრიდან გამოეთიშა პლეი ოფს.


რიკ კარლაილი

52 წლის კარლაილი მოთამაშის რანგში "ბოსტონის", "ნიუ იორკისა" და "ნიუ ჯერსის" რიგებში გამოდიოდა. 2001 წელს ის "დეტროიტის" დამრიგებელი გახდა, 2003-ში "ინდიანაში" გადავიდა, 2008 წლიდან კი "დალასს" ავარჯიშებს. 2001-02 წლების სეზონში მან საუკეთესო მწვრთნელის პრიზი დაიმსახურა.

■ ■ ■

ამასობაში, "ჩიკაგოს" გენერალურმა მენეჯერმა **გარ ფორმანმა** დაადასტურა კლუბის სურვილი, კონტრაქტი გააგრძელოს მთავარ მწვრთნელ **ტომ ტიბოდოსთან.**

*"ჩვენ ჯერ კიდევ შემოდგომაზე დავიწყეთ მოლაპარაკება მრავალწლიან კონტრაქტზე, - განაცხადა ფორმანმა. – ახლა გრძელდება კონტრაქტის დეტალების განხილვა. ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ ტომი შესანიშნავი სპეციალისტია, რომელიც დიდი პატივისცემით სარგებლობს გუნდში და ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია ლიგაში. იმედია, ის ჩვენთან დიდი ხნით დარჩება".*

# ბოში თურმე ბევრს ნიშნავს

"ინდიანასთან" სერიის მეორე მატჩის წინ, "მაიამის" გაურკვეველი ვადით გამოაკლდა **კრის ბოში,** რომელმაც მუცლის კუნთი დაიზიანა. ამიტომაც ფავორიტს თავისი ერთ-ერთი ლიდერის გარეშე მოუწია ფონს გასვლამ.

ბოშმა ტრავმა პირველი მატჩის მსვლელობისას მიიღო და მაშინ **ლებრონ ჯეიმსისა** და **დუეინ უეიდის** მონდომება საკმარისი აღმოჩნდა შეხვედრის გამარჯვებამდე მისაყვანად: ამ წყვილმა მეორე ტაიმში უფრო მეტი ქულა დააგროვა, ვიდრე მთელმა "ინდიანამ" ერთად აღებულმა და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა. და გუშინაც თითქოს ისე ჩანდა, რომ თამაშს ზუსტად ასეთივე განვითარება ექნებოდა. "ინდიანა" შეტევაში დიდ პრობლემებს წააწყდა და რეალიზაციის საბოლოო 37 პროცენტი წარმატებულად ჩატარებული მესამე მეოთხედის წყალობით დაფიქსირდა. სტუმრებს ჰქონდათ დროის ერთი მონაკვეთი, რომლის დროსაც მათ 15-დან მხოლოდ ორი ბურთი მოათავსეს კალათში. "მაიამის" რიგებში ლებრონისა და დუეინის გარდა სხვებსაც რომ მოენდომებინათ, პირველი ტაიმის შემდეგ მასპინძლებს უფრო დიდი უპირატესობა ექნებოდათ, ასე კი დიდი შესვენებისთვის ასეთი ანგარიში დაფიქსირდა – 38:33.


ლებრონი საკმარისი არ აღმოჩნდა

"მაიამის" მოთამაშეებს მეორე ტაიმში კიდევ უფრო გაუნელდათ ოპტიმიზმი და ამან კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საბოლოო შედეგი. პრაქტიკულად, "ინდიანას" წინააღმდეგ მარტონი დარჩნენ უეიდი და ჯეიმსი. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ, რაც შეეძლოთ, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ **ერიკ სპოელსტრას** გუნდში ბოშს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და მის გარეშე "მაიამის" არ რჩება ბურთის გათამაშების სხვა სქემა, ვიდრე ეს ლებრონისა და დუეინის შესრულებით იმპროვიზაციაა. ეს იმპროვიზაცია, როგორც წესი, ფარქვეშ შესვლაში გამოიხატება, რათა მეტოქეს წესის დარღვევა აიძულონ, ან ბურთის გადაგდება პარტნიორისთვის სიტუაციაში, როცა თავად ბურთის კონტროლი ძალიან რთული ხდება. იმის გათვალისწინებით, რომ "ინდიანა" აგრძელებდა კატასტროფული სიზუსტით სროლას, მატჩის ხილვა სულ უფრო მძიმე ხდებოდა.

მაგრამ, მაყურებლების გასახარად, სტუმრებმა გააქტიურება შეძლეს და თამაშიც გამოცოცხლდა. **ჯორჯის** რამდენიმე გარღვევამ, აგრეთვე **უესტისა** და **გრეინჯერის** საშუალო ტყორცნებმა 18:3 გაქცევა მოიტანა, რის შემდეგაც "ინდიანამ" სოლიდური 11-ქულიანი უპირატესობა მიიღო.

რა თქმა უნდა, ამ ჩამორჩენის გაბათილება უეიდმა და ჯეიმსმა იტვირთეს. მათ გააგრძელეს მეტოქის სამწამიანის დაპყრობა და ცოტა ხნით "მაიამი" წინ გაიყვანეს. როცა სირენამდე სამი წუთით ადრე უესტმა საშუალო ტყორცნა გამოიყენა და "ინდიანას" უპირატესობა სამ ქულამდე გაიზარდა, მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს სროლა გამარჯვების მომტანი იქნებოდა. მით უმეტეს, რომ უეიდის ზუსტმა ტყორცნამ სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა. ის, რაც ამის შემდეგ მოხდა, რთული ასახსნელია. თავიდან "პეისერსმა" რატომღაც ზედიზედ ორჯერ ისროლა სამქულიანი, არადა, მდევრის როლში არ ყოფილა და არსად ეჩქარებოდა, უბრალოდ, სტაბილურად უნდა დაეგროვებინა ქულები და საქმე გამარჯვებამდე მიეყვანა. შემდეგ ჯორჯმა და ჯეიმსმა ვერ ჩააგდეს საჯარიმოები, ცოტა ხანში **ჰიბერტმა** და **ჰილმა** ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ მეტოქეს თამაშის გადარჩენის შანსი ჰქონოდა – მათ ჯარიმების ნახევარი გამოიყენეს. მაგრამ ესეც არასაკმარისი აღმოჩნდა სპოელსტრას შეგირდებისთვის - უეიდმა ვერ გამოიყენა თავისი საფირმო გარღვევა, **ჩელმერსის** მოუმზადებელი სამქულიანი კი კალათში არ ჩავარდა. "ინდიანამ" გაათანაბრა სერიაში ანგარიში და საკუთარი მოედნის უპირატესობა მოიპოვა.

**მაიამი–ინდიანა 75:78**

**21:17, 17:16, 14:28, 23:17**

**მ:** ჯეიმსი (28+9 მოხსნა+6 ჩაჭრა+5 პასი), უეიდი (24+6 მოხსნა+4 პასი+2 დაფარება), ბატიე (5+5 მოხსნა), ჩელმერსი (5), კოული (4), ჰასლემი (4), ტურიაფი (3), ჯონსი (2), ენტონი (0+6 მოხსნა+2 დაფარება).

**ი:** უესტი (16+10 მოხსნა+2 დაფარება), ჰილი (15), გრეინჯერი (11+6 მოხსნა+3 პასი), ჯორჯი (10+11 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჰიბერტი (8+11 მოხსნა+3 დაფარება), ბარბოზა (8), კოლისონი (6), ამუნდსონი (2), ჯონსი (2).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (34.6/37.8), სამქულიანები (6.3/20), საჯარიმოები (69/70.4).

**სერია:** 1-1

# კანონზომიერი სპურსი

დასავლეთის პირველმა გუნდმა – "სან ანტონიო სპურსმა" პირველი მატჩი ჩაატარა "კლიპერსთან" სერიაში. "ლეიკერსისგან" განსხვავებით, რომელიც წინა დღეს "ოკლაჰომასთან" შერცხვა, მეორე კალიფორნიულმა კლუბმა მეტნაკლებად ღირსეულად ითამაშა, მაგრამ მოგების შანსი არც მას ჰქონია.

პირველ მეოთხედში "კლიპერსი" ახერხებდა ბრძოლას. ეს **ბლეიკ გრიფინისა** და **კრის პოლის** წყვილისა და რამდენიმე კარგი გარღვევის დამსახურება იყო, მაგრამ მეორე მეოთხედიდან მოყოლებული მასპინძლებმა თანდათან დაიწყეს სხვაობის გაზრდა. ამაში მთავარი წვლილი **ტიმ დანკანს** მიუძღვის. ისე, როგორც კარიერის საუკეთესო წლებში, ტიმი ამჯერადაც არ იმჩნევდა სამწამიანში მეტოქეების წინააღმდეგობას, მიუხედავად იმისა, რომ ვეტერანის შეჩერებას აქტიურად ცდილობდნენ **კენიონ მარტინი** და გრიფინი. ძალიან დროული იყო **გრინის** ორი სამქულიანიც – ორივეჯერ სხვაობა რვა ქულამდე გაიზარდა.

შესვენების შემდეგ თამაში იმავე რიტმში მიდიოდა: "კლიპერსი" ძალების მაქსიმალური დაძაბვით თამაშობდა და ცდილობდა არ ჩამორჩენოდა მეტოქეს, მაგრამ, როგორც კი კალიფორნიელების ტემპი ეცემოდა, ტეხასელები წინ მიიწევდნენ.


ტიმი გაახალგაზრდავდა

შესაძლოა, კრის პოლი ბოლომდე ჯანმრთელი რომ ყოფილიყო, "კლიპერსს" გარკვეული შანსი გასჩენოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, გამთამაშებელი ისევ იტანჯება წინა სერიაში მიღებული ტრავმისგან. ამის შედეგი იყო 13-დან 3 ჩაგდებული ბურთი, ხუთი შეცდომა და თამაშის წარმართვის ნელი ტემპი.

დამაჯერებელი გამარჯვებით "სპურსი" სერიაში წინ გავიდა, "კლიპერსმა" კი უნდა იმუშაოს იმაზე, რომ თავისი ძლიერი მხარეები არა ცალ-ცალკე, არამედ ერთდროულად წარმოაჩინოს. ამ სერიაში ეს კალიფორნიელთა ერთადერთი შანსია.

**სან ანტონიო–კლიპერსი 108:92**

**29:29, 28:20, 30:23, 21:20**

**ს-ა:** დანკანი (26+10 მოხსნა+2 დაფარება), ჯინობილი (22+3 პასი), ლეონარდი (16+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), გრინი (15+6 მოხსნა+2 დაფარება), დიაო (7+12 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), პარკერი (7+11 პასი), ნილი (5), სპლიტერი (4), ჯექსონი (3+3 პასი), ანდერსონი (3).

**კ:** ბლედსოუ (23+5 მოხსნა+4 პასი+3 ჩაჭრა), გრიფინი (15+9 მოხსნა+4 პასი+3 დაფარება), ბატლერი (15), იანგი (13), ჯორდანი (7+9 მოხსნა), მარტინი (7+2 დაფარება), პოლი (6+10 პასი+5 ჩაჭრა), უილიამსი (3), ფოიე (3).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (48.8/44.6), სამქულიანები (52/47.4), საჯარიმოები (81/69.2).

**სერია:** 1-0

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ჩოგბურთი

# კაროს ტრავმა და კრიზისი


ტრავმირებული ვოზნიაცკი

ამ კვირას რომში მასტერსის სერიის მორიგი ტურნირი იმართება. პარალელურად, იქვე ქალები უმაღლესი კატეგორიის ტურნირში იღებენ მონაწილეობას.

მეორე ეტაპზე ქალთა ბადეს პროფესიული ტურის ორი წამყვანი ჩოგბურთელი გამოეთიშა. ეს ბარიერი ვერ გაიარა მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, რეიტინგში მერვე ადგილამდე დაქვეითებულმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ.** გუშინ, დანიელი უიმედოდ აგებდა შეხვედრას 29 წლის ესპანელ **ანაბელ მედინა გარიგესთან,** რომელიც 31-ე ადგილზეა კლასიფიკაციაში.

ანგარიში 6:4, 4:0 იყო ესპანელის სასარგებლოდ, როცა დანიელმა ფეხის ტრავმის გამო ვერ შეძლო თამაშის გაგრძელება. თამაშის დაწყებიდან საათი და 34 წუთი იყო გასული. დანიელმა ამ დროში ოთხჯერ წააგო საკუთარი მოწოდება და მხოლოდ ერთი ბრეიკი აიღო.

■ ■ ■

კიდევ უფრო დიდი მოულოდნელობა იყო მსოფლიოს მესამე ჩოგანის, პოლონელი **აგნიეშკა რადვანსკას** მარცხი 27 წლის ჩეხთან **პეტრა ჩეტკოვსკასთან.** სამსეტიან ბრძოლაში მსოფლიოს 28-ე ნომერმა 6:4, 4:6, 6:1 გაიმარჯვა.

ორივე ჩოგბურთელი საშინლად თამაშობდა საკუთარ მოწოდებაზე. რადვანსკამ რვა (!) საკუთარი გეიმი დათმო, თავად კი ხუთი ბრეიკი გააკეთა. თამაში ორი საათი და 26 წუთი გაგრძელდა. შეგახსენებთ, რომ რადვანსკას ამ სეზონში მხოლოდ **ვიქტორია აზარენკასთან** ჰქონდა წაგებული.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ აქამდე რადვანსკა და ჩეტკოვსკა სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და სამივე მატჩი ჩეხმა მოიგო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

ჰოკეი. NHL სტენლის თასი. 1/2 ფინალი



კინგზს ვერ აჩერებენ

# სამეფო რეკორდები

სერიოზული განაცხადი გააკეთა სტენლის თასის ფინალში გასვლაზე "ლოს ანჯელესმა". "მეფეებმა" ზედიზედ მეორე გასვლითი მატჩი მოუგეს "ფინიქსს" და თუ მომდევნო ორ შეხვედრას საკუთარ მოედანზე მოიგებენ, სტენლის თასის ფინალის საგზურს მოიპოვებენ.

ეს იყო "ლოს ანჯელესის" ზედიზედ მეშვიდე მოგება სტუმრად, რაც პლეი ოფის რეკორდის გამეორებაა (ეს სერია შარშანდელი სეზონიდან მოყოლებული ვრძელდება). სულ კი ამ პლეი ოფში "კინგზმა" 10 თამაში ჩაატარა და აქედან ცხრა მოიგო, თანაც შვიდ მატჩში მინიმუმ ორი შაიბის სხვაობით იმარჯვებდა.

ისევე როგორც სერიის წინა შეხვედრაში, მასპინძელი "კინგზი" გეგონებოდათ – სტუმრებმა 40 ზუსტი დარტყმა შეასრულეს, იმ დროს, როცა "ფინიქსის" ანალოგიური მაჩვენებელი 24 დარტყმას უდრიდა.

ანგარიში "კინგზმა" მე-14 წუთზე გახსნა: **დუაიტ კინგმა** ბოლო ორ მატჩში მესამე გოლი გაიტანა. ეს შემდეგნაირად მოხდა – **დრიუ დაუტიმ** შორიდან გაისროლა და კინგმა შაიბას მიმართულება შეუცვალა.

"მეფეების" გუშინდელ ტრიუმფს ორი მთავარი შემოქმედი ჰყავდა – მეკარე **ჯონათან კუიკი** და ფორვარდი **ჯეფ კარტერი**. პირველმა 24 დარტყმა მოიგერია და პლეი ოფში შათაუტი შეასრულა – ეს კი **ფელიქს პოტვინის** საკლუბო რეკორდის გამეორებაა.

კარტერმა კი სამი გოლი გაიტანა. ეს იყო "კინგზის" ჰოკეისტის პირველი ჰეთ-თრიკი 1993 წლის შემდეგ, როცა ამ კლუბის მაისურით ერთ მატჩში სამი შაიბა ლეგენდარულმა **უეინ გრეტცკიმ** გაიტანა.

კარტერმა პირველი გოლი მეორე პერიოდის დასაწყისში შეაგდო, როცა ყველაზე მოხერხებული ალმოჩნდა მეკარის საჯარიმოში.

ერთადერთი, რაშიც სტუმრებს უჭირდათ, რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება იყო, მაგრამ მალე ამ მხრივაც ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ამაში სტუმრებს "ფინიქსის" ლიდერი **შეინ დოუნი** დაეხმარა, რომელმაც **ტრევორ ლუისის** წინააღმდეგ იუხეშა და გაძევებულ იქნა მოედნიდან, "მეფეებმა" კი ხუთწუთიანი რიცხობრივი უპირატესობა მიიღეს.

იქვე ორწუთიანი ჯარიმები მიიღეს სმიტმა და ბრაუნმა და "ოთხი სამზე" თამაშისას "ლოს ანჯელესმა" სამამდე გაზარდა უპირატესობა – კარტერი **ანჟე კოპიტარის** პასს საჭირო ადგილას დახვდა.

მესამე პერიოდში "ფინიქსი" აგრძელებდა უხეშობას და მეტოქეს ორმაგი რიცხობრივი უპირატესობა აჩუქა, რითაც კარტერმა კარგად ისარგებლა და ჰეთ-თრიკი გაიფორმა.

სერია 17 მაისს ლოს ანჯელესში გაგრძელდება და სავარაუდოდ, ამ წყვილში ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელდება.

**ფინიქსი–ლოს ანჯელესი 0:4**

0:1, 0:2, 0:1

**გოლები**: 0:1 კინგი-4 (დაუტი-7, ლუისი-4), 0:2 კარტერი-2 (პენერი-6, მ. რიჩარდსი-7), 0:3 კარტერი-3 (კოპიტარი-8, ჯასტინ უილიამსი-7), 0:4 კარტერი-4 (დ. ბრაუნი-7, კოპიტარი-9).

**სერია**: 0-2

# გაქურდული ლატვიელები

უსიამოვნოდ დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი ლატვიის ნაკრების წევრებისთვის – **ედგარას მასალსკისისა** და **მარტინშ ციპულისისთვის**. მათ სტოკჰოლმში, სასტუმრო "გლობენის" ნომერში ფული მოპარეს.

ლატვიის ნაკრების მეკარემ მასალსკისისმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მცირე რაოდენობის დანაკარგის მიუხედავად, მაინც მიმართა ადგილობრივ პოლიციას. მისი სიტყვებით, უსაფრთხოების სამსახურმა დაიწყო ქურდის ძებნა, მაგრამ არ არის დარწმუნებული იმაში, რომ მას საბოლოოდ იპოვიან.

სასტუმრო "გლობენი", რომელიც სტოკჰოლმის მთავარი არენის სიახლოვეს მდებარეობს, ლატვიის ნაკრების გარდა რუსეთის, იტალიისა და დანიის გუნდები იყვნენ დაბანაკებული. ტურნირის მსვლელობისას ჰოკეისტებმა არაერთხელ გამოთქვეს უკმაყოფილება მომსახურების ხარისხის გამო. ასევე პრობლემები იყო კვებასთან და ინტერნეტთან დაკავშირებით.

ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# დღეს დიდი ბრძოლები [illegible]

**დღეს სტოკჰოლმსა და ჰელსინკიში ნამდვილი ჩემპიონატი იწყება. დასრულდა ორკვირიანი ჯგუფური ტურნირი, რომელიც პლეი ოფის ეტაპის პრელუდია გახლდათ. დღეს მეოთხედფინალში ითამაშებენ: რუსეთი-ნორვეგია, კანადა-სლოვაკეთი, აშშ-ფინეთი და შვედეთი-ჩეხეთი.**

**კანადა–სლოვაკეთი**

მეოთხედფინალური რაუნდი კანადისა და სლოვაკეთის მატჩით გაიხსნება. შეგახსენებთ, რომ ჯგუფურ რაუნდში კანადელებმა მომავალი მეტოქე 3:2 დაამარცხეს, თანაც ძალების განსაკუთრებული დაძაბვის გარეშე. **ბრენტ სატერის** შეგირდებს ამგვარი აგდებული თამაში შემდეგ ტურში ძვირად დაუჯდათ, რადგან აშშ-სთან დამარცხდნენ. თავის მხრივ, სლოვაკებმა შეძლეს ამერიკის ძლევა.

ცოტა ვინმეს თუ სჯერა **ვლადიმირ ვუიტეკის** გუნდის წარმატების. ამ პესიმიზმის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სუსტი მეკარეები არიან – **ლაცოსა** და **ჰამერლიკს** უმაღლეს დონეზე გამოსვლის მინიმალური გამოცდილება აქვთ. არავარსკვლავურ გუნდში მხოლოდ "ბოსტონის" მცველი **ზდენო ხარა** და "ფლორიდას" ფორვარდი **ტომაშ კოპეცკი** გამოირჩევიან. კანადაში კი თითქმის ყველა ჰოკეისტის ვარსკვლავია. მხოლოდ ერთი ჰოკეისტი - მცველი **რაიან მიურეი** არ თამაშობს NHL-ში.

**ფსონი**: 1.25 - 6.50 - 7.00

**რუსეთი–ნორვეგია**

რუსეთის ნაკრები ერთადერთია, რომელმაც ჯგუფური ეტაპი ქულის დაკარგვის გარეშე გაიარა და ამის წყალობით მეოთხედფინალში ყველაზე მარტივი მეტოქე ერგო - ნორვეგია. ჯგუფში რუსებმა სკანდინავებს 4:2 მოუგეს. ეს მათი ყველაზე რთული გამარჯვება იყო - რუსებს მასპინძელ შვედეთსაც კი უფრო იოლად მოუგეს. ნორვეგიის ძალა საკუთარ თავზე შვედებმა და ჩეხებმაც გამოსცადეს. ტურნირის მასპინძლებთან "ვიკინგებმა" 1:3 წააგეს, ჩეხეთმა კი **როი იოჰანსენის** გუნდს მხოლოდ ბულიტების სერიაში სძლია.

ნორვეგიის ძალა არავის უკვირს. შარშან ეს გუნდი ასევე მეოთხედფინალში თამაშობდა, სადაც მომავალ ჩემპიონ ფინეთთან წააგო. ნორვეგიელთა ძირითადი ბირთვი შვედეთში ჩემპიონატში მოთამაშე ჰოკეისტებისგან შედგება. მთავარი ვარსკვლავი კი **პატრიკ ტორესენია**, რომელიც 16 ქულით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახლავთ.

ამ ყველაფრის მიუხედავად, ფავორიტი, რა თქმა უნდა, რუსეთია, რომელმაც ამ მატჩისთვის ოკეანის გაღმიდან სოლიდური შევსება მიიღო **ალექსანდრ ოვეჩკინისა** და **ალექსანდრ სიომინის** სახით.

**ფსონი**: 1.14 - 9.00 - 9.00

**აშშ–ფინეთი**

ამ მატჩში ძალიან რთულია ფავორიტის გამოყოფა. რა თქმა უნდა, ფინელებს საშინაო ტრიბუნები დაეხმარება, მაგრამ ამერიკელები აბსოლუტურად არაპროგნოზირებადები არიან. ჯგუფში აშშ-ის ნაკრებმა 5:0 გაანადგურა თავისი დღევანდელი მეტოქე, მანამდე კი კანადასაც გაუსწორდა. რომ არა სლოვაკეთთან წაგება, ამერიკელები ჯგუფში პირველ ადგილს დაიკავებდნენ.

ფინეთი ჯერჯერობით ვერ ხიბლავს თავის გულშემატკივარს. **იუკი იალონენის** შეგირდებმა ყველა ფავორიტთან წააგეს და დაამარცხეს სლოვაკეთი, საფრანგეთი, შვეიცარია, ბელარუსი და ყაზახეთი. თუმცა მეზობელი შვედეთისგან განსხვავებით, "სუომის" მაინცდამაინც ვარსკვლავური შემადგენლობა არ ჰყავს. გუნდის ძირითად ბირთვს კჰლ-ის ლიგაში მოთამაშე ჰოკეისტები შეადგენენ. თუმცა გამორჩეული ჰოკეისტები აქაც არიან: მეკარე **კარი ლეჰტონენი**, ვუნდერკინდი **მიკაელ გრანლუნდი, იუსი იოკინენი, მიკო კოივუ**...

**ფსონი**: 2.35 - 4.20 - 2.25

**შვედეთი–ჩეხეთი**

ბოლო მეოთხედფინალი ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს. მასპინძელმა შვედეთმა ჯგუფში მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგო – რუსეთის ნაკრებთან, დანარჩენ მატჩებში კი დამაჯერებლად გაუსწორდა მეტოქეებს. დანიასთან 6:4 ნუ დაგაბნევთ – იმ მატჩში შვედებმა პირველივე მეოთხედში ოთხი უპასუხო შაიბა გაიტანეს და შემდეგ უბრალოდ მოდუნდნენ.

ჩეხეთმა სამართლიანად დაიკავა ჯგუფში მესამე ადგილი – წააგო ლიდერებთან და ქულები დაკარგა ნორვეგიასთან.

ბოლო ტურში ამ გუნდს მეოთხედფინალში მეტოქის არჩევის საშუალება ჰქონდა, მაგრამ ეს არ გააკეთა. ცხადია, რომ რუსეთთან მას წარმატების უფრო მეტი შანსი ექნებოდა, რადგან მასპინძელ შვედეთთან მატჩი თუნდაც მსაჯობის მხრივ იქნება რთული.

**ფსონი**: 1.68 - 4.60 - 3.40

**H ჯგუფი**

**კანადა–ბელარუსი 5:1**

1:1, 3:0, 1:0

**გოლები**: 1:0 ო'რაილი-1 (ლედი-2, კეიტი-9), 1:1 ს. კოსტიცინი-1 (კოვირშინი-2, ა. კოსტიცინი-2), 2:1 პერი-3 (გეტცლაფი-6, კეიტი-10), 3:1 გეტცლაფი-2 (ე. კეინი-3, პერი-4), 4:1 ნიუჯენტ-ჰოპკინსი-4 (ტავარესი-5, შარპი-6), 5:1 ო'რაილი-2 (ლედი-3).

**სლოვაკეთი–საფრანგეთი 5:4**

2:2, 1:1, 2:1

**გოლები**: 1:0 ბარტოვიჩი-2 (ბლიჟნაკი-3, სეკერა-3), 2:0 კოპეცკი-4 (რადივოიევიჩი-3), 2:1 ტრეი-1 (რულო-1, დეროზიე-3), 2:2 და კოსტა-2, 3:2 ჰანძუში-1 (ხარა-2, სეკერა-4), 3:3 ფლერი-1 (მოინიე-6), 4:3 რადივოიევიჩი-3, 4:4 რუსელი-1 (და კოსტა-5), 5:4 რადივოიევიჩი-4 (სეკერა-5).

**აშშ–შვეიცარია 5:2**

0:0, 2:1, 3:1

**გოლები**: 0:1 რუტემანი-3 (ბრუნერი-4, რომი-5), 1:1 რაიანი-4 (პასიორეტი-9, ფაულერი-4), 2:1 ფაულერი-1 (შჩასტნი-5), 3:1 შჩასტნი-3 (რაიანი-2, პასიორეტი-10), 4:1 გოლიგოსკი-1 (აბდელკადერი-3, პალმიერი-2), 4:2 ტრაშლერი-1 (პლუსი-1, იოსი-1), 5:2 პეტრი-2 (შჩასტნი-6).

| | თ | მ | ო-მ | ო-წ | წ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კანადა | 7 | 6 | 0 | 1 | 0 | 35-15 | 19 |
| 2. აშშ | 7 | 4 | 2 | 0 | 1 | 32-17 | 16 |
| 3. ფინეთი | 7 | 5 | 0 | 0 | 2 | 21-14 | 15 |
| 4. სლოვაკეთი | 7 | 5 | 0 | 0 | 2 | 21-13 | 15 |
| 5. საფრანგეთი | 7 | 3 | 0 | 0 | 4 | 21-32 | 9 |
| 6. შვეიცარია | 7 | 2 | 0 | 0 | 5 | 16-21 | 6 |
| 7. ბელარუსი | 7 | 1 | 0 | 0 | 6 | 11-23 | 3 |
| 8. ყაზახეთი | 7 | 0 | 0 | 1 | 6 | 11-33 | 1 |

**S ჯგუფი**

**ნორვეგია–დანია 6:2**

0:0, 5:0, 1:2

**გოლები**: 1:0 სპეტსი-3 (ასკი-7, მ. ოლიმბი-6), 2:0 ასკი-2 (კ-ა. ოლიმბი-2, მარტინსენი-1), 3:0 სკროდერი-4 (ტორესენი-9), 4:0 ჰოლოში-4 (ტორესენი-9, ჰანსენი-6), 5:0 ტორესენი-6 (მარტინსენი -2, ჰოლოში-4), 5:1 მადსენი-2 (ჰერსბი-1), 5:2 პოულსენი-1 (ლარსენი-2), 6:2 ტრიგი-5 (ტორესენი-10, სკროდერი-7).

**ჩეხეთი–გერმანია 8:1**

3:1, 3:0, 2:0

**გოლები**: 1:0 ჰემსკი-5 (პრუხა-1), 1:1 გრაილინგერი-2 (შუბერტი-2, ულმანი-5), 2:1 კრაიჩეკი-1 (ვონდკრა-1, ნოვოტნი-1), 3:1 ერატი-2 (ნაკლადალი-3, კრეისი-2), 4:1 კუკალი-1 (ლ. კრაიჩეკი-2, ჩასლავა-3), 5:1 კრეისი-2 (ტენკრატი-3), 6:1 ნოვოტნი-2 (პეტრუჟალეკი-3), 7:1 კუკალი-2 (ჰემსკი-1, პრუხა-2), 8:1 ბლატაკი-1 (კრეისი-3, პლეკანეცი-5).

**შვედეთი–ლატვია 4:0**

2:0, 1:0, 1:0

**გოლები**: 1:0 ლ. ერიქსონი-4 (ზეტერბერგი-10, ფრანცენი-4), 2:0 სილფვერბერგი-2 (კარლსონი-3, ბექსტრიომი-1), 3:0 ზეტერბერგი-2 (ალფრედსონი-6), 4:0 ფრანცენი-4 (ზეტერბერგი-11, კარლსონი-4).

| | თ | მ | ო-მ | ო-წ | წ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 7 | 7 | 0 | 0 | 0 | 27-8 | 21 |
| 2. შვედეთი | 7 | 6 | 0 | 0 | 1 | 29-15 | 18 |
| 3. ჩეხეთი | 7 | 4 | 1 | 0 | 2 | 24-11 | 14 |
| 4. ნორვეგია | 7 | 4 | 0 | 1 | 2 | 33-19 | 13 |
| 5. ლატვია | 7 | 2 | 0 | 0 | 5 | 11-19 | 6 |
| 6. გერმანია | 7 | 2 | 0 | 0 | 5 | 14-31 | 6 |
| 7. დანია | 7 | 1 | 0 | 1 | 5 | 13-23 | 4 |
| 8. იტალია | 7 | 0 | 1 | 0 | 6 | 6-31 | 2 |

**1/4 ფინალი**

**17 მაისი**

კანადა-სლოვაკეთი (14:00)
რუსეთი-ნორვეგია (16:45)
აშშ-ფინეთი (19:30)
შვედეთი-ჩეხეთი (22:15)

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ტორესენი (ნორ) | 16 (6+10) |
| მალკინი (რუს) | 14 (7+7) |
| ზეტერბერგი (შვედ) | 13 (2+11) |
| პასიორეტი (აშშ) | 12 (2+10) |
| ერიქსონი (შვედ) | 11 (4+7) |
| სკროდერი (ნორ) | 11 (4+7) |
| კეიტი (კან) | 11 (1+10) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| მალკინი (რუს) | 7 |
| ტორესენი (ნორ) | 6 |
| ჰემსკი (კან) | 5 |
| ტრიგი (ნორ) | 5 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ზეტერბერგი (შვედ) | 11 |
| კეიტი (კან) | 10 |
| პასიორეტი (აშშ) | 10 |
| ტორესენი (ნორ) | 10 |
| ასკი (ნორ) | 7 |
| ერიქსონი (შვედ) | 7 |
| სკროდერი (ნორ) | 7 |
| გოგულა (გერ) | 7 |
| მალკინი (რუს) | 7 |

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა




შვედები ჩეხეთს შეხვდებიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოლიმპიზმი. ლონდონი 2012



# უიმბლდონი აჭრელდება

უიმბლდონზე ჩოგბურთელების ჩაცმულობასთან დაკავშირებული მკაცრი წესები ოლიმპიურ თამაშებზე არ გავრცელდება. როგორც იცით, ლონდონის ოლიმპიური თამაშების საჩოგბურთო ტურნირი უიმბლდონის ლეგენდარულ კორტებზე გაიმართება. "დიდი სლემის" რიგით მესამე ტურნირის წესების თანახმად, ყველა ჩოგბურთელი ვალდებულია მატჩებსა თუ ვარჯიშებზე მხოლოდ თეთრი სპორტული ფორმით გამოცხადდეს. ოლიმპიადაზე მსგავსი დრეს-კოდი არ იმოქმედებს. გარდა ამისა, უიმბლდონისთვის ტრადიციული მუქი მწვანე ფერები სხვა ფონებით შეიცვლება.

*"ყველაფერს ისეთი გარეგნული იერი ექნება, როგორიც ოლიმპიადაზე უნდა იყოს. გარშემო ყველაფერი აჭრელდება. თამაშების დროს იმოქმედებს ოლიმპიადის წესები, ასე რომ, ჩოგბურთელებს უფლება აქვთ, თავად აარჩიონ სათამაშო ფორმის ფერი. შესაძლოა, ვიღაცას ეს არ მოეწონოს, მაგრამ ვფიქრობ, უმრავლესობა ემხრობა ამ გადაწყვეტილებას. დარწმუნებული ვარ, წინ დაუვიწყარი თამაშები გველის"*, - ამბობს ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი **ფრანჩესკო რიჩი-ბიტი**.

■ ■ ■

ცურვაში 14-გზის ოლიმპიური ჩემპიონი, ლეგენდარული ამერიკელი **მაიკლ ფელპსი** აცხადებს, რომ არ აპირებს წინასწარ გამოაცხადოს იმ დისტანციების სია, რომელზეც ის ლონდონის ოლიმპიადაზე აპირებს გამოსვლას.

ამასთან, ამერიკელმა მიანიშნა იმის შესახებ, რომ ნამდვილად არ გეგმავს რვა დისციპლინაში გამოსვლას, როგორც ეს ოთხი წლის წინ პეკინში იყო. მაშინ ფელპსმა ხუთი ოქრო მიიღო ინდივიდუალურ დისციპლინებში და სამი - ესტაფეტებში.

■ ■ ■

კალათბურთში ამერიკის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მაიკ კრჟიჟევსკიმ** აღიარა, რომ ლონდონის ოლიმპიადა ბოლო საერთაშორისო ტურნირი იქნება მისთვის აშშ-ის ეროვნული გუნდის დამრიგებლის რანგში.

*"გავუძლევები თუ არა აშშ-ის ნაკრებს 2016 წელს რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადაზე? სიმართლე გითხრათ, ვფიქრობ, რომ ლონდონის თამაშები ბოლო საერთაშორისო ტურნირი იქნება ჩემთვის ამ პოსტზე"*, - განაცხადა ამერიკულ პრესასთან კომენტარში კრჟიჟევსკიმ.

ამასობაში, დასახელდა აშშ-ის მეორე ნაკრების შემადგენლობა, რომელიც რამდენიმე საწვრთნელ შეხვედრას გამართავს ამერიკის პირველ ოლიმპიურ ნაკრებთან.

მეორე ნაკრების შემადგენლობაში ირიცხებიან: **ჯერემი ლინი** ("ნიუ იორკი"), **კაირი ირვინგი** ("კლივლენდი"), **დემარკუს კაზინსი** ("საკრამენტო"), **ჯონ უოლი** ("ვაშინგტონი"), **დემარ დეროზანი** ("ტორონტო"), **რაიან ანდერსონი** ("გოლდენ სტეიტი"), **პოლ ჯორჯი** ("ინდიანა"), **ტაჯ გიბსონი** ("ჩიკაგო"), კლეი ტომპსონი ("გოლდენ სტეიტი"), **დეჟუან ბლერი, კავი ლეონარდი** (ორივე – "სან ანტონიო"), **დერიკ ფეივორსი** და **გორდონ ჰეივორდი** (ორივე – "იუტა").

■ ■ ■

სახელგანთქმული ინგლისელი ნახევარმცველი, "ლოს ანჯელეს გელაქსის" ვეტერანი **დევიდ ბექჰემი** პარასკევს მონაწილეობას მიიღებს ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტაში. ფეხბურთელის გარდა, დელეგაციის შემადგენლობაში იქნება პრინცესა **ანა**.

შეგახსენებთ, რომ ოლიმპიური ცეცხლი საბერძნეთში 10 მაისს დაანთეს და 70 დღის განმავლობაში ესტაფეტაში მონაწილეობას მიიღებს დაახლოებით 8 ათასი ადამიანი.

ლონდონის ოლიმპიადა 27 ივნისს დაიწყება.

## ამბები

### ბიატლონი

## რბოლიდან ბიატლონში

სათხილამურო რბოლაში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, გერმანელი **ევი ზახენბახერ-შტელე**, აგრეთვე მისი თანამემამულეები - **ვანესა ჰინცი** და **ჯესიკა მიულერი** ბიატლონში გადავიდნენ. ეს შესაძლებელი გახდა იმ პროგრამის მიხედვით, რომელიც გერმანიის სათხილამურო კავშირის სპორტულმა დირექტორმა **ტომას პფელერმა** გამოაცხადა.

სხვათა შორის, ზახენბახერ-შტელემ გასული სეზონის დაწყებამდე სცადა ბიატლონში გამოსვლა. ამ მომენტისთვის სპორტსმენთა ტრიო შეუერთდა გერმანიის ქალთა ნაკრებს, რომელსაც წარსულში ცნობილი ბიატლონისტი **რიკო გროსი** ავარჯიშებს.

### ველოსპორტი

## ოლიმპიადა ტურის ნაცვლად

მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ველომრბოლი **ტომ ბოონენი** გამოტოვებს ტურ დე ფრანსს. ასეთი გადაწყვეტილება ბელგიელმა სპორტსმენმა იმის გამო მიიღო, რომ სურს მაქსიმალური კონცენტრაცია მოახდინოს ოლიმპიური თამაშებისთვის მოსამზადებლად. პრესტიჟული ფრანგული ველომარათონის ნაცვლად, ბოონენი პოლონეთის ტურში მიიღებს მონაწილეობას.

*"ბოლო ორი ოლიმპიური შანსი ხელიდან გავუშვი, - ამბობს ბელგიელი. – ამიტომაც მოუთმენლად ველი ლონდონის თამაშებს. ეს ახალი გამოცდილება იქნება ჩემთვის"*.

### ჩოგბურთი

## ველური ბარათი პიუიტს

ორმა ავსტრალიელმა ჩოგბურთელმა – **ლეიტონ ჰიუიტმა** და **ეშლი ბარტმა** როლან გაროსის უაილდ-ქარდი მიიღო.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ჰიუიტი 2012 წლის თებერვალში ფეხზე გადატანილი ოპერაციის გამო არ თამაშობდა, მაგრამ სწრაფად გამოჯანმრთელდა.

16 წლის ბარტი ამ მომენტისთვის 327-ე ჩოგანია WTA-ის რეიტინგში.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## TV პროგრამა

### 17 მაისი. ხუთშაბათი

#### GMG-ფეხბურთი

10:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXXVIII ტურის მიმოხილვა.
11:00 იტალიის ჩემპიონატი. XXXVIII ტურის მიმოხილვა.
12:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXVII ტური. პსჟ-რენი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. XXXVIII ტური. კატანია-უდინეზე.
16:00 თურქეთის თასი. ფინალი. ბურსასფორი-ფენერბახჩე.
18:30 ჰოლანდიის ჩემპიონატი. პლეი ოფი. ფინალი. ვიტესი-ვაალვაიკი. I მატჩი (LIVE).
20:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
21:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXVIII ტურის მიმოხილვა.
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXXVIII ტური. რეალი-მალიორკა.
00:30 გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგის პლეი ოფი. ფორტუნა-ჰერტა. საპასუხო მატჩი.

#### GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. აიაჩო-ლიონი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ფილადელფია-ბოსტონი. III მატჩი.
14:30 სუპერკოლაჟი.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-მანჩესტერ იუნ.
17:00 რაგბი. ევროპის სუპერლიგა. 1/2 ფინალი. ალსტერი-ედინბურგი.
19:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. მონპელიე-ლილი.
22:00 NBA Action.
22:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ფილადელფია-ბოსტონი. III მატჩი.
00:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
03:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ინდიანა-მაიამი. III მატჩი (LIVE).

#### GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. II წრე. რომი. იტალია.
13:30 სპორტ-NEWS.
14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/8 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 14 | 28 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 17 | 26 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 15 | 25 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 15 | 24 | (მზე) |
| ზუგდიდი | 16 | 32 | (მზე) |
| გორი | 14 | 24 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 14 | 28 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 6 | 17 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 7 | 25 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 5 | 19 | (მცირე წვიმა) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0846 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6211 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6019 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3449 |

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ევრო 2012

**UNDER 17. ფინალი**

| | |
|---|---|
| გერმანია-ჰოლანდია | 1:1 პენ. 4:5 |

#### ინგლისი

**II ლიგა. პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| საუთენდი-ქრიუ | 2:2 |

#### ესპანეთი

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალკორკონი-ელჩე | 3:1 |
| ალკოიანო-მურსია | 1:3 |
| დეპორტივო-ლას პალმასი | 3:1 |
| ხიმნასტიკი-ხირონა | 1:1 |
| ერკულესი-ნუმანსია | 1:3 |
| რეკრეატივო-კორდობა | 0:1 |
| საბადელი-ალმერია | 2:1 |
| კარტახენა-ხერესი | 0:0 |
| ვილიარეალი B-უესკა | 4:2 |
| ბარსელონა B-ვალიადოლიდი | 1:2 |

#### შოტლანდია

**I დივიზიონი**

| | |
|---|---|
| დამბარტონი-ეიდრი | 2:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სტრანრარი-ალბიონი | 2:0 |

#### დანია

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| გლოხუსი-ესბერგი | 0:7 |

#### ნორვეგია

| | |
|---|---|
| ჰაუგესუნდი-ოლესუნდი | 4:2 |
| მიოლდე-ფრედრიკსტადი | 2:0 |
| რუსენბორგი-ჰიონეფოსი | 0:1 |
| სტრიომსგოდსეტი-ტრომსიო | 2:0 |
| ვიკინგი-ლილესტრიომი | 1:2 |
| ბრანი-სიოგნდალი | 5:0 |
| ოდ გრენლანდი-სანდნესი | 2:2 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბრინი-ბორუმი | 3:1 |
| ჰამ კამი-ბოდო გლიმტი | 0:0 |
| ჰიოდი-ულენსაკერი | 1:3 |
| სანდეფიორდი-რანჰეიმი | 3:0 |
| სარპსბორგი-მიონდალენი | 3:1 |
| სტარტი-ნოტოდენი | 7:0 |
| სტრიომენი-კონგსვინგერი | 1:0 |
| ტრომსდალენი-ალტა | 1:1 |

#### შვედეთი

| | |
|---|---|
| ატვიდაბერგი-სირიანსკა | 1:0 |
| ჰეკენი-ნორჩოპინგი | 6:0 |
| კალმარი-ჰელსინგბორგი | 1:1 |
| ერებრო-აიკ | 2:2 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| დეგერფორსი-ვერნამო | 6:1 |
| ფალკენბერგი-ლანდსკრონა | 1:2 |
| იონჩოპინგი-უმეა | 3:3 |
| ლიუნგსკილე-ვარბერგი | 2:2 |
| ტრელებორგი-ბრაგე | 1:1 |

#### ფინეთი

| | |
|---|---|
| ლაჰტი-ტურკუ | 2:0 |
| ჰაკა-ჰიკ | 0:1 |
| ჰონკა-მიუპა | 2:1 |
| ინტერი-კუოპიო | 2:1 |
| იუვიასკიულა-მარიეჰამნი | 5:2 |
| ვაასა-იარო | 1:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ოულუ-ოპს | 2:2 |
| ჰამეენლინა-ჰიფკ | 1:3 |
| იიპო-ვიიკინგიტი | 0:1 |

#### შვეიცარიის თასი

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ბაზელი-ლუცერნი | 1:1 პენ. 4:2 |

#### საბერძნეთი

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ატრომიტოსი-პანათინაიკოსი | 0:1 |
| აეკ-პაოკ | 2:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ანაგენისი (ე)-პანთრაკიკოსი | 0:2 |
| აგროტიკოსი-პიერიკოსი | 0:2 |
| პანსერაიკოსი-პანახაიკი | 3:1 |
| ირაკლისი (პ)-ვიცასი | 3:0 |
| ფოკიკოსი-ვერია | 1:2 |
| ეთნიკოსი-კალითეა | 0:3 |
| დიაგორასი-კალონისი | 0:3 |
| ანაგენისი (ი)-პლატანიასი | 2:1 |
| ტრასივულოსი-ლარისა | 1:1 |

#### თურქეთის თასი

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ბურსა-ფენერბაჰჩე | 0:4 |

#### კვიპროსის თასი

**ფინალი**

| | |
|---|---|
| აელ-ომონია | 0:1 |

#### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| ბისტრიცა-მორავცე | 0:0 |
| შენიცა-დ. სტრედა | 5:1 |
| სლოვანი-კოშიცე | 1:1 |
| ტრენჩინი-ტატრანი | 2:0 |
| ტრნავა-რუჟომბეროკი | 3:0 |
| ჟილინა-ნიტრა | 2:0 |

#### სერბეთის თასი

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ცრვენა ზვეზდა-ბორაცი | 2:0 |

#### რუმინეთი

| | |
|---|---|
| გაზ მეთანი-კონკორდია | 1:0 |
| სპორტული რაპიდი | 0:2 |
| ჩეჰლეული-ვასლუი | 1:2 |

#### ბულგარეთის თასი

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი (პ)-ლუდოგორეცი | 1:2 |

#### ბელარუსი

| | |
|---|---|
| დინამო (მნ)-ნაფტანი | 4:2 |
| დინამო (ბრ)-მინსკი | 0:1 |

#### ლატვია

| | |
|---|---|
| იეგლავა-გულბენე | 0:1 |
| სპარტაკსი-დაუგავა | 2:2 |

#### ლიტვა

| | |
|---|---|
| ეკრანასი-შიაულაი | 2:2 |
| სუდუვა-ჟალგირისი | 0:0 |

#### მაკედონია

| | |
|---|---|
| ბრეგალნიკა-ტურნოვო | 2:1 |
| მეტალურგი-შკენდია | 1:0 |
| ვარდარი-რენოვა | 1:1 |
| ნაპრედოკი-სილექსი | 3:0 |
| ოჰრიდი-რაბოტნიჩკი | 0:2 |
| ტეტექსი-11 ოქტომვრი | 2:0 |

#### პერუ

| | |
|---|---|
| სან მარტინი-ინტი გასი | 1:0 |

#### ურუგვაი

| | |
|---|---|
| სერიტო-რამპლა | 0:0 |
| რენტისტასი-დეფენსორი | 0:2 |

#### იაპონიის თასი

| | |
|---|---|
| კავასაკი-ურავა | 0:3 |
| სერეზო-ჰიროშიმა | 2:1 |
| ტოსუ-ივატა | 3:2 |
| ომიია-საპორო | 1:1 |
| კობე-შიმიცუ | 1:2 |
| იოკოჰამა-კაშიმა | 3:2 |

#### ჩემპიონთა ლიგა

**აზია**

| | |
|---|---|
| ნასაფი-ესტეგალი | 0:2 |
| ალ რაიანი-ალ ჯაზირა | 3:4 |
| ბანი-ფახთაძორი | 2:0 |
| აო იტიჰადი-ალ არაბი | 3:2 |
| გამბა-ადელაიდა | 0:2 |
| ბუნიოდკორი-პოჰანგი | 1:0 |
| ბრისბენი-ბეიჟინგი | 1:1 |
| ულსანი-ტოკიო | 1:0 |

### კალათბურთი

#### ბელგია

| | |
|---|---|
| მონსი-ალსტი | 86:74 |

#### საბერძნეთი

| | |
|---|---|
| კოლოსოსი-პანიონიოსი | 70:66 |

#### სერბეთი

| | |
|---|---|
| ვოივოდინა-მეგა ვიზურა | 83:85 |

#### ბულგარეთი

| | |
|---|---|
| იამბოლი-ლევსკი | 87:89 |

#### ისრაელი

| | |
|---|---|
| მაკაბი (რ)-ელდანი | 77:63 |

#### რუსეთი

| | |
|---|---|
| ცსკა-ხიმკი | 81:62 |

#### თურქეთი

| | |
|---|---|
| ქანვითი-ეფესი | 68:66 |

#### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| ვილერბანი-როანი | 69:68 |
| ჰავრი-პარიზი | 89:94 |
| გრაველენი-შალონი | 81:78 |
| ნანსი-დიჟონი | 79:68 |
| ნანტი-ლე მანი | 72:79 |
| ორლეანი-პუატიე | 93:67 |
| პო ორტეზი-ტულონი | 87:80 |
| შოლე-სტრასბური | 62:76 |

#### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| პროსტეევი-დეჩინი | 73:69 |

### ჩოგბურთი

#### ATP. რომი

| | |
|---|---|
| გრანოლერსი-ფონინი | 6:3, 6:4 |
| შტეპანეკი-მონაკო | 4:6, 2:6 |
| ფედერერი-ბერლოკი | 6:3, 6:4 |
| დელ პოტრო-იუჟნი | 6:4, 6:2 |
| კუერი-ალმაგრო | 5:7, 2:6 |
| გარსია ლოპესი-სიმონი | 4:6, 6:2, 4:6 |
| ბერდიხი-კუბოტი | 6:4, 6:1 |
| გასკე-ლორენცი | 6:3, 6:2 |
| ისნერი-სეპი | 6:2, 6:7, 5:7 |
| ნადალი-ფ. მაიერი | 6:1, 7:5 |
| ტიპსარევიჩი-ვავრინკა | 3:6, 1:6 |

#### WTA. რომი

| | |
|---|---|
| ბენეშოვა-ნა ლი | 1:6, 5:7 |
| კინგი-კერბერი | 3:6, 2:6 |
| სტივენსი-პენეტა | 2:6, 3:6 |
| ა. რადვანსკა-ჩეტკოვსკა | 4:6, 6:4, 1:6 |
| კირსტეა-არვიდსონი | 6:3, 6:1 |
| მედინა გარიგესი-ვოზნიაცკი | 6:4, 4:0 უარი |
| ბარტოლი-გორგესი | 3:6, 1:6 |
| სტოსური-ერანი | 6:3, 7:5 |
| ერაკოვიჩი-სხეპერსი | 7:5, 1:6, 2:6 |
| კნაპი-ციბულკოვა | 3:6, 6:4, 1:6 |
| ს. უილიამსი-პეტროვა | 4:6, 6:2, 6:3 |
| ივანოვიჩი-სოლერ ესპინოსა | 6:2, 6:1 |
| ვ. უილიამსი-მაკაროვა | 7:6, 6:1 |
| აზარენკა-პეერი | 6:1, 6:2 |



## ვლადიმერ აფციაური

4 თებერვალს 50 წლისა შესრულდა. მორიდებულად, თბილად იღებდა მილოცვებს. უთქმელი იყო, არ იმჩნევდა, თუმცა ეტყობოდა, თავს ბოლო ხანებში მთლად კარგად ვერ გრძნობდა. უეცრად უმტყუნა და მოსხლიტა გულმა, რომელიც ყმაწვილობიდან სიცოცხლის ბოლო წამამდე მისი საყვარელი სპორტის სახეობისა და საერთოდ, ქართული სპორტის დიდებისთვის ძგერდა. რაც იცოცხლა, ქართული ფარიკაობისთვის იცოცხლა, ახალ სიმაღლეზე აიყვანა ქართული ფარიკაობის იმიჯი, რომლის ისტორიაში არავის არასდროს მიუღწევია მისი დონის წარმატებებისთვის.

ნახეთ რა შთამბეჭდავია ეს მიღწევები: სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1988), მსოფლიოს ჩემპიონი (1982), მეორე (1988) და სამგზის მესამე პრიზიორი (1982, 86, 90), ევროპის თასის მფლობელი (1985), საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშების ჩემპიონი პირად და გუნდურ პირველობაში (1984), უნივერსიადის მეორე პრიზიორი (1986), სსრკ ჩემპიონი პირად და გუნდურ ჩათვლაში (1984). ქუვეითის ნაკრების (რაპირა) მთავარი მწვრთნელი (1998-2010), სპორტის დამსახურებული ოსტატი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით.

ნუგზარ ასათიანის გარდაცვალების შემდეგ ქართული ფარიკაობის სახე და მეტრი ვლადიმერ აფციაური დარჩა. უდროოდ ახლა ისიც გამოგვეცალა ხელიდან. არადა, როგორ ხარობდა ნიჭიერი მემკვიდრეების წარმატებებით. თავს ევლებოდა, მუდამ იყო მათი თანამდგომი და კეთილი მრჩეველი, თუმცა მწვრთნელის მძიმე შრომას ერიდებოდა. ქუვეითში მუშაობისას კი ელვარე ნიჭი სამწვრთნელო სარბიელზეც გამოავლინა და ბოლომდე დაიხარჯა. ასეთი იყო ბუნებით. სხვაგვარად ქუვეითის ნაკრები, მისი ხელმძღვანელობით, ხუთჯერ ვერ მოიპოვებდა არაბული ქვეყნების ჩემპიონის ტიტულს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სხვა გზა არც აურჩევია - კვლავ ქართული ფარიკაობის სამსახურში ჩადგა, როგორც ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.

სულ ახლახან მასტერკლასის ჩატარება სთხოვეს ახალბედებთან. სამწუხაროდ, იმ დღეს თურმე უკანასკნელად დადგა საფარიკაო ბილიკზე რაპირით ხელში დამწყებთავის ფარიკაობის ანბანის ასახსნელად, გვერდით კი პატარა შვილიშვილი ედგა.

ვლადიმერ აფციაურის ღვაწლი და ამაგი დავიწყებას არასდროს მიეცემა, მისი სპორტული გმირობის მაგალითზე თაობები აღიზრდებიან.

ვუსამძიმრებთ ოჯახს, მთელ საფარიკაო სამყაროს.

საქართველოს
ფარიკაობის ფედერაცია

*პანაშვიდი: 17, 18. 05; გიორგი საკაძის, 18-ა (მეტრო ნაძალადევთან). გამოსვენება 19.05. 14 სთ, წმ. გიორგის ეკლესიიდან (დიდუბე-დიღმის ხიდთან სკვერის ტერიტორია).*

# კახამ კარიერა დაასრულა, ინძაგიზე ამას ვინ იფიქრებდა?!






12 მაისის „გაძეტა დელო სპორტის“ პირველი გვერდი ორიგინალური გამოვიდა - მთავარ ფოტოზე გადაშლილია ცხრა მაისურა წარწერებით: **ინძაგი, ძამბროტა, დელ პიერო, ნესტა, გატუზო, დი ვაიო, ზეედორფი, კალაძე, კორდობა.** ზედ დიდი ასოებით აწერია: GRAZIE RAGAZZI, რაც ქართულად ასე ითარგმნება - მადლობა ბიჭებო.

ვიცოდი, რომ ნესტა, ზეედორფი და გატუზო კარიერის დასრულებას აპირებდნენ, ინძაგიზე ამას ვერც წარმოვიდგენდი, დელ პიერო „იუვენტუსს“ ტოვებდა, შენც კახა? ვფიქრობ, უპრეცედენტო შემთხვევაა: აქამდე მაღალი კლასის ამდენ ფეხბურთელს ერთი სეზონის ბოლოს ბუცები ლურსმნებზე არ ჩამოუკიდია.

ზეედორფზე ჰოლანდიელებმა იფიქრონ, დელ პიეროზე - იტალიელებმა, ჩვენ კი კახა კალაძეზე ვთქვათ. მან სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ 2011 წლის დეკემბერში განაცხადა, სეზონი ჩაამთავრა, „ჯენოასაც“ დაემშვიდობა და ფეხბურთსაც.

ჩემი, როგორც გულშემატკივრის კარიერას რომ გადავხედე, აღმოჩნდა, რომ ქართველთაგან ყველაზე მეტი თამაში სწორედ კახა კალაძის მონაწილეობით მაქვს ნანახი. მაშინ, როცა სანაკრებო დონეზე ვერ ვბრწყინავთ, ლეგიონერების იმედად ვრჩებით, ევროპაში მათი კლუბების მატჩებს ვადევნებთ თვალს და ისე ვქომაგობთ, როგორც, ვთქვათ, ჩემპიონთა ლიგაზე თბილისის „დინამოს“ ვუგულშემატკივრებდით.

ჩემპიონთა ლიგის ფინალებს 1991 წლიდან ვუყურებ და ყველაზე უკეთ სამი მახსოვს: 1994 წელს „მილანმა“ „ბარსელონას“ რომ აჯობა (4:0); 2003 წელს კალაძემ „მილანთან“ ერთად ფინალში პენალტებით „იუვენტუსი“ რომ დაამარცხა და 2006 წელი, ისევ „მილანი“, ისევ კალაძე და 2:1 „ლივერპულთან“.

„ტაიმლაინში“ შეგიძლიათ მოკლედ გაეცნოთ კახას კარიერას, აქ კი ერთს დავამატებ. ზაზა ფაჩულიას ინდივიდუალურ ვარჯიშს რამდენჯერმე დავესწარი. ბევრი იმდენს ნამდვილად ვერ გაუძლებდა, სწორედ მწარე ოფლის ხარჯზე მიაღწია ზაზამ NBA-ს, ხოლო კალაძემ - „მილანს“. ერთი ჭკვიანი კაცის ნათქვამია: ყველა ქართველი ნიჭიერია, მაგრამ სიზარმაცის გამო ბევრი შესაძლებლობების 10 პროცენტსაც ვერ აღწევსო. სწორედ კალაძეა მაგალითი იმისა, რომ ნებისმიერ ახალგაზრდას შეუძლია უმაღლეს დონეზე თამაში, ოღონდ...

ავტორები: ვაჟა სიმონიშვილი, ვახტანგ თავშავაძე


კიევის „დინამო“, 1998-2001. 104 მატჩი, 9 გოლი


იტალიური „ჯენოა“, 20010-12. 56 მატჩი, 2 გოლი

## TimeLine

Username: ვაჟა
Password: სიმონიშვილი


თბილისის „დინამო“, 1993-98. 94 მატჩი, 1 გოლი


იტალიური „მილანი“, 2001-10. 284 მატჩი, 13 გოლი


საქართველოს ნაკრები, 1996-2011. 81 მატჩი, 1 გოლი



## კიდევ ერთხელ ვახსენოთ ავრამი

კვირას გაიმართა საქართველოსა და ჰოლანდიის ნაკრებთა ნახევარფინალური მატჩი 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე. ნარინჯისფრებმა ათკაციან ქართველებს ბოლო ორ წუთში 2 გოლი გაუტანეს და 2:0 მოიგეს. მატჩს განგებ ვუყურე „ევროსპორტზე“, რუსი კომენტატორის თანხლებით. გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს **ნიკოლაი საფრინის** სიტყვებიდან:

*"მარიუს ავრამი - ამ მსაჯის გვარი ქართველებს კიდევ დიდხანს ემახსოვრებათ. სწორედ არბიტრმა შეამზადა ნიადაგი ქართველთა წაგებისთვის: ჯერ ჭანტურიას საეჭვო გაძევებით, შემდეგ პირველი გოლისას ოფსაიდის არდაფიქსირებით. კავკასიელები 10 კაცით ღირსეულად ებრძოლნენ მოქმედ ჩემპიონ ჰოლანდიას.*

*მაისურაძის გუნდმა დაამტკიცა, რომ ქართველებს ფეხბურთის თამაში შეუძლიათ, თუმცა ამაში ეჭვი მანამდეც არავის ეპარებოდა, უბრალოდ დავინახეთ, რომ ქართველებსაც შეუძლიათ გუნდური თამაში და მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა."*

## ხუთი ძმა და ხუთი და



შაბათს საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის გადამწყვეტი ნახევარფინალები გაიმართა. გამოგიტყდებით, არანაკლებ საინტერესო სანახაობას წავაწყდი სპორტის სასახლის მცირე დარბაზში: ხუთმა ძმა **რევაზაშვილმა** მაისურები გადასცა ხუთ და **ადამაშვილებს.**

გირჩევთ, ჯერ ფოტოს დახედოთ და კითხვა მერე განაგრძოთ.

- ერთ დღეს გიორგი შერმადინი მოვიდა და მითხრა: სოფელ ზერტში ძმები ვნახე, კარგი ბიჭები არიან და მგონი, დიდ კალათბურთს ითამაშებენო, - იხსენებს „მაქაბის“ ხელმძღვანელი **ჯამლეტ ხუხაშვილი.**

მას მერე უფროსი ძმა გიორგი რევაზაშვილი 20-წლამდელთა ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა; იგივე გაიმეორა ლევანმა, კადეტთა ნაკრებში დიდ იმედებს ამყარებენ მაიზერზე, ნიკა და ჯაბა შედარებით უმცროსები არიან, თუმცა კალათბურთით ისინიც უკვე „მოინამლნენ“.

და აი, ქართული ზღაპრის სიუჟეტივით - ხუთ ძმას ხუთი და შეხვდა. ყველა კალათბურთელი, თუმცა დები სპორტში დიდი ხანი არ არის რაც ჩაერთნენ.

მათმა მამამ, კომპოზიტორმა **ჯემალ ადამაშვილმა** ისიც გვითხრა, რომ კიდევ ოთხი შვილი ჰყავს, კალათბურთზე კი 8 წლის თეკლა, 10 წლის ელენე და ნატალია (ტყუპები არიან), 12 წლის სალომე და 13 წლის ანა დადიან...


დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი* **გია ტუხაშვლი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07


რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608